ყარსის ხელშეკრულება - პროვოკაციის იარაღი A3

რუსეთის პარლამენტის ძველი სიმღერა A6

ვინ გადახურავს მრავალსართულიან თბილისს A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 29 აპრილი, 2004 წელი. №100 (649)

ფასი 50 თეთრი

"დიოსკურია 2004" და გუშინდელი დღე აჭარაში

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისათვის"
ფოთი-ბათუმი

ფოთი ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების მოლოდინით ცხოვრობს. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეს პატარა ქალაქი ასეთი მილიტარიზებული მხოლოდ 2001 წელს იყო, როდესაც საქართველოში ნატოს "მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამის" პირველი სწავლება გაიმართა.

27 აპრილს სადგურ ნატანებში რკინგზით 35 ერთეული მძიმე საბრძოლო ტექნიკა - ტანკები და ჯავშანმანქანები ჩავიდა. ერთი დღით ადრე კი, უკრაინულმა სატრანსპორტო გემმა ოდესიდან "მი-24" და "მი-14" ტიპის ვერტმფრენები ჩამოიყვანა. ფოთში ასევე დღე დღეზე ელოდებიან სამ გარემონტებულ კატარღას (ერთი მათგანი, ოფიციოზის გან-

გაგრძელება A3 გვერდზე

მზადება "დიოსკურია 2004"-სთვის

ფრედ ვუდროფის მკვლელი ჯერაც არ არის დაკავებული - ამბობს მაიკლ ფულარა

სოფიკო ჩხაიძე
ინგა ალავიძე

"24 საათის" მასალები სენსაციური მკვლელობის ხელახლა გამოძიების საფუძვლად შეიძლება იქცეს. "24 საათის" ჟურნალისტებისა და ამერიკელი ადვოკატის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სპეცსამსახურებიდან გამოთხოვილი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის, ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამოძიების მასალების შეჯერებით, ქართველი სამართალდამცველების ნამოღვაწარი თავდაყირა დგება.

მოკლედ იმის თაობაზე, რა მოხდა 1993 წლის 8 აგვისტოს: თითქმის 12 წლის წინათ. ნატახტარი-თბილისის ავტომაგისტრალზე ნასროლი ტყვია, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა "ბრმა" უწოდეს, დიდი მნიშვნელობისა აღმოჩნდა

გაგრძელება B6 გვერდზე

მაიკლ ფულარა.

გიორგი ბახტაძის ფოტო

ქართული ეკონომიკის პრიორიტეტები

თამარ ხორბალაძე
ნინო ნარჩემაშვილი

"24 საათი" დღეს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს, ეკონომიკურ ექსპერტებს გია მაისაშვილს და კახა უგულავას, საქართველოს პარლამენტის წევრს შოთა გვენეტაძეს მასპინძლობს. საუბრის თემა კი საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა და პირველი ეკონომიკური ნაბიჯები გახლავთ. პირველი კითხვაც, ცხადია, სწორედ ამ თემას ეხება:

- უკვე რამდენიმე თვეა, საქართველოს მართავს ახალი ხელისუფლება. როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მიერ დღემდე გადადგმულ ეკონომიკურ ნაბიჯებს, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას?

გაგრძელება A8 გვერდზე

შეხვედრა "24 საათის" რედაქციაში.

გიორგი ბახტაძის ფოტო

რომორი უნდა იყოს ჰიმნის ტექსტი?

ბესიკ ხარანაული

დღეს იმდენი თავისუფალი აზრი გაისმის საქართველოს ჰიმნის ტექსტის გამო, რომ ძალაუნებურად მეც გამიჩნდა კითხვა: "მართლაც, რომორი უნდა იყოს ჰიმნის ტექსტი?"

ჰიმნის ტექსტი უნდა იყოს:

1. ორგანულად დაკავშირებული ქართულ ლექსთან;
2. სადა, ყველასათვის გასაგები და ადვილად დასამახსოვრებელი;
3. მცირე მოცულობის;
4. უნდა გამოხატავდეს ოცნებას;
5. უნდა იყოს შემართული;
6. უნდა აღძრავდეს იმედს;
7. უნდა იმღერებოდეს;
8. ტექსტობრივი მინიშნებებით - სიტყვით, სტრიქონით, ციტატით - უნდა აღვიძებდეს ტრადიციულ, ქვეცნობიერად ყველასათვის ნაცნობ, მთავარ მამოძრავებელ მუხტს.

ამ ფიქრების შემდეგ კიდევ ერთხელ, კიდევ მრავალგზის, წავიკითხე დათო მაღრაძის ტექსტი და დავრწმუნდი, რომ იგი ჩემ მიერ ზოგადად ჰიმნის მიმართ წაყენებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ეკონომიკა

ლევან ვარშალომიძე: "რკინიგზა ღია ყველა ინვესტორისთვის"

მას შემდეგ, რაც რკინიგზას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, უკვე სამი თვე გავიდა. მაგრამ რჩება კითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც "24 საათმა" რკინიგზის გენერალურ დირექტორს ლევან ვარშალომიძეს სთხოვა.

A4

უცხოეთი

შეტაკებები ტაილანდში

რელიგიურ ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირება ტაილანდის სამეფოში მუსლიმური ამბოხის აშკარად გამოხატულ სახეს იძენს. გუშინდელი შეტაკებების შედეგად, დაახლოებით, ასი ადამიანია დაღუპული. ტაილანდის პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, რომ თავდამსხმელ მოზარდებს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირი არ აქვთ.

A5

საზოგადოება

თბილისში 28 უკანონო აფთიაქი დარჩა

ჩანს, მას შემდეგ, რაც გიგი წერეთელმა თბილისში განთავსებული ულიცენზიო აფთიაქები ფეხით შემოიარა და სამინისტროს შესაბამისი სამსახურების უფროსებს გათავისუფლებით დაემუქრა, ყინული დაიძრა. სად და რამდენი უკანონო აფთიაქი დაიხურა თბილისში; ვინ არიან ამ საქმის მწარმოებლები; და რა ელით სამართალდამრღვევებს?

A6

ამინდი

თბილისი	22
ქუთაისი	25
ბათუმი	25
სოხუმი	21
ფოთი	26
თელავი	21
ზუგდიდი	26
გორი	21
ახმეტა	22
ჭიათურა	23
გაბრა	16
სამტრედია	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9750
ევრო	2.3491
გირვანქა სტერლ.	3.5283
რუბლი	0.0684

"ასლან აბაშიძე - ძალაგამოცლილი არსება"

თამარ მჭედლიშვილი

"ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ თამაზ დიასამიძის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს თბილისი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. გუშინ, სალამოს რვა საათისთვის, საგანგებო პრესკონფერენციას იწვევენ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" თავმჯდომარე მაია ნადირაძე და ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია. განცხადებები მეტად მკვეთრი და კატეგორიულია.

"ასლან აბაშიძე რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩამოშორდეს ქართულ პოლიტიკას", - ეს ის ვერდიქტია, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს ასლან აბაშიძისათვის უკვე მერამდენედ გამოაქვთ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ახალი სტარტი საქართველოსთვის

ნიკა იმნაიშვილი
ვაშინგტონიდან
სპეციალურად "24 საათისთვის"

მას შემდეგ, რაც დიდი დისკუსიის შედეგად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიაღწია რთულ შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელ დირექტორ ტაკატოსთან, ფონდის პროგრამის აღდგენის შესახებ (იმ პირობით, თუ აღმასრულებელ დირექტორთა მაისის შეხვედრამდე ბიუჯეტის გარღვევა არ მოხდა), ცხადი გახდა, რომ ამერიკაში პრემიერის ამჟამინდელი ვიზიტის უმთავრესი შემადგენელი ეკონომიკური პრობლემატიკა ხდება. რაც, რასაკვირველია, მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ საკითხებს.

სხვადასხვა შეხვედრებზე და საჯარო გამოსვლებისას პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, რომ ის, რაც ამჟამად ხდება საქართველოში, არის "ახალი სტარტი ქვეყნისათვის". მაგრამ ამ სტარტს სჭირდება სერიოზული ეკონომიკური მხარდაჭერა. მით უმეტეს იმ გზის გათვალისწინებით, რაც საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და ბოლო წლების განმავლობაში განვლო.

ამჟამად საქართველოს მთავრობის არა მხოლოდ ტაქტიკური, არამედ სტრატეგიული მიზანია როგორც სავალუტო ფონდთან ურთიერთობების აღდგენა, ასევე იმ ქვეყანათა რიცხვში მოხვედრა, რომელსაც შეეხება პრეზიდენტ ბუშის ინიციატივით შემუშავებული ახალი პროგრამა "millenium challenge acount".

გაგრძელება A3 გვერდზე

აღმოსავლეთ ევროპას ახალი "რკინის ფარდის" ეშინია

რევაზ ბახტაძე

1 მაისს ყოფილი საბჭოთა კავშირის სატელიტი სახელმწიფოები ევროკავშირს შეუერთდებიან, რაც მათ მეზობელ რუსეთზე, უკრაინაზე, ბელარუსსა და მოლდოვაზე უზარმაზარ გავლენას მოახდენს, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ ქვეყნებში უკვე ახალი "რკინის ფარდის" ჩამოშვებაზე ალაპარაკდნენ.

ახალ მეზობლებში ევროკავშირის გაფართოების გამო არსებულ შეშფოთებას ხელშესახები მიზეზები აქვს. ჩვეულებრივი ხალხისთვის ახალი "რკინის ფარდა" ჩამოეშვა, რომელიც აყვავებულ "ახალ ევროპას" რუსეთის, უკრაინის, ბელარუსისა და მოლდოვასაგან მკაცრი საviზო-საბაჟო რეჟიმით გამოჰყოფს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 დისკუსია

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ექსკლუზივი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

"ასლან აბაშიძე - ძალაბამოცლილი არსებაა"

ლევან ხარბედიას ფოტო

მაია ნადირაძე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"აბაშიძის ქმედებები უკვე ყველანაირ ზღვარს სცილდება და კვლავ ადასტურებს მის უსუსურობას. იგი ძალაგამოცლილი არსებაა, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ვიღაცას ანგარიში გაუსწოროს. პარლამენტი ვალდებულია, გააკეთოს მკვეთრი განცხადებები. აბაშიძის რეჟიმს ძალიან ცოტა დრო დარჩა. ჩვენ ვალდებული ვართ, ძალადობის ყველა კონკრეტულ ფაქტს გამოვეხმაუროთ. ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ჩვენ გვქონდა არაჩვეულებრივი დივიდენდები მსოფლიოს თვალში, ახლა კი უკან ვიხევთ პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საერთაშორისო ურთიერთობებში. ასლან აბაშიძე სერიოზური საფრთხეა საქართველოს განვითარებისათვის", - აცხადებს მაია ნადირაძე. იგი ხაზს უსვამს, რომ აბაშიძის რეჟიმს, ფაქტობრივად, სულ ცოტა დრო აქვს დარჩენილი. მაია ნადირაძის თქმით, ინციდენტში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა თამაზ დიასამიძის დაკავების ოპერაციაში.

არანაკლებ მკვეთრი იყო გიგა ბოკერიას განცხადება. **"ასლან აბაშიძე თუ ტერორს გააგრძელებს, მის წინააღმდეგ საჭირო აღარ იქნება ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. აჭარის მოსახლეობა თავად გადაწყვეტს მის ბედს. ახლა ჩვენ ზღვარზე ვიმყოფებით. რესურსები იწურება",** - ამბობს გიგა ბოკერია და იქვე ასლან აბაშიძის მხრიდან რეპრესიის მორიგ მსხვერპლზე - აჭარის 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ოფიცერზე სოსო ცეცხლაძეზე საუბრობს, რომელიც, ბოკერიას ვარაუდით, სასტიკად ნაცემია.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები აცხადებენ, რომ მაიორი ცეცხლაძე ცდილობდა, ქვეყნისათვის სასიკეთო საქმე გაეკეთებინა. **"იგი ეხმარებოდა ყველას, ვისაც გადაადგილება სურდა ბათუმიდან თბილისში და ეხმარებოდა საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც მშვიდობიანი გზებით ცდილობს, მოაგვაროს აჭარის პრობლემა. იგი სცემეს და აიძულეს, საჯარო განცხადებები გაეკეთებინა აჭარის ტელევიზიით",** - აცხადებენ პარლამენტარები.

მაია ნადირაძის თქმით კი, ვერც ერთი თანამდებობის პირი წინ ვერ აღუდგება ხალხის ნებას. **"ამას ვიმეორებდი მაშინ, როდესაც ზოგიერთები აცხადებდნენ, რომ შევარდნაძე თავისი ნებით არასოდეს დატოვებდა პრეზიდენტის პოსტს. ამასვე ვუპასუხებ ახლა მათ, ვინც ამბობს, რომ ასლან აბაშიძე საკუთარ სკამს არ დათმობს",** - დასძენს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

ცესკო-მ საკრებულოს გამოკლებული წევრების ნაცვლად მათი ადგილმონაცვლეების უფლებამოსილება ცნო

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ საკრებულოს იმ წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილება ცნო, რომლებიც 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტის დეპუტატები გახდნენ.

საარჩევნო ბლოკ "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტის" პარტიული სიით არჩეული, საკრებულოს გამოკლებული წევრის ზვიად ძიძიგურის ნაცვლად, არჩეულია პარტიული სიის, რიგით მომდევნო, საკრებულოს წევრობის კანდიდატი ომარ აბულაძე, დავით ბერძენიშვილის ნაცვლად ცესკო-მ სევდია უგრეხელიძის უფლებამოსილება ცნო, რომან გოცირიძის ნაცვლად არჩეულია ნინა მირიანაშვილი, ბესო ჯუღელის ადგილმონაცვლედ არჩეულია ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო, საკრებულოს წევრობის კანდიდატი იულონ გაგოშიძე, ბეჟან კალანდაძის ნაცვლად - ვაჟა იმნაიშვილი, კობა ბექაურის ნაცვლად არჩეულია ლია ლაზაშვილი, ლევან მეტრეველის ნაცვლად - დავით კიკნაძე, ირაკლი კენჭოშვილის ნაცვლად - იური გალუსტოვი და გია ნაცვლიშვილის ადგილზე არჩეულია ლია კიკნაძე.

რაც შეეხება "ახალ მემარჯვენეებს", საკრებულოს გამოკლებული წევრის მზია თორთლაძის ადგილმონაცვლედ არჩეულია ამავე პარტიის სიის რიგით მომდევნო, საკრებულოს წევრობის კანდიდატი თემურ ბილიხოძე და მამუკა კაციტაძის ნაცვლად არჩეულია გიორგი მოსიძე.

ინტერ-პრესი

შს მინისტრი ქვეშევრდომებს მუშაობის პირობებს უქმნის

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე ზუგდიდს სტუმრობდა. მან ზუგდიდელ სამართალდამცველებს პრეზიდენტის საჩუქარი -"ნივები" და "ოაზის" ტიპის ავტომანქანები გადასცა. შინაგან საქმეთა სამინისტროდან რამდენიმე ავტომანქანა ზუგდიდისკენ გუშინ, გამთენიისას გაემართა.

"ეს ჩვენთვის დიდი დახმარებაა. პრეზიდენტის საჩუქარი ხელს შეგვიწყობს ოპერატიულ მუშაობასა და კრიმინალთან ბრძოლაში", - აცხადებდნენ გუშინ პეზიდენტის ხელგაშლილობით მოხიბლული ზუგდიდელი სამართალდამცველები ავტომანქანების გადაცემისთვის მომზადებულ სპეციალურ ღონისძიებაზე.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრი დიდი და პატარა ლიახვის ხეობებსაც სტუმრობდა. იქაურ პოლიციელებს, ზუგდიდელი სამართალდამცველების მსგავსად, კრიმინალისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაადვილებისთვის რამდენიმე ავტომანქანა გადაეცათ.

24 საათი

საწარმო ხელოვნურად გააკოტრეს

ფინასური პოლიციის იმერეთის განყოფილებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა წყალტუბოს რაიონში მდებარე ავეჯის მწარმოებელ შპს "ჯ.ნ.ლ.რ."-ის წინააღმდეგ.

პოლიციის ინფორმაციით, ფირმის დავალიანება სახელმწიფოს მიმართ 76 000 ლარს შეადგენდა. "გადასახადების თავიდან აცილების მიზნით ფირმის დირექციამ საწარმო გაკოტრებამდე ხელოვნურად მიიყვანა. შპს "ჯ.ნ.ლ.რ."-ის საამქროდან გაიტანეს ავეჯის დასამზადებლად საჭირო დანადგარები და შენობის დემონტაჟი განახორციელეს. საწარმოს ხელმძღვანელები შეგნებულად უმალავდნენ საგადასახადო ინსპექციას შემოსავლებს. ამასთან, მათ არ შეუტანიათ განაცხადი გაკოტრების შესახებ", - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში..

ფინანსურ პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე "გაკოტრებისას უკანონო ქმედების" და "გაკოტრებისას განაცხადების შეუტანლობის" მუხლით არის აღძრული.

24 საათი

აღმასრულებლებს თვითმფრინავის ნაცვლად მისი ნაწილები დახვდათ

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რომლებიც აეროპორტში ავიაკომპანია "ლასარე ეარის" დასაყადაღებლად მივიდნენ, AN-12 თვითმფრინავის ნაცვლად მისი ნაწილები დახვდათ.

სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის თეიმურაზ გოგიტიძის ინფორმაციით, ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ეს თვითმფრინავი არ იყო დაშლილი და რატომ მოხდა მისი სასწრაფოდ დაშლა, მისთვის უცნობია.

"ლასარე ეარის" თვითმფრინავის დაყადაღება თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო. სასამართლომ შპს "საქაერონავიგაციის" მოთხოვნით "ლასარეს" უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღების ბრძანება გასცა. თეიმურაზ გოგიტიძის ინფორმაციით, სააღსრულებო დეპარტამენტმა "ლასარეს" საბანკო ანგარიშები დააყადაღა და ყადაღა დაადო თვითმფრინავის იმ ნარჩენებს, რომლებიც აეროპორტში დახვდათ.

"საქაერონავიგაცია" "ლასარე ეარს" გარკვეულ თანხას ედავება, რომლის ოდენობაც სასამართლო განხილვის შემდეგ გახდება ცნობილი. "საქაერონავიგაციამ" სარჩელის შეტანისას მაშინვე მოითხოვა საქმის დასრულებამდე მისი ქონების დაყადაღება.

მედია-ნიუსი

იგეგმება სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა

ტასისის პროექტის ფარგლებში იგეგმება საქართველოში სასჯელაღსრულების სისტემისა და ინფრასტრუქტურის რეფორმა. გუშინ პროგრამის ხელმძღვანელმა პირებმა ვითარების გაცნობის მიზნით მოინახულეს თბილისის N5-ე საპყრობილე.

როგორც საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე აცხადებს, რეფორმა ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის - მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კადრების მომზადებას, დაცვა-უსაფრთხოების საკითხებს და სხვა, ხოლო თანხობრივ ხარჯებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან ამ ეტაპზე მხოლოდ ძირითადი მიმართულებები ისახება.

როგორც სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროექტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა დენის დინკლერმა განაცხადა, ევროკომისიის მიზანია, საქართველოს დახმარება გაუწიოს პენიტენციალურ სისტემაში არსებული პირობების გაუმჯობესების საკითხებში. პროექტი წელიწადნახევარზეა გათვლილი. ამ პერიოდში იგეგმება 6-თვიანი პროგრამა, რომელიც საქართველოს პენიტენციალური ინსტიტუტების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

"ჩვენი მიზანია, დავაკმაყოფილოთ სახელმწიფო მოთხოვნები, რომელიც საკმაოდ ბევრია და ამ ეტაპზე არ არის დაკონკრეტებული," - აცხადებს დინკლერი. მისივე თქმით, პროექტის თითოეულ ეტაპს თავისი დაფინანსება გააჩნია. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ საქართველოში გაცილებით უფრო დიდი პროგრამების განხორციელება იგეგმება.

ინტერ-პრესი

მიხეილ სააკაშვილი ყოფილ პედაგოგებს ლექციას უკითხავს

მიხეილ სააკაშვილი ყოფილ პედაგოგებს შორის.

საქართველოს პრეზიდენტის ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი კიევში, უკრაინის შესაძლო მომავალ პრეზიდენტთან, "ნაშა უკრაინას" ლიდერ ვიქტორ იუშენკოსთან შეხვედრით დასრულდა. გუშინ მიხეილ სააკაშვილი კიევის აეროპორტ "ბორისპოლიდან", ჩარტერული რეისით, ვარშავაში გაემგზავრა, სადაც იგი ევროპის ეკონომიკურ ფორუმს დაესწრება.

შეხვედრას დაესწრო ვერხოვნა რადას რამდენიმე დეპუტატი "ნაშა უკრაინიდან", მათ შორის - უკრაინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი დავით ჟვანია. საუბარი 40 წუთს გაგრძელდა. საქართველოსა და უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, "ნაციონალურ მოძრაობასა" და "ნაშა უკრაინას" შორის თანამშრომლობა, საპარლამენტო ურთიერთობა - ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა და უკრაინის მთავარმა ოპოზიციონერმა განიხილეს.

ვიქტორ იუშენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინის პარლამენტის დემოკრატიული ძალები საქართველოსა და უკრაინას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას "აუცილებლად და ძალიან მნიშვნელოვნად" მიიჩნევენ. გარდა ამისა, დემოკრატიული ფრთა ყველანაირად წინ აღუდგება უკრაინის ხელისუფლებისა და პარლამენტის პროსახელისუფლებო ძალების ინიციატივას, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესახებ. **"ეს შეზღუდვები საქართველოსა და უკრაინას შორის არსებულ თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს,"** - აღნიშნა იუშენკომ, რომელმაც სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტის რანგში გადადგმული პირველი ნაბიჯები მოუწონა.

"საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა შეძლო. კერძოდ - ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება, პოლიტიკური ძალების გაერთიანება, მთავრობის ფორმირება, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება - ყველა ეს საკითხი პრეზიდენტმა სააკაშვილმა წარმატებით გადაწყვიტა," - აღნიშნა "ნაშა უკრაინას" ლიდერმა.

იუშენკომ და სააკაშვილმა უკრაინის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზეც ისაუბრეს. **"საქართველო, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოება, არ არის გულგრილი იმ პროცესების მიმართ, რომლებიც უკრაინაში მიმდინარეობს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნებით, რომ მომავალი არჩევნები უკრაინაში გამჭვირვალედ, დემოკრატიულად და კანონის სრული დაცვით ჩატარდეს,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნახევარი წელი დარჩა. გამოკითხვების შედეგების მიხედვით, პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი და კუჩმას მთავარი ოპონენტი სწორედ იუშენკოა.

ქართულ "ნაციონალურ მოძრაობასა" და უკრაინულ "ნაშა უკრაინას" შორის თანამშრომლობის მემორანდუმს იუშენკომ და სააკაშვილმა ჯერ კიდევ შარშან, სააკაშვილის ოპოზიციონერობის დროს მოაწერეს ხელი. შემდეგ, გაპრეზიდენტებულმა სააკაშვილმა უკრაინელი თანამებრძოლი საკუთარ ინაუგურაციაზეც დაპატიჟა და კიევში ოფიციალური ვიზიტის დროსაც არ დაივიწყა.

კუჩმასა და სააკაშვილის შეხვედრაზე, რომელიც უკრაინაში ვიზიტის პირველივე დღეს შედგა, ჟურნალისტებმა კუჩმას სააკაშვილისა და იუშენკოს მეგობრობა შეახსენეს. **"სტრატეგიულ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტთან არანაირი უთანხმოება არ არსებობს... რაც შეეხება იუშენკოს, თავის დროზე, ვიქტორ იუშენკო საკუთარ მამად მთვლიდა, დღეს კი ოპონენტები ვართ,"** - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

კიევში ვიზიტის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ იანუკოვიჩსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს კონსტანტინ გრიშენკოს შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტი მშობლიურ უნივერსიტეტსაც ესტუმრა. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა ამჯერად საკუთარი სტუდენტის ლექცია მოისმინეს.

საქართველო-უკრაინის მეგობრობის ხაზგასასმელად, 2006 წელი უკრაინაში საქართველოს წლად გამოცხადდება.

საქართველოს პრეზიდენტის ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი კიევში დასრულდა. გუშინ მიხეილ სააკაშვილი კიევის აეროპორტ "ბორისპოლიდან" ჩარტერული რეისით ვარშავაში გაემგზავრა, სადაც იგი ევროპის ეკონომიკურ ფორუმს დაესწრება.

"უკრაინა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და განუხრელად დაიცავს მას," - ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტმა უკრაინელ კოლეგასთან პირისპირ შეხვედრისას მოისმინა. სააკაშვილთან შეხვედრაზე კუჩმამ აღნიშნა, რომ არც ერთი უკრაინელი მებრძოლი აჭარის ტერიტორიაზე არ გამოჩნდება. ორი პრეზიდენტი ერთსულოვანი აღმოჩნდა ერაყის საკითხშიც. მათი თქმით, საქართველოსა და უკრაინის წარმომადგენლები ერაყში მისიის დასრულებამდე დარჩებიან.

პრეზიდენტებმა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხები, სუუამის ფარგლებში საქმიანობა და ეკონომიკური პერსპექტივებიც განიხილეს. გადაწყდა, რომ სუუამში შემავალი ქვეყნების მორიგი სამიტი სწორედ თბილისში გაიმართება.

სოფო ბუკია

ვიზიტი პოლონეთში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ორდღიანი სამუშაო ვიზიტით კიევიდან ვარშავაში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ევროპულ ეკონომიკურ სამიტში. სამიტის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 45 ქვეყნის 700-მდე წარმომადგენელი, რომელთა შორის იქნებიან პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები და მთავრობების წარმომადგენლები 31 ქვეყნიდან. ვიზიტის პირველ დღეს პრეზიდენტის სახელით სადილი გაიმართება, სადაც რეგიონულ ლიდერებთან და ექსპერტებთან კავკასიის თემაზე ისაუბრებენ. ვიზიტის მეორე დღეს - 29 აპრილს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ალექსანდრ კვასნევსკის შეხვდება. პროტოკოლის მიხედვით, პირისპირ შეხვედრა ნახევარ საათს გაგრძელდება. მიხეილ სააკაშვილი, აგრეთვე, შეხვედრას გამართავს ევროკავშირის გაფართოების საკითხების კომისართან გიუნტერ ფერჰოიგენთან. მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტი ევროპის ეკონომიკური სამიტის პლენარულ სესიას - "ევროპა ევროკავშირის მიღმა" - დაესწრება. სააკაშვილი თბილისში 29 აპრილს ღამით დაბრუნდება.

24 საათი

ენერგოსექტორის მომხმარებელთა ომბუდსმენი დენის ტარიფს აპროტესტებს

სემეკ-თან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე ელექტროენერგიის ტარიფისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებას აპროტესტებს. კერძოდ, ებრალიძე მიიჩნევს, რომ ტარიფში სახელმწიფო საწარმოების კუთვნილი კომპონენტი გაბერილია, რადგან ენერგოსექტორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტებისგან სახელმწიფო მოგების მიღებას გეგმავს. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის აზრით, კომუნალური მომსახურების სფეროს სახელმწიფო არ უნდა განიხილავდეს, როგორც ბიზნესს. **"კომუნალური მომსახურების სექტორში კერძო ინვესტორის მიერ გონივრულად ინვესტირებული კაპიტალის დაბრუნებისა და მოგების მიღების მიზნების ტარიფში ასახვა ლოგიკურია,** - აცხადებს ებრალიძე, - **მაგრამ ამ ტარიფში მოზრდილ კომპონენტად არ უნდა შედიოდეს სახელმწიფოს კუთვნილი ფონდების ამონაგები."** ენერგოსექტორის ომბუდსმენის განმარტებით, სახელმწიფომ ტარიფის საშუალებით მხოლოდ აქტივების აღდგენისათვის საჭირო სახსრები უნდა მიიღოს, ეს კი ტარიფში უკვე გათვალისწინებულია. შედეგად, ტარიფში ზედმეტადაა შესული კომპონენტი, რომელიც ძირითადი ღირებულებების ცვეთას აკომპენსირებს. ეს, ბუნებრივია, ტარიფის ზრდას და, შესაბამისად, ელექტროენერგიის მომხმარებელთა უფლებების შელახვას იწვევს.

ხვალ, 11 საათზე, "შერატონ მეტეხი პალასის" დარბაზში "დასი და ბალავარი" ამ საკითხის განხილვას დავით ებრალიძე საგანგებო კონფერენციას მიუძღვნის. კონფერენციის ორგანიზატორები, ებრალიძესთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველი, ანტიმონოპოლიური სამსახური და ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" არიან.

მაია ურუშაძე

საქნავთობს ახალი ხელმძღვანელი ეყოლება

"საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ახალმა ხელისუფლებამ სოსო ცისკარიშვილს შესთავაზა. 17 მაისს დაგეგმილია "საქნავთობის" აქციონერთა კრება, სადაც სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებების შესახებ უნდა იმსჯელონ. "თანამდებობა შემომთავაზეს, თუმცა ამის შესახებ რამდენიმე დღეში ჩამოვყალიბდები და საბოლოო გადაწყვეტილებას 15 მაისისთვის მივიღებ,"- განაცხადა ცისკარიშვილმა. სოსო ცისკარიშვილი ბოლო დროს ტელეკომპანია "მეცხრე არხზე" გადაცემის "საზოგადოება და ხელისუფლებას" ავტორი და წამყვანი იყო. იგი ასოციაცია "მსოფლიო ლაბორატორიის" თავმჯდომარე და ევროკომისიის ექსპერტია. ცისკარიშვილი, გასულ წლებში, საქართველოში ევროკომისიის პროგრამების დირექტორად მუშაობდა. იყო ახლადშექმნილი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და ტექნიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო კომიტეტში მრეწველობისა და ენერგეტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ინტერ-პრესი

2015 წლისთვის რუსეთი, შესაძლოა, 6-8 სახელმწიფოდ დაიშალოს

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ექსპერტები თვლიან, რომ 2015 წლისთვის რუსეთი, შესაძლოა, 6-8 სახელმწიფოდ დაიშალოს. ცსს-ს ღია საიტზე განთავსებულია წამყვანი ანალიტიკური ცენტრების მოხსენება "გლობალური ტენდენციები-2015", რომლის ავტორები რუსეთს უახლოესი ათი წლის განმავლობაში არასტაბილურ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსეთში ეკონომიკური არასტაბილურობა შენარჩუნდება. ყველაზე საუკეთესო სცენარის - ხუთპროცენტიანი ზრდის - პირობებშიც კი 2015 წლისთვის რუსეთის ეკონომიკური მაჩვენებლები ამერიკის მაჩვენებლების ერთ მეხუთედზე ნაკლები იქნება.

სოციალურ სფეროში რუსეთს ელის მოსახლეობის შემცირება, რომელიც ამასთანავე სულ უფრო ნაკლებად ჯანმრთელი იქნება და, მაშასადამე, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალის ფუნქციას ვერ შეასრულებს.

ექსპერტებს მიაჩნიათ ასევე, რომ რუსეთში ავტორიტარიზმის ტენდენციები შენარჩუნდება, თუმცა, რა თქმა უნდა, არა იმ მასშტაბებით, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იყო.

საბოლოო ჯამში, ხელისუფლების ცენტრალიზაციის პროცესი მმართველობის სისტემების დისფუნქციას გამოიწვევს. ე.წ. "სახელისუფლებო ვერტიკალი", საერთოდ საეჭვოა, ასეთი უზარმაზარი ქვეყნისათვის ეფექტური იყოს.

გარდა ამისა, ცსს-ს ექსპერტთა აზრით, რუსეთს "ტერიტორიული ფრაგმენტაცია" ანუ რამდენიმე უფრო წვრილ სახელმწიფოდ დაშლა ელის.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს გუშინ ოფიციალური თხოვნით აჭარიდან ჩამოსულმა ორმა წევეამდელმა და ერთმა ოფიცერმა მიმართა. წევეამდელებს ზვიად გაბაიძეს და მამუკა ძელიას სამხედრო სამსახურის გავლა მთავარსარდლის დაქვემდებარებაში მყოფ ბათუმის 25-ე ბრიგადაში სურთ. ხოლო ოფიცერმა გაბაიძემ, რომელიც წევეამდელი ზვიად გაბაიძის ძმაა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო წესით სამსახურის სურვილი გამოთქვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის ხელისუფლების უშიშროების მინისტრი გივი აგრბა კატეგორიულად უარყოფს აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის ყოფილი თანამებრძოლისა და ბათუმის ყოფილი მერის ასლან სმირბას მტკიცებას იმის თაობაზე, რომ თბილისსა და ბათუმს შორის სავარაუდო სამხედრო დაპირის-პირების მოლოდინში აბაშიძემ, აჭარაში სამხედრო ტექნიკის შეყვანის თხოვნით, აფხაზეთის ხელმძღვანელობას მიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. ბათუმში დისლოცირებული 25-ე მოტომსროლელი ბრიგადიდან თბილისში გამოქცეულ ოფიცერს სოსო ცეცხლაძეს ხელისუფლებამ იმედები გაუცრუა. ცეცხლაძე საქართველოს დედაქალაქს ტოვებს და ჩოლოქის საზღვარზე აჭარის ტელევიზიას ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს. იგი, ასევე ხვდება აჭარის შს მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს. ცეცხლაძე თბილისში წასვლას შეცდომას უწოდებს და აცხადებს, რომ "იქ პატრიოტიზმი ვერ ნახა და იქ მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ამბიციებს შეეჯახა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის წევრმა და პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერმა გოგი თოფაძემ სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო და ამის თაობაზე გუშინ ოფიციალური განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა. განცხადებაში თოფაძე აღნიშნავს, რომ იგი აპირებს, კერძო სექტორს, წარმოების სფეროს დაუბრუნდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. აჭარის მაღალმთიანი რაიონების - ქედისა და შუახევის მოსახლეობა პრეზიდენტის საჩუქრის მიღებას ითხოვს. მათ გუშინ ბათუმი-ახალციხის ძირითადი მაგისტრალი გადაკეტეს. აქციის მონაწილეები პრეზიდენტის მიერ საჩუქრად გაგზავნილი ამონიუმის გვარჯილას ჩოლოქიდან უკან გაბრუნებას აპროტესტებენ. **ინტერ-პრესი**

საქართველოს პარლამენტის წევრმა და პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერმა გოგი თოფაძემ სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო და ამის თაობაზე დღეს ოფიციალური განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა.

როგორც ნინო ბურჯანაძის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში გოგი თოფაძე აღნიშნავს, მისი გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ აპირებს დაუბრუნდეს საქმიანობას, რასაც საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევამდე ეწეოდა.

„ეს საქმიანობა კი დაკავშირებული იქნება კერძო სექტორში - წარმოების სფეროში მოღვაწეობასთან, მათ შორის ისეთი თანამდებობის დაკავებასთან, რაც შეუთავსებელი იქნება საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსთან. ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილებით, ერთის მხრივ, ხელს შევუწყობ ჩვენი პარტიის - პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ სხვა წევრების უფრო აქტიურ ჩაბმას საპარლამენტო საქმიანობაში და, მეორეს მხრივ, ჩემი გამოცდილებით ხელს შევუწყობ წარმოების იმ სფეროს განვითარებას, სადაც ჩემს მოღვაწეობას გავაგრძელებ“ -აღნიშნავს განცხადებაში კომპანია „ყაზბეგის“ დამფუძნებელი გოგი თოფაძე.

გოგი თოფაძე საქმიანობას კვლავ სააქციო საზოგადოება „ყაზბეგში“ განაგრძობს , რომელსაც წელს ათი წლის იუბილე აქვს და ამჟამად საქართველოში მოქმედ 38 წარმოებას აერთიანებს, თოფაძის განცხადებით საიუბილეო წელს „ყაზბეგი“ არაერთი ახალი პროექტის განხორციელებას გეგმავს.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე მოხსნა პოლიტიკიდან თოფაძის წასვლას არ ნიშნავს, ის კვლავ გააგრძელებს პოლიტიკურ მოღვაწეობას პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარის რანგში.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ახალი სტარტი საქართველოსთვის

ჰირველი გვერდიდან

პროგრამა ითვალისწინებს უახლოეს მომავალში ერთი მილიარდი დოლარის დახმარების გამოყოფას აღმოსავლეთ ევროპის წარმატებული და ქმედითი(!) დემოკრატიებისათვის. შემდგომ წლებში თანხა 3 მილიარდამდეც გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ დახმარების ძირითადი მიზანი ქვეყნების სისტემური ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებაა. ხშირ შემთხვევაში, ისინი თავად შეარჩევენ პრიორიტეტებს, რაც ძალზე ნიშანდობლივი მომენტია.

დღეს ვაშინგტონში ათეულობით ქვეყანა აქტიურად მუშაობს (ზოგიერთი მათგანი მუდმივმოქმედ დელეგაციებსაც კი ქმნის), რათა დაარწმუნოს პრეზიდენტის ინიციატივით შექმნილი საგანგებო საბჭო (იგი ჯერ ივნისში, შემდეგ ოქტომბერში შეიკრიბება), რომ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომელიც MCA პროგრამით არის შემუშავებული.

საკმარისია აქვე ითქვას, რომ ეს კრიტერიუმები ბევრად უფრო რთულია, ვიდრე, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნები, ვინაიდან ეხება არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ-ინსტიტუციურ სფეროს. მათ შორის ტრანსპარენტულობას, სახელმწიფო მექანიზმთა ქმედითობას და ასე შემდეგ.

მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოების შექმნა-დაფუძნება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროგრამაში ჩართვისათვის. ამ სახის დახმარება საქართველოს ჯერ არ მიუღია. ზურაბ ჟვანიას, რასაკვირველია, შესანიშნავად ესმის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ეს უნიკალური პროგრამა მართლაც გადამწყვეტი სტიმული შეიძლება აღმოჩნდეს "ახალი სტარტისას", ამიტომ, ვაშინგტონში გამართულ თითქმის ყველა შეხვედრაზე იგი დაწვრილებით იხილავდა ამ საკითხს. მათ შორის სახელმწიფო მდივნის მოადგილეებთან - ელიზაბეტ ჯონსთან და ლინ პასკოსთან. მაგრამ ძირითადი მსჯელობა გაიმართა კოლინ პაუელის კიდევ ერთ მოადგილესთან (ეკონომიკური დახმარების საკითხებში), ალან ლარსენთან შეხვედრისას.

სწორედ ლარსენი კურირებს (პრეზიდენტ ბუშისა და მდივან პაუელის დავალებით) MCA-ს პროგრამას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას ამერიკის პრეზიდენტთან არსებული საგანგებო საბჭოსათვის.

ლარსენმა იმთავითვე განაცხადა, რომ პრეტენდენტი-ქვეყანა ბევრია, მაგრამ პროგრამაში ძალიან ცოტა მიიღებს მონაწილეობას. მათი დასახელებისაგან მან თავი შეიკავა, რაკი არ სურდა საბჭოს კომპეტენციაში შეჭრა, თუმცა სახელმწიფო მდივნის

ჟვანია აშშ-ს კორუფციასთან ბრძოლის შეუქცევადობაში არწმუნებს.

"ძალიან ზუსტი ინდიკატორები" და გადაწყვეტილებას შემდგომ ამერიკის კონგრესი გადაამოწმებს - ეს ბუნებრივიცაა, რაკი თეთრი სახლი ვერც ერთ დოლარს ვერ დახარჯავს კაპიტოლიუმის თანხმობის გარეშე.

ცხადი ხდება, ვიზიტის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე რატომ მიდიოდა პრემიერ-მინისტრი კონგრესში და ხვდებოდა თავის ძველ ნაცნობებს - ყველაზე გავლენიან სენატორებს. მათ შორის მაკკონელს, მაკკეინს, ბრაუნბეკს, ჰეიგელს და სხვებს.

ზურაბ ჟვანიას მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა მთელ პოსტ-საბჭოურ რეგიონში, რომლის ხელისუფლებას არ შეეშინდა (გავლენიანი კლანების წინააღმდეგობის მიუხედავად) კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის დაწყება. მნიშვნელოვნად შემცირდა კონტრაბანდა, გაიზარდა გადასახადების აკრეფის დონე, დაფუძნდა ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოება, არსებობს დამოუკიდებელი მედია, მიმდინარეობს რეფორმები არმიასა და პოლიციაში.

ლარსენი ყოველივე ამას ყურადღებით და აშკარა კეთილგანწყობით ისმენდა. გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ის კი შეიძლება ვამტკიცოთ (ყოველ შემთხვევაში, ამგვარი შთაბეჭდილება შეგვექმნა), რომ საქართველო არ არის გამორიცხული პრეტენდენტთა სიიდან, რაც უკვე სერიოზული წარმატებაა.

ამდენად, თუ ხელისუფლება შემდგომ ინსტიტუციურ და არაპოპულარულ რეფორმებს განახორციელებს (რითიც დაადასტურებს ქართული სახელმწიფოს სისტემის მდგრადობას - ეს უდავოდ ერთ-ერთი ინდიკატორია, თორემ მხოლოდ დემოკრატიის კლასიკური პარამეტრები საკმარისი არ იქნება), მაშინ "ახალი სტარტისათვის" ქვეყანამ მართლაც შეიძლება მოიპოვოს ძალიან სერიოზული ფინანსური რესურსი.

ამერიკელები ფულს არასდროს ანიავებენ. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა, რომელსაც ასეთი ფორმით (პირდაპირი ფორმით და არა სავალუტო ფონდის მეშვეობით, რომელსაც სხვა ფუნქცია აქვს) ეხმარებიან, - სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მდგრადი და პერსექტიული სისტემა იყოს.

ყოველ შემთხვევაში ზურაბ ჟვანიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამერიკაში ყოფნისას ბოლომდე იბრძოლა, რათა თავისი ქვეყნისთვის ეს შანსი მოეპოვებინა.

ყარსის ხელშეკრულება - პროვოკაციის იარაღი

ყარსის ხელშეკრულების ასლან აბაშიძისეული ინტერპრეტირების შემდეგ, ამ ისტორიული დოკუმენტით საქართველოს პარლამენტიც დაინტერესდა. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გუშინ მის შესახებ სპეციალური მოსმენა გამართა. დახურული სხდომა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მისი დასრულების შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, რომ ყარსის ხელშეკრულება საქართველოს სუვერენიტეტს არანაირ საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ ამ თემით სპეკულირება და მოსახლეობის დაშინების მცდელობა რომ გამოირიცხოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დავალება მიეცა. პარლამენტარის თქმით, აღნიშნულ საკითხზე საგარეო პოლიტიკური უწყება ინტენსიურად იმუშავებს და საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტთან კოორდინირებულად იმოქმედებს.

გიორგი ასანიშვილი

"ყარსის ხელშეკრულება გარკვეულ უხერხულობებს შეიცავს, მაგრამ ჩვენს ქვეყანას საშიშროებას არ უქმნის. ამ თემის ხელოვნურად გააქტუალებით, ასლან აბაშიძე ცდილობს, კიდევ ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი წამოწიოს წინა პლანზე," - აცხადებს საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის წევრი დავით ბერძენიშვილი. მას ის ფაქტიც ძალიან აღიზიანებს, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში აჭარის საკითხის განხილვა მოეწყო.

"რუსეთის დუმაში საქართველოს საშინაო საქმეებზე მსჯელობა არავის ეკითხება. ასლან აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეა," - აღნიშნავს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი.

ყარსის ხელშეკრულების შესახებ ცალსახა პოზიცია აქვს დეპუტატ კობა დავითაშვილსაც. მისი თქმით, ყარსის ხელშეკრულების დენონსაცია აბსოლუტურად მცდარი ნაბიჯი იქნება და თუ ვინმეს ეს აზრად მოუვიდა, დიდ შეცდომას უშვებს. დავითაშვილის განმარტებით, **"იმ შემთხვევაში, თუ საქართველო განაცხადებს, რომ ყარსის ხელშეკრულებას არ ცნობს, ეს თურქეთის მიმართ პრეტენზიების წაყენების ტოლფასი იქნება".**

იმას, თუ რატომ "გაიხსენა" აბაშიძემ ყარსის ხელშეკრულება, კობა დავითაშვილი ასე განმარტავს: **"ასლან აბაშიძე არის პროვოკატორი და ცდილობს, საქართველოს, რუსეთის და თურქეთის ხელისუფალნი პროვოკაციაზე წამოიკიდოს."**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერს ასევე საკმაოდ "თბილად" მოიხსენიებს იგივე დავით ბერძენიშვილი.

"ასლან აბაშიძეს აქვს დევნისა და განდიდების მანია. პირველი მაშინ მოქმედებს, როდესაც ჩოლოქს აქეთ საქართველოს წარმოიდგენს ხოლმე, მეორე კი - ჩოლოქსა და სარფს შორის. აბაშიძე ძალიან სწრაფად უახლოვდება იმ პერსპექტივას, რომ ირაკლი ოქრუაშვილის უწყებამ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრას", - აცხადებს ბერძენიშვილი. მისი აზრით, ეს "პერსპექტივა" კიდევ უფრო ხელშესახები ხდება აჭარის ტერიტორიაზე, გუშინ, პარლამენტარ თამაზ დიასამიძის დაკავების შემდეგ.

ამ უკანასკნელ ფაქტს შეფასებას საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილიც აძლევს. მომხდართან დაკავშირებით, იგი, კომიტეტის სახელით, პროტესტს გამოთქვამს და თამაზ დიასამიძის დაკავებას "პოლიტიკურ ცინიზმს" უწოდებს.

P.S "24 საათი" წერდა, რომ ბიუროს პირველივე სხდომა რეგლამენტის დარღვევით ჩატარდა, რადგან იგი კანონით გათვალისწინებული 15 საათის ნაცვლად, 19 საათზე დაიწყო. სამწუხაროა, რომ კანონიდან გადახვევის ეს ფაქტი ბოლო არ აღმოჩნდა: პარლამენტის "შიდა კონსტიტუციად" მონათლული რეგლამენტის მოთხოვნები გუშინ არც საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების დახურულ სხდომებზე გაითვალისწინეს. რეგლამენტის 48-ე მუხლის თანახმად, "კომიტეტის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომიტეტი ატარებს დახურულ სხდომას. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით". კანონის ამ მოთხოვნათა მიუხედავად, ორივე კომიტეტზე მოხდა ისე, რომ სხდომის დახურვისთვის კენჭი არავის უყრია და ჟურნალისტები დარბაზიდან უცერემონიოდ დაითხოვეს.

რუსეთის პარლამენტის ძველი სიმღერა

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი, აჭარის რესპუბლიკაში დაძაბულობის გამწვავებასთან დაკავშირებით

„აჭარაში დაძაბულობის გამწვავება რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს დეპუტატების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ყველანაირი საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ კონფლიქტის გადასაჭრელად თბილისი ძალის გამოყენებას გეგმავს. ამასთან დაკავშირებით გვაშფოთებს მასშტაბური სწავლება "დიოსკურია 2004; მძიმე ტექნიკის, შეიარაღების მობილიზება აჭარის საზღვრებთან; საქართველოს ხელისუფლების განზრახვა, თავისი მიზნების განსახორციელებლად სხვა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. აღნიშნულ ვითარებაში მიუღებელია მუქარის ენით საუბარი, რაც მოლაპარაკებებისათვის არასასურველ ატმოსფეროს ქმნის.

მიაჩნიათ რა თბილისი-ბათუმის ურთიერთობა საქართველოს საშინაო საქმედ, რუსი პარლამენტარები, ამავდროულად, აბსოლუტურად დაუშვებლად და დიდ რისკად აფასებენ საომარი განცხადებებით და ძალის გამოყენების მუქარით პრობლემების გადაწყვეტის მცდელობას. რუსეთის სათათბიროს დეპუტატები იმედოვნებენ: მეგობარი სახელმწიფოს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები გაგებით მოეკიდებიან სიტუაციას და გაითვალისწინებენ, რომ დაძაბულობის გამწვავებას აჭარის გარშემო, განსაკუთრებით ძალის გამოყენებას, შეიძლება უმძიმესი და გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი რეგიონისთვის, რაც განსაკუთრებით სახიფათოა ამჟამინდელ საერთაშორისო ვითარებაში. მოვლენების ამგვარი განვითარება არ შეიძლება არ შეეხოს რუსეთის ეროვნული უშიშროების, რეგიონში რუსეთის მეგობრების და მოკავშირეების ინტერესებს. რუსეთის სახელმწიფო სათათბირო მიმართავს საქართველოს პარლამენტს, გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა, რათა შეაჩეროს აჭარაში ვითარების განვითარება ძალისმიერი აქციების მიმართულებით, ყველა ზომა მიიღოს დაძაბულობის განსამუხტად. მხოლოდ პოლიტიკური დიალოგის გზით ეძებოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებები".

■ ■ ■

რუსეთის პარლამენტში აჭარის ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე მიღებული მიმართვის პროექტს მხარი 392-მა დეპუტატმა დაუჭირა. პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტისა და დუმის სპიკერატის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ტექსტი დეპუტატებსა და ჟურნალისტებს მაშინ დაურიგდათ, როცა პარლამენტი ბალტიის რესპუბლიკებში რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების ფაქტებზე მსჯელობდა.

მიმართვის განხილვა ტექსტში სარედაქციო-ლინგვისტიკური შენიშვნების შეტანით დაიწყო. დეპუტატმა ზალატისათვის ძებნილად გამოცხადებული რომან დუმბაძე ხელმძღვანელობენ.

"მე გუშინ საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, მივიღე ინფორმაცია თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტიდან. არის პრეზიდენტის ბრძანება, რომ არავითარი "უჩენია" არ ტარდება ფოთში და შევდივართ გემებით აჭარაში. დღეიდან 5 მაისამდე ყველაფერი უნდა შეიცვალოს აჭარაში. თუკი ასეთი ჩანაფიქრი არ არსებობს, მაშინ რა საჭირო იყო საბრძოლო ტექნიკის განთავსება მერიაში? თანაც ორი კვირის წინ საქართველოს გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა გივი იუკურიძემ მითხრა, რომ იგი შეასრულებს ნებისმიერ ბრძანებას, თუნდაც ეს ბრძანება საბრძოლო მოქმედების აჭარის ტერიტორიაზე გადატანას ეხებოდეს," - აცხადებს დუმბაძე.

დაუმორჩილებლობის გამოცხადების შემდეგ, რომან დუმბაძე ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში ძალიან მიღებულ პირად იქცა. მას ემსახურება გაძლიერებული დაცვა და მთავარი სამხედრო მრჩევლის მოვალეობას ასრულებს მას შემდეგ, რაც რუსმა გენერალმა იური ნეტკაჩოვმა ბათუმი დატოვა. თუმცა, ნეტკაჩოვის მიერ მომზადებული მებრძოლი ზაზა ფალავანდიშვილი ყვება, რომ რუსი გენერალი მათ საერთო-საჯარისო სპეციალობით ამზადებდა და არაფერი განსაკუთრებული მისია მას არ ჰქონია.

"ჩვეულებრივად გვამზადებდა, არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. გვასწავლიდა იმას, რაც მოეთხოვება ჯარისკაცს. განსაკუთრებული და შენიღბული არაფერი ყოფილა. ეს იყო ჩვეულებრივი საერთო-საჯარისო მომზადება. თვითონაც ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მე გენერალი ნეტკაჩოვი უკანასკნელად 3 თვის წინ ვნახე," - ამბობს ზაზა ფალავანდიშვილი.

დღის საათებში ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე მიმოსვლას ავტოინსპექტორები არეგულირებენ. ისინი "განსაკუთრებული ინტერესის გამომწვევი" ადამიანების შესახებ სამხედრო შტაბს ატყობინებენ. ამ საველე შტაბში შესაძლებლობა მომეცა, გავსაუბრებოდი აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს.

"საქმე რაშია, იცით, დღეს ასეთი მდგომარეობაა: ცენტრალური ხელისუფლება აცხადებს, რომ დაურიგებს მათ მაღალ ხელფასებს, მაშინ, როცა ჩვეულებრივ ჯარისკაცს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აქვს ხუთი ლარი. ბევრი ამ დაპირებას წამოეგო იმიტომ, რომ ჯარისკაცი ჯარისკაცია. მაგრამ, ჩვენ არ ვუშლით არავის გადასვლას. დაე, თავად დარწმუნდეს ის ადამიანი, თუ რა პროცესები მიმდინარეობს. ამის ხელის შეშლა არ იქნება სწორი, რადგან ის ჯარისკაცი, ვინც მოვალეობას ფულზე გაცვლის, მაინც ვეღარ ივარგებს ჯარისკაცად. თანაც, აჭარაში ბევრი მოხალისე ადამიანი და ჯარისკაცია, ვინც ფიქრობს სხვანაირად, რომ უნდა დაიცვას თავისი ოჯახი და თავისი კუთხე," - ამბობს გოგიტიძე.

აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა ოთხშაბათს კომენტარი გაუკეთა ბათუმის სანაოსნოს ყოფილი უფროსის ასლან სმირბას ნაბიჯს და იმ სკანდალურ გამოსვლას, რომელშიც ასლან აბაშიძის ყოფილმა აქტიურმა თანამებრძოლმა და ერთ-ერთმა გავლენიანმა ბათუმელმა ბრალი დასდო აჭარის ხელისუფლებას ცენტრთან ურთიერთობის გამწვავებაში. ჯემალ გოგიტიძის თქმით, ასლან სმირბა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ზრუნავს.

"პირდაპირ გეტყვით, რომ არაერთხელ ყოფილა მცდელობა, საზღვაო სანაოსნოსთან დაკავშირებით მისი პროკურატურაში დაბარებისა, მცდელობა იმისა, რომ საქმე აღძრულიყო და დაკითხვა დაწყებულიყო. აი, ამის ეშინია და მე ვფიქრობ, ამანაც იქონია გავლენა. ამ პირობებში ის ფიქრობს, რომ მას ამ ამბებს აღარ გაუხსენებენ, მაგრამ ცდება. ის პატარა ბიჭივით მოიქცა."

ასლან აბაშიძის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენი აჭარის" წევრები, საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, არ წყვეტენ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

"აჭარაში 14 წელია მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. ჩვენ ამას შეგუებულ

"დიოსკურია 2004" და გუშინდელი დღე აჭარაში

ჰირველი გვერდიდან

ცხადებით, ფლაგმანი უნდა იყოს), რომელთა ჩამოსაყვანად ათენში კვირაზე მეტია იმყოფება საზღვაო თავდაცვითი ძალების სარდალი გენერალი ზურაბ ირემაძე.

წინასწარი ინფორმაციით, კომპლექსურ სწავლებაში "დიოსკურია 2004", რომლის მიზანი სამშვიდობო-ჰუმანიტარული ამოცანების შესრულებაა, შეიარაღებული ძალების თითქმის ყველა ელიტური ქვედანაყოფი და აქტიური კომპონენტი - ავიაცია, მცურავი საშუალებები და მძიმე საბრძოლო ტექნიკა მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, ჯერჯერობით, ყველა კომპონენტი სხვადასხვა ადგილებშია დისლოცირებული, რის გამოც სწავლების სამზადისი ფოთში ნაკლებად იგრძნობა.

სამაგიეროდ, სრულიად საპირიპირო ვითარებაა სასტუმრო "ანკორში", სადაც მორიგეობით იკრიბებიან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ამავე სასტუმროშია დაბინავებული "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერი თენგიზ ასანიძე. აჭარის იზოლატორიდან სამი კვირის წინ გამოსული ასლან აბაშიძის ოპონენტი ყოველდღიურად იკაჟებს სხეულს ზღვაში ცურვით, ხვდება აჭარიდან გადმოსულ დელეგაციებს და არ მალავს, რომ ფოთი, გარკვეულწილად, პლაცდარმის მნიშვნელობას იძენს.

"რა თქმა უნდა, ეს არის პლაცდარმი აჭარისკენ მშვიდობიანი მსვლელობის თვალსაზრისით. მე არ დამიმალავს, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ დავიწყებდი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, რათა მშვიდობიანი გზით შევცვალოთ ასლან აბაშიძის რეჟიმი ავტონომიაში. ჩვენი მომხრეების რიცხვი დღითი დღე იზრდება. უახლოეს ხანში ვაპირებთ მშვიდობიანი მანიფესტაციების მოწყობას აჭარაში. აუცილებელია, 10-12 ათასი კაცი შეიკრიბოს და აიძულოს ასლან აბაშიძე, გადადგეს. რა თქმა უნდა, აბაშიძეს აქვს ფული და რესურსები, რომ დაგვიპირისპიროს შეიარაღებული ადამიანები, მაგრამ თუ იგი ძალას გამოიყენებს, ეს იქნება მისი რეჟიმის კრახი," - ამბობს თენგიზ ასანიძე.

ფოთის აკვატორიაში დაწყებულ ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრების სამზადისს, აჭარის ავტონომიის ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობის განახლებითა და კომენდანტის საათის შემოღებით უპასუხა.

აჭარის ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ჩოლოქთან, ასლან აბაშიძის რეზიდენციის შემდეგ, ნომერ პირველ თავდაცვით პოსტს წარმოადგენს. ხიდის ორივე მხარეს გაკეთებულ სპეციალურ სამალავებში თავმოყრილია საზენიტო დანადგარები, გათხრილია სანგრები მეტყვიამფრქვევეებისათვის და ქვეითებისათვის, რომლებიც ხიდიდან 60 მეტრში კარვებში ცხოვრობენ. სამხედროფორმიანი გუშაგების რაოდენობა დღის განმავლობაში 200 კაცს არ აღემატება. თავდაცვით საქმიანობას ჩოლოქზე აჭარის შეინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ გოგიტიძე და საქართველოს ხელისუფლების მიერ სამშობლოს ღალატისათვის ძებნილად გამოცხადებული რომან დუმბაძე ხელმძღვანელობენ.

"მე გუშინ საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, მივიღე ინფორმაცია თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტიდან. არის პრეზიდენტის ბრძანება, რომ არავითარი "უჩენია" არ ტარდება ფოთში და შევდივართ გემებით აჭარაში. დღეიდან 5 მაისამდე ყველაფერი უნდა შეიცვალოს აჭარაში. თუკი ასეთი ჩანაფიქრი არ არსებობს, მაშინ რა საჭირო იყო საბრძოლო ტექნიკის განთავსება მერიაში? თანაც ორი კვირის წინ საქართველოს გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა გივი იუკურიძემ მითხრა, რომ იგი შეასრულებს ნებისმიერ ბრძანებას, თუნდაც ეს ბრძანება საბრძოლო მოქმედების აჭარის ტერიტორიაზე გადატანას ეხებოდეს," - აცხადებს დუმბაძე.

დაუმორჩილებლობის გამოცხადების შემდეგ, რომან დუმბაძე ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში ძალიან მიღებულ პირად იქცა. მას ემსახურება გაძლიერებული დაცვა და მთავარი სამხედრო მრჩევლის მოვალეობას ასრულებს მას შემდეგ, რაც რუსმა გენერალმა იური ნეტკაჩოვმა ბათუმი დატოვა. თუმცა, ნეტკაჩოვის მიერ მომზადებული მებრძოლი ზაზა ფალავანდიშვილი ყვება, რომ რუსი გენერალი მათ საერთო-საჯარისო სპეციალობით ამზადებდა და არაფერი განსაკუთრებული მისია მას არ ჰქონია.

"ჩვეულებრივად გვამზადებდა, არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. გვასწავლიდა იმას, რაც მოეთხოვება ჯარისკაცს. განსაკუთრებული და შენიღბული არაფერი ყოფილა. ეს იყო ჩვეულებრივი საერთო-საჯარისო მომზადება. თვითონაც ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მე გენერალი ნეტკაჩოვი უკანასკნელად 3 თვის წინ ვნახე," - ამბობს ზაზა ფალავანდიშვილი.

დღის საათებში ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე მიმოსვლას ავტოინსპექტორები არეგულირებენ. ისინი "განსაკუთრებული ინტერესის გამომწვევი" ადამიანების შესახებ სამხედრო შტაბს ატყობინებენ. ამ საველე შტაბში შესაძლებლობა მომეცა, გავსაუბრებოდი აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს.

"საქმე რაშია, იცით, დღეს ასეთი მდგომარეობაა: ცენტრალური ხელისუფლება აცხადებს, რომ დაურიგებს მათ მაღალ ხელფასებს, მაშინ, როცა ჩვეულებრივ ჯარისკაცს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აქვს ხუთი ლარი. ბევრი ამ დაპირებას წამოეგო იმიტომ, რომ ჯარისკაცი ჯარისკაცია. მაგრამ, ჩვენ არ ვუშლით არავის გადასვლას. დაე, თავად დარწმუნდეს ის ადამიანი, თუ რა პროცესები მიმდინარეობს. ამის ხელის შეშლა არ იქნება სწორი, რადგან ის ჯარისკაცი, ვინც მოვალეობას ფულზე გაცვლის, მაინც ვეღარ ივარგებს ჯარისკაცად. თანაც, აჭარაში ბევრი მოხალისე ადამიანი და ჯარისკაცია, ვინც ფიქრობს სხვანაირად, რომ უნდა დაიცვას თავისი ოჯახი და თავისი კუთხე," - ამბობს გოგიტიძე.

აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა ოთხშაბათს კომენტარი გაუკეთა ბათუმის სანაოსნოს ყოფილი უფროსის ასლან სმირბას ნაბიჯს და იმ სკანდალურ გამოსვლას, რომელშიც ასლან აბაშიძის ყოფილმა აქტიურმა თანამებრძოლმა და ერთ-ერთმა გავლენიანმა ბათუმელმა ბრალი დასდო აჭარის ხელისუფლებას ცენტრთან ურთიერთობის გამწვავებაში. ჯემალ გოგიტიძის თქმით, ასლან სმირბა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ზრუნავს.

"პირდაპირ გეტყვით, რომ არაერთხელ ყოფილა მცდელობა, საზღვაო სანაოსნოსთან დაკავშირებით მისი პროკურატურაში დაბარებისა, მცდელობა იმისა, რომ საქმე აღძრულიყო და დაკითხვა დაწყებულიყო. აი, ამის ეშინია და მე ვფიქრობ, ამანაც იქონია გავლენა. ამ პირობებში ის ფიქრობს, რომ მას ამ ამბებს აღარ გაუხსენებენ, მაგრამ ცდება. ის პატარა ბიჭივით მოიქცა."

ასლან აბაშიძის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენი აჭარის" წევრები, საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, არ წყვეტენ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

"აჭარაში 14 წელია მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. ჩვენ ამას შეგუებუ-

ლევან ვარშალომიძე: "რკინიგზა ღია ყველა ინვესტორისთვის"

რკინიგზა პირველი სახელმწიფო საწარმო იყო, რომლის მართვაც ახალმა ხელისუფლებამ "ახალი სტილით" დაიწყო. მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ პროცესს სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. თუმცა, ვნებები ჩაცხრა და რკინიგზაც, გარკვეულწილად, ჩრდილში მოექცა. მას შემდეგ, რაც ამ სახელმწიფო საწარმოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, უკვე სამი თვე გავიდა. ჩავთვალეთ, რომ საკმარისი დრო გახლდათ პირველი შედეგების შესაჯამებლად. რკინიგზაში "24 საათს" ციფრებით დახვდნენ: 2004 წლის პირველ კვარტალში, შარშანდელთან შედარებით, 11,3 პროცენტით მეტი ტვირთი გადაიტვირთა, 25 პროცენტით გაიზარდა მგზავრთა ნაკადი და 70 მილიონით - რკინიგზის შემოსავალი, 1,9 მილიონით - ბიუჯეტისთვის გადახდილი გადასახადი. თუმცა ცხადია, კვლავ რჩება კითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც "24 საათმა" რკინიგზის გენერალურ დირექტორს ლევან ვარშალომიძეს სთხოვა. ვარშალომიძე სულ ერთი დღის დაბრუნებული გახლდათ რკინიგზების თანამშრომლობის ორგანიზაცია "ОСЖД" - ს წევრი ქვეყნების კონფერენციიდან და პირველი კითხვაც, ცხადია, ამ კონფერენციას მიეძღვნა:

თამარ ივანიძე

ბელი გელაგეთილის ფოტო

ვარშალომიძე სამი თვის შედეგებს აჯამებს.

- საქართველოს რას აძლევს ამ ორგანიზაციის წევრობა?

- ფაქტობრივად, ამ ორგანიზაციის მისწრაფებაა, უნიფიცირება გაკეთდეს და რკინიგზების სტანდარტების დაახლოება მოხდეს.

- რამდენად შორს არის საქართველოს რკინიგზა ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ორგანიზაციების სტანდარტებიდან?

- ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ. ნამდვილად მისაბაძია ის მაგალითი, რომელიც ჩვენ ყაზახეთში ვნახეთ. რკინიგზის განვითარების პროგრამა იქ დაწყებულია ორი წლის წინ და კიდევ სამ წელიწადს გაგრძელდება. ამ სამი წლის შემდეგ ყაზახეთს საერთაშორისო სტანდარტების დონის რკინიგზა ექნება. ეს იქნება ორგანიზაცია, სადაც განხორციელებულია ყველა ის რეფორმა, რომლის განხიორციელებასაც ჩვენ ვაპირებთ.

- ამ ორგანიზაციის ფარგლებში ხორციელდება რკინიგზის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებები. რა სახის ღონისძიებებზეა საუბარი? ქართული რკინიგზა რამდენად უწევს კონკურენციას, მაგალითად, სამხრეთულ კორიდორებს?

- საქართველოს რკინიგზის მიდგომა არის ასეთი - ჩვენ აზერბაიჯანის და საქართველოს რკინიგზას განვიხილავთ, როგორც ერთიან გზას. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ კონფერენციაზე უკვე შევთანხმდით, რომ - 1 მაისს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე რკინიგზების ხელმძღვანელების მუშა შეხვედრა შედგება, სადაც დავსახავთ, თუ როგორ გავხადოთ ჩვენი გზა, ანუ აზერბაიჯანი-საქართველოზე გამავალი სარკინიგზო გზა, სხვა გზებთან შედარებით, უფრო მიმზიდველი გადამზიდავებისათვის.

- ამ მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებს შორის უნდა იყოს ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესება თუ დაგეგმილია ტარიფების შეცვლაც?

- რა თქმა უნდა, ორივე ერთად. პირველ რიგში, ტვირთგადამზიდავს აინტერესებს ტარიფის ოდენობა და, ამასთან ერთად - თუ რამდენი დრო სჭირდება მის საქონელს დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად.

- გადამზიდავები აღნიშნავენ, რომ ტარიფების სიდიდემ და სხვა წინაღობებმა ნავთობის ტვირთების დიდი ნაწილი ირანის მიმართულებით გადაისროლა.

- როგორც უკვე ვთქვი, ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, ჩვენ გარკვეული იდეების დონეზე გვაქვს ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა მოხდეს სატარიფო პოლიტიკაში ცვლილებები. თითოეულ საქონელზე უნდა მოხდეს ტარიფის დიფერენცირება. დღეს რა ხდება? ტვირთბრუნვის 85 პროცენტი არის ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ჩვენ დაკარგული გვაქვს მშრალი ტვირთი. რადგან ჩვენთან არ გადაადგილდება ეს ტვირთი, ესე იგი, ძვირია ტარიფი. ყაზახეთშიც აქვთ ინტერესი, რომ ტვირთი ჩვენს კორიდორზე გავიდეს, მაგრამ სიძვირის გამო, ისინი ჩვენი მიმართულებით წამოსვლისაგან თავს იკავებენ. კონფერენციაში მონაწილეობის დროს ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, რომ ყაზახეთის მშრალი ტვირთები ჩვენკენ შემოგვებრუნებინა. ახლა უკვე ჩვენზე, ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, არის დამოკიდებული, რომ დავდოთ კონკრეტული ციფრები.

- მხოლოდ ტარიფია მთავარი პრობლემა?

- ტარიფი და დრო. რა თქმა უნდა, ძნელია, სამ თვეში რკინიგზის ტექნიკური რეაბილიტაცია სრულად მოხდეს, მაგრამ ჩვენ ეს პროცესი დავიწყეთ. თუ სამი თვის წინ ტექნიკური სიჩქარე იყო 30 კილომეტრ/საათი, დღეს 37 კილომეტრ/საათია. ეს საშუალო ტექნიკური სიჩქარეა.

- სტატისტიკურ მონაცემებში, რომელიც მე ხელთ მაქვს, საუბარია, რომ გასულ წელთან შედარებით, რკინიგზაზე ტვირთბრუნვა გაიზარდა. ეს იმის ბრალია, რომ რეალურად გაიზარდა ტვირთბრუნვა, თუ, უბრალოდ, ეს პროცესი შედარებით გათეთრდა?

- ვერ გეტყვით, ფაქტია, რომ დღეს რკინიგზის შემოსავალიც გაიზარდა და გაიზარდა რკინიგზის მიერ გადახდილი გადასახადის ოდენობაც.

- სამგზავრო გადაზიდვებზე თუ ვისაუბრებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მგზავრები რეალურ სასიკეთო ცვლილებებს ნამდვილად ვერ ხედავენ - ვერც მომსახურების ხარისხში, ვერც კორუფციულ ურთიერთობებთან, ანუ ქრთამის აღებასთან დაკავშირებით.

- თუ გავითვალისწინებთ, რომ მგზავრთა გადაყვანაში შემოსავლები 150-დან 170 პროცენტამდე გაიზარდა, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ რაღაც დონეზე ეს პრობლემა მაინც აღმოფხვრილია. რაც შეეხება კარდინალურ ცვლილებებს - დაგვერწმუნეთ, ამ ცვლილებებს ჩვენ განვახორციელებთ.

სამგზავრო სფერო საქართველოს რკინიგზის პრიორიტეტია. ჩვენ რამდენი ტვირთიც არ უნდა გადავზიდოთ, რაც არ უნდა გავზარდოთ შემოსავლები, რა თქმა უნდა, საქართველოს რკინიგზის სახე - ეს არის მგზავრების გადაყვანა.

იწერება სპეციალური პროგრამა რკინიგზის სამგზავრო მომსახურებასთან დაკავშირებით. ჩვენ რეალურად ვფიქრობთ პარკის განახლებაზე. საუბარია არა მხოლოდ ახალი ვაგონების ყიდვაზე, საუბარია ასევე ძველის გარემონტებაზე. ყველაზე ახალი ვაგონი დღეს საქართველოს რკინიგზაში არის 86 წელს გამოშვებული. ასე რომ, ძნელია ასეთ მდგომარეობაში მომხმარებელს მაღალი კლასის მომსახურება შესთავაზო.

- საქართველოში ყოველთვის იყო საუბარი იმაზე, რომ რკინიგზა არის ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული სისტემა. მიუხედავად ამისა, ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ სისტემაში დაისაჯა, კაკო ჩხაიძე გახლდათ. ბევრი მისი თანამებრძოლი და თანამოსაქმე დარჩა სისტემაში და, თუ სისტემაში არა, დაუსჯელი. თქვენ დანიშვნიდან რამდენიმე დღეში ამბობდით, რომ რკინიგზაში შემოსულნი არიან მაკონტროლებლები და მათ დასკვნებს ელოდებით. როგორ არის ახლა ამ შემოწმებების საქმე?

- კიდევ ველოდებით. კონტროლის პალატამ და საგადასახადო ინსპექციამ მუშაობა უკვე დაასრულა. ახლა გრძელდება კიდევ პროკურატურის გამოძიება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავად ჩვენს მიერ აღმოჩენილი 10 საქმემდე გადავაგზავნეთ პროკურატურაში.

- ყაზახეთის რკინიგზაზე საუბრისას სტრატეგიული გეგმის არსებობის აუცილებლობა აღნიშნეთ. მომავალი ორი-სამი წლის სტრატეგიული გეგმა უკვე არსებობს?

- ვმუშაობთ. 2 მაისს ამ თემაზე მორიგი შეხვედრა გვაქვს.

სხვათა შორის, ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ არსებულ, არამედ ახალი სარკინიგზო გზის გაყვანაზეც. შეიძლება, ინვესტორების მოზიდვაც არ დარჩეს ძნელი, მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება. არსებულ გზაზე 100 კილომეტრ-საათის მეტის განვითარება წარმოუდგენელია, ძალიან რთული რელიეფია. ამიტომ, ცუდი არ იქნება ფიქრი ჩქაროსნული გზის მშენებლობაზე.

- საუბარი იყო იმაზე, რომ რკინიგზას არაპირდაპირი დანიშნულების ობიექტებისგან გათავისუფლება უნდა დაეწყო. დაიწყეთ ეს პროცესი?

- ჩვენ ორ ეტაპად გავყავით ჩვენი გეგმა - ეს არის სტრატეგიული გეგმა და მიმდინარე გეგმა, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ. მიმდინარე გეგმა იყოფა ორ ნაწილად - ეს არის ფინანსური გეგმა, რომელიც მტკიცდება. რკინიგზაზე არ არსებობდა ასეთი რამ. 1 მაისისთვის ასეთი გეგმა გვექნება. მაისში გვექნება ასევე რესტრუქტურიზაციის ის პატარა გეგმა, რომელიც უნდა გატარდეს წლის ბოლომდე. უკვე ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, უბრალოდ, ამის პრეზენტაცია მოხდება ერთდროულად.

- თქვენ თქვით, რომ ფულის შოვნა შესაძლებელია. თუ ახორციელებს დღეს რკინიგზა მიმდინარე პროექტებს და თუ არის ახალი შემოთავაზებები?

- ჩვენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ადრე საუბარი იყო მხოლოდ ცისტერნების შესყიდვაზე, ახლა შევცვალეთ ფორმატი - შევთავაზეთ, რომ ამასთან ერთად, გარკვეული თანხა წავიდეს გზის რეაბილიტაციისთვის, რაც უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს რკინიგზისთვის.

საუბარია 10 მილიონ ევროს გრძელვადიან კრედიტზე, 7 წლის ვადით. აქედან 2-მილიონიანი პროექტი, ფაქტობრივად, გრანტის სახით მიეცემა საქართველოს რკინიგზას ერთიანი კომპიუტერული სისტემის შესაქმნელად.

კონტაქტები გვაქვს მსოფლიო ბანკთან, გერმანიის განვითარების ბანკთან (KFW)-სთან.

არა მარტო საერთაშორისო საფინანსო და საინვესტიციო ორგანიზაციებთან, არამედ კერძო ბიზნესმენებთანაც გვაქვს კონტაქტი. ჩვენ გამოვცხადეთ, რომ რკინიგზა ყველა ინვესტორისთვის ღიაა. მთავარია, ყველას ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ვართ ბიზნეს-პარტნიორები, ღია სტრუქტურა, ღია ორგანიზაცია და არა სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელშიც არავინ არ იცის, რა ხდება.

ორი სიტყვით

თბილისი. "საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე", რუსული მხარე უარს აცხადებს "აბრეშუმის გზის ქვეყნების" მე-6 საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობაში მონაწილეობაზე. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ეგიდით 29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით თბილისში მე-6 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა გაიმართება, რომელშიც საქართველოს გარდა მონაწილეობას მიიღებენ სომხეთი, აზერბაიჯანი, ავსტრია, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, კვიპროსი, აშშ და ირანი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო, აპრილის დასაწყისში დასჯილი "თბილგაზის" აბონენტები საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავენ. როგორც ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის მცხოვრებნი აცხადებენ, "თბილგაზმა" მათ ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა და მას შემდეგ კომპანიის წარმომადგენლები აბონენტებთან საერთოდ არ გამოჩენილან. მოსახლეობა აცხადებს, რომ მზად არის ბუნებრივი აირის საფასური ეტაპობრივად გადაიხადოს, თუმცა მათთან მრიცხველების ჩვენების ჩასაწერად არავინ მიდის. **ინტერ-პრესი**

კომპანია "თბილღვინოს" ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადება

ა.წ. 5-11 აპრილის კვირის პალიტრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით "თბილღვინო" უმაღლესი ლიგისკენ მიისწრაფვის" გაიპარა ტექნიკური შეცდომა, რომელიც ჩვენგან მიწოდებული ინფორმაციის კორესპონდენტის მიერ არასწორმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია. აქამდე "თბილღვინომ" კასრის ღვინოების პროექტს არაერთი საგაზეთო სტატია მიუძღვნა და არსად, სტატიებში და არც ცნობის ფურცელში, რომელიც "თბილღვინოს" პერიოდული გამოცემაა, არ ყოფილა განცხადება იმის შესახებ, რომ "თბილღვინო" საქართველოში ერთადერთია ვინც კასრის ღვინოებს აწარმოებს. თბილღვინო" იმედოვნებს, რომ ზემოთ აღნიშნული ტექნიკური შეცდომა ღვინის მწარმოებელი კომპანიების მხრიდან არ აღიქმება, როგორც "თბილღვინოს" მიზანმიმართული ქმედება.

სს „თელას"-ს" ესაჭიროება შემდეგი მასალები: ს.ს."თელასი" ქვემოთჩამოთვლილ საქონელს შეისყიდის იმ ორგანიზაციისგან, ვინც საუკეთესო ფასს და მოწოდების საუკეთესო პირობებს შემოგვთავაზებს.

1. ავზები ВМП-10 ზედა-ქვედა ამომყვანით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს „თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს „თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში; თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

30 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
არდაზიანის, ბუდაპეშტის, ჩერქეზიშვილის, გაგარინის, გელოვანის, იმედაშვილის, კანდელაკის, მგალობლიშვილის, ოდესის, ონიაშვილის, სახოკიას, ტაშკენტის, ვაზისუბნის, ყუშიტაშვილის, ზემო ვეძისის, ზოვრეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.
30 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:
გლდანულას(გლდანის ხევის დასახლების), გლდანის ა, II, IV, VI, VII მიკრორაიონების, თიანეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), შამპანურის ქარხნის საბაღე მეურნეობის, ვართაგავას, მორეტის ქუჩების მაცხოვრებლებს.

შეტაკებები ტაილანდში

რელიგიურ ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირება ტაილანდის სამეფოში მუსლიმური ამბოხის აშკარად გამოხატულ სახეს იძენს. გუშინდელი შეტაკებების შედეგად, დაახლოებით, ასი ადამიანია დაღუპული. ტაილანდის პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, რომ თავდამსხმელ მოზარდებს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირი არ აქვთ, თუმცა რელიგიური ფანატიზმის ეს გამოვლინება, შესაძლოა, რეგიონში სწორედ "ალ-ქაიდას" ქსელის ერთ-ერთი დაჯგუფების გააქტიურებას უკავშირდებოდეს.

ტაილანდის ხელისუფლების ცნობით, ისლამისტმა მებრძოლებმა გუშინ ქვეყნის სამხრეთში პოლიციის განყოფილებებზე რამდენიმე ერთდროული თავდასხმა განახორციელეს. პოლიციელთა განცხადებით, იალას, პატანისა და სონგხკლას პროვინციებში შეიარაღებული ჯგუფები 15 განყოფილებას ერთდროულად დაესხნენ თავს. ტაილანდის პრემიერ-მინისტრი თაკსინ ჩინავატი აცხადებს, რომ ბრძოლის დროს 93 თავდამსხმელი და 4 პოლიციელია დაღუპული.

ტაილანდის სამხრეთში ძალადობის ესკალაცია იანვრიდან დაიწყო. მაშინ იარაღის საწყობზე თავდასხმას 4 ჯარისკაცი ემსხვერპლა. მას შემდეგ ქვეყანაში გახშირებულ თავდასხმებს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ძალოვანების მხრიდან დანაკარგები უმნიშვნელოა, რადგანაც თავდამსხმელები, ძირითადად, ცივი იარაღით არიან შეიარაღებულნი და მათ შორის ავტომატური იარაღი მხოლოდ რამდენიმეს აქვს. "ესენი არიან სამხრეთ პროვინციების მოზარდები, რომელთა ქმედებებიც საერთაშორისო ტერორიზმს არ უკავშირდება," - ამბობს მინისტრთა კაბინეტის მეთაური.

ამ რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმური აღმსარებლობისაა. მათსა და ბუდისტ ტაილანდელებს შორის შეტაკებები აქამდეც ხშირად ხდებოდა და ამის მთავარ მიზეზად მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკით უკმაყოფილება სახელდებოდა. მუსლიმები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ისინი ბუდისტების მხრიდან ყოველთვის ჩაგვრას განიცდიან: ეხება ეს დასაქმებას, განათლების პერსპექტივებს თუ სხვა სფეროებს.

ტაილანდის არმია მზადყოფნაშია მოყვანილი.

სამეფოს სამხრეთ პროვინციების ბუდისტური მოსახლეობა რეგიონიდან მასობრივად გარბის. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ათასობით განცხადებაა შესული სხვა, უფრო წყნარ ადგილას გადაყვანის თხოვნით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ხელისუფლებამ ადგილობრივი სკოლების მასწავლებლებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვაც კი მისცა.

ტაილანდში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, მალაიზიამ საერთო საზღვრის გასწვრივ შეიარაღება გააძლიერა, რათა არ დაუშვას კონფლიქტის გავრცელება მეზობელი მალაიზიის ტერიტორიაზე. ტაილანდში კონფლიქტის ესკალაციით შეშფოთებულია ფილიპინებიც. ქვეყნის პრეზიდენტმა გუშინ, ტერაქტების საფრთხესთან დაკავშირებით, საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობების დაცვის გაძლიერების შესახებ განკარგულება გასცა.

არეულობის ორგანიზატორად "პატანის გათავისუფლების ფრონტი" მიიჩნევა - ნაკლებად ცნობილი სეპარატისტული დაჯგუფება, რომელიც ბუდისტური ტაილანდიდან უმეტესად მუსლიმებით დასახლებული სამხრეთ რეგიონის გამოყოფასა და იქ ისლამური სახელმწიფოს შექმნას ითხოვს. ამასთანავე, ტაილანდის სპეცსამსახურების ინფორმაციით, თავდასხმების მიზეზი ტაილანდის ანტიერაყულ კოალიციაში მონაწილეობაც შეიძლება იყოს. დაზვერვის მონაცემებით, ამბოხებულები 30 აპრილამდე, ქიმიური იარაღის, ზარინის გამოყენებით ტერაქტის განხორციელებას აპირებენ. სავარაუდოდ, მათი სამიზნე საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქნება. გასულ კვირას აქამდე უცნობმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ მუქარის წერილები გაუგზავნა ტაილანდში აკრედიტებულ პაკისტანისა და სამხრეთ კორეის საელჩოებსაც. მათში ნათქვამი იყო, რომ ამ ქვეყნებზე და ერაყში აშშ-ს სხვა მხარდამჭერებზე ტერაქტები მომავალშიც განხორციელდება.

აღმოსავლეთ ევროპას ახალი "რკინის ფარდის" ეშინია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რუსეთი

რუსეთის ელიტა აცნობიერებს, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებას გაცილებით დიდი ზეგავლენა ექნება მის ბედზე, ვიდრე ნატო-ს გაფართოებას; და ეს იმის მიუხედავად, რომ ამ უკანასკნელზე ლაპარაკს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში გაცილებით დიდი დრო ეთმობა.

რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის რიტორიკა ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებით დიდად არ შეცვლილა. თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ახლახან დაიმუქრა კიდეც, რომ მოსკოვი ბირთვულ არსენალს განაახლებს და შესაძლოა, თავის ბირთვულ დოქტრინასაც გადახედოს: ცივი ომის შემდეგ რუსეთის ბირთვული ქობინები დასავლური სახელმწიფოების დედაქალაქებისკენ აღარ არის მიმართული.

თუმცა, კერძო საუბრებში რუსი მაღალჩინოსნები გაცილებით მეტს მსჯელობენ ევროკავშირის გაფართოების ეკონომიკურ გავლენაზე და ნატო-ს ნაკლებ პრობლემად მიიჩნევენ.

ყველა თანხმდება, რომ მოკლევადიან პერიოდში გაფართოება რუსეთს ეკონომიკურ სირთულეებს მოუტანს. რუსეთის მეზობელ ახალ წევრ-სახელმწიფოებს, რომლებიც რუსული საქონლის მთავარი ბაზარია, ევროკავშირის კვოტებისა და ტარიფების შემოღება მოუწევთ. ეს კი რეგიონში რუსეთის მთავარ საექსპორტო პოტენციალს - სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და მეტალურგიას მიაყენებს ზიანს.

რუსეთი და ევროკავშირი ერთმანეთთან თითქმის ყველა სფეროში თანამშრომლობენ და ეს ურთიერთობა უამრავ ორმხრივ ხელშეკრულებაშია ინსტიტუციონალიზებული. ამ ხელშეკრულებების საფუძველზე ბევრი სამუშაო ჯგუფია შექმნილი, თუმცა რუსული ელიტის აზრით, ევროკავშირი რუსეთს მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ მიიჩნევს და მას მხოლოდ იაფი ენერგიის წყაროდ განიხილავს. ამგვარი შეხედულება კი დაძაბულობასა და უნდობლობას ზრდის.

თებერვალში ევროკავშირმა მოხსენება გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, პოსტსაბჭოთა პერიოდში ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობები ახლა ყველაზე დაბალ ნიშნულს მიუახლოვდა. მოხსენებაში, სხვა პრობლემებთან ერთად, ნახსენებია ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევა, დემოკრატიული განვითარების შეფერხება და კიოტოს პროტოკოლის ხელმოწერაზე რუსეთის უარი.

ამ მოხსენებას მოწონებით მხოლოდ რუსი ლიბერალები შეხვდნენ. მათი თქმით, ევროკავშირი გამოფხიზლდა და დაინახა, რომ რუსეთი ლიბერალური ქვეყანა არ არის. თუმცა, რუს დემოკრატებს აღიზიანებთ, რომ ევროპელი ლიდერები პუტინის ავტორიტარული მართვის მეთოდებს საჯაროდ არ აკრიტიკებენ.

გარიგება და მოუგვარებელი პრობლემები

მაქსიმალური სარგებლის მისაღებად რუსეთმა ევროკავშირის გაფართოებამდე გაზარდა ფსონები და განაცხადა, რომ რუსეთ-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის თაობაზე არსებულ ხელშეკრულებას ახალ წევრებზე არ გაავრცელებდა, თუ მის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდნენ. აღნიშნული ხელშეკრულება მოსკოვსა და ბრიუსელს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების უზარმაზარ სპექტრს არეგულირებს.

საბოლოოდ 27 აპრილს, გაფართოებამდე სამი დღით ადრე, ახალ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის თანახმად, რუსეთი პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას ახალ წევრებზეც გაავრცელებდა. სანაცვლოდ კი მოსკოვს ზოგიერთი მოთხოვნა დაუკმაყოფილეს.

გამართლდა რამდენიმე დღის წინ ესტონურ გაზეთ "პოსტიმეესში" გამოთქმული ვარაუდი, რომ ახალ ხელშეკრულებაში რუსულენოვანი უმცირესობების უფლებების დაცვაზე გაკეთდებოდა აქცენტი. ლატვიასა და ესტონეთში მნიშვნელოვანი რაოდენობის რუსულენოვანი უმცირესობა ცხოვრობს, რომელთანაც რიგასა და ტალინს დაძაბული ურთიერთობები აქვთ.

ახალ ხელშეკრულებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ "რუსეთი და ევროკავშირი მიესალმებიან ევროკავშირის წევრობას, როგორც ეროვნული უმცირესობების დაცვის გარანტიას".

ახალი, პატარა წევრი-სახელმწიფოები შიშობენ, რომ რუსეთმა ევროკავშირის დიდი სახელმწიფოები (ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი), შესაძლოა, მათზე ზეწოლის მოსახდენად გამოიყენოს. რიგასა და ტალინს სურს, რომ მათი ქვეყნების ტერიტორიაზე მცხოვრებმა რუსულენოვანმა მოსახლეობამ მხოლოდ ესტონურად და ლატვიურად მიიღოს განათლება და არა რუსულად, როგორც ისინი ითხოვენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ "გაკეთებულია ყველაფერი, რათა ევროკავშირის გაფართოების უარყოფითი გავლენა მაქსიმალურად შემცირდეს."

მოსკოვსა და ბრიუსელს შორის განხეთქილების ვაშლს კალინინგრადის საკითხი წარმოადგენს, რომელსაც რუსეთისაგან ლიტვის ტერიტორია ჰყოფს. ახალი შეთანხმების საფუძველზე შემცირდა კალინინგრადთან დასაკავშირებლად არსებული სატრანზიტო გადასახადი, რასაც რუსული მხარე დაჟინებით მოითხოვდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ კალინინგრადის შესახებ უახლოეს მომავალში მომზადდება სპეციალური შეთანხმება.

ამ შეთანხმებამდე რუსეთი ბრიუსელისაგან კომპენსაციას ითხოვდა, რაზეც უარი მიიღო, თუმცა სანაცვლოდ ევროკავშირმა რუსულ საქონელზე სავაჭრო ტარიფები შეამცირა, ასევე რუსული ფოლადის საიმპორტო კვოტები გაზარდა. ევროპელები ასევე დათანხმდნენ ანტიდემპინგური ზომების შერბილებაზეც, რომელსაც რუსული საქონლის მიმართ ბრიუსელი დღემდე იყენებდა.

მოუგვარებელ პრობლემად დარჩა რუსეთის შიდა ენერგობაზარზე დაწესებული დაბალი ტარიფები და კიოტოს ხელშეკრულება, რომლის ხელმოწერაზე კრემლი კატეგორიულ უარს აცხადებს. ენერგორესურსებზე მსოფლიო ბაზართან შედარებით გაცილებით დაბალი ფასები ამცირებს რუსული საქონლის თვითღირებულებას და ევროპულთან შედარებით მის კონკურენტუნარიანობას ზრდის.

თავის მხრივ, ბრიუსელმა უარი განაცხადა რუსეთის მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის უფლების მინიჭებაზე. რუსეთიდან მიგრაციული ნაკადების გაზრდით ევროკავშირი დიდი ხანია, შეშფოთებულია.

"ჯანსაღი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ეფექტური მუშაობის წინაპირობაა," - დიპლომატიურად გამოხატა თავისი უკმაყოფილება სერგეი ლავროვმა ლუქსემბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც რუსეთ-ევროკავშირის პარტნიორობის მუდმივი საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა.

"ნაცრისფერი ზონა"

რუსეთისგან განსხვავებით, რომელსაც ევროკავშირზე გავლენის საკუთარი ბერკეტები გააჩნია, მათ შორის - ენერგეტიკული, გაცილებით სუსტ უკრაინას, მოლდოვასა და ბელარუსს საქმე უფრო ცუდად აქვთ. ევროპელი მაღალჩინოსნები და დიპლომატები "ნაცრისფერ ზონას" უწოდებენ იმ ტერიტორიას, სადაც 65 მილიონი უკრაინელი, მოლდოველი და ბელარუსი ცხოვრობს. სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ევროკავშირსა და რუსეთს შორის არის მოქცეული. მათთან ევროკავშირმა არანაირი სპეციალური შეთანხმება არ გააფორმა.

ამ ქვეყნებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას ევროკავშირის მკაცრი სავიზო რეჟიმი წარმოადგენს. ყოველწლიურად ათასობით ადამიანი სამუშაოს საძიებლად მიდიოდა მეზობელ პოლონეთსა და სხვა ახალ წევრ-სახელმწიფოებში.

ევროპის დასაქმების ფედერაციის მიერ გაკეთებული მოხსენების თანახმად, გასულ თვეს უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა, საშუალო შემოსავლების მიხედვით, 44, 45 და 46 ადგილზე იმყოფებიან.

ხალხი განსაკუთრებით პესიმისტურად არის განწყობილი ევროკავშირის მოსაზღვრე რეგიონებში, სადაც ვაჭრობა და დასაქმება მთლიანად ევროგაერთიანების ახალ წევრებთან ურთიერთობაზე იყო დამოკიდებული.

ახლა ეს სამი ქვეყანა დაბნეული და დეზორიენტირებულია. ამის კარგი მაგალითია ევროკავშირის მიერ "დაწუნებული" უკრაინა. გასულ კვირას კიევმა რატიფიცირება გაუკეთა ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთთან, ბელარუსთან და ყაზახეთთან ბუნდოვანი ეკონომიკური კავშირის შექმნას გულისხმობს. ამავდროულად, ამავე თვეში, უკრაინამ ნატო-სთან ახალი ურთიერთგაგების მემორანდუმი დაამტკიცა, სადაც ორმხრივი თანამშრომლობის ახალი მიმართულებებია განსაზღვრული. და კიდევ, რამდენიმე დღის წინ უკრაინამ რუსული ენის უკრაინის მაუწყებლობაში გამოყენება აკრძალა.

ამ ქვეყნების თქმით, მათ ხშირად ეუბნებიან, რომ "რუსეთს ზურგი შეაქციონ და ევროპისკენ შემობრუნდნენ, თუმცა ევროპისკენ მიმავალი გზა ჩაკეტილია."

ტერორისტებმა დამასკოსაც შეუტიეს

სირიის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქში სამშაბათს აფეთქებებისა და სროლის ხმა ისმოდა. "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ხუთამდე აფეთქება იმ რაიონში მოხდა, სადაც ირანის, კანადისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებია განლაგებული.

სირიის ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია ტერორისტთა თავდასხმის შესახებ, რომლებიც, თითქოსდა, ქაოსურ სროლას აწარმოებდნენ და სპეცსამსახურების კონტრ-დარტყმის შედეგად უკუიქცნენ. მოგვიანებით ნაჩვენები იქნა ერთ-ერთ სახლში აღმოჩენილი ყუმბარების, მომწამვლელი გაზის ბალონებისა და უცნობი ყვითელი ნივთიერებით სავსე ტომრების კადრები. ოფიციალური წყაროები იუწყებიან, რომ ქალაქში სიტუაციაზე კონტროლი მალევე აღდგა.

გადასატანი ყუმბარმტყორცნებით შეიარაღებულმა ნიღბიანთა ჯგუფმა, ადგილობრივი დროით დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე, ცეცხლი გაუხსნა დამასკოს ერთ-ერთ რაიონში განლაგებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს. სროლა 15 წუთი გრძელდებოდა. თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ყუმბარები დაუშინეს გაერო-ს წარმომადგენლობას, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ის შენობა იყო, რომელშიც ადრე გაერო-ს ოფისი იყო განთავსებული. გაერო-ს მისიის წარმომადგენელთა მტკიცებით, მათ ახალ ადგილსამყოფელს არანაირი დაზიანება არ მიუღია. კანადისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებიც აცხადებდნენ, რომ თავდასხმას ზიანი არ მიუყენებია მათი შენობებისთვის და, მით უმეტეს, საელჩოს თანამშრომლებისათვის.

თავდასხმის მიზეზებზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდი არსებობს. უკანასკნელ დრომდე სირიაში ვითარება სტაბილურობით გამოირჩეოდა; თუმცა, გასული წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია მოსალოდნელ ტერაქტზე და ხელისუფლება აქტიურად დაეძებდა დანაღმულ მანქანას. აპრილის დასაწყისში იორდანიის ხელისუფლებამ განაცხადა შეთქმულების გამოაშკარავების შესახებ, რომლის მიზანიც ქვეყნის დაზვერვის სამსახურზე თავდასხმა იყო. გავრცელებული ინფორმაციით, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ სირიიდან შემოსული "ალ-ქაიდას" დაჯგუფების წევრები.

ფალუჯა - წინააღმდეგობის ციტადელი

ერაყის "სუნიტური სამკუთხედის" ციტადელი - ქალაქი ფალუჯა კვლავ ამბოხებულთა ხელში რჩება. აშშ-ს შეიარაღებული ძალები, როგორც ჩანს, სახმელეთო შეტევებსა და ქუჩის ბრძოლებს ერიდებიან და ქალაქის საჰაერო და საარტილერიო დაბომბვებს აწარმოებენ. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, ოთხშაბათს, გამთენიისას, ამბოხებულთა პოზიციების მასირებული საჰაერო დამომბვები თავდაცვის მიზნებს ემსახურებოდა. საინფორმაციო სააგენტოების გადმოცემით, ერაყში ამბოხების დაწყებიდან გუშინდელი დარტყმა ყველაზე ინტენსიური და მასშტაბური იყო. ინფორმაცია შესაძლო მსხვერპლის შესახებ არ არსებობს.

"ფალუჯაში მთელი ღამის განმავლობაში გამაყრუებელი დაბომბვების ხმა ისმოდა. საპასუხო ცეცხლი არ გახსნილა. მეორე დილით შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა, თუმცა ქალაქი მთლიანად პარალიზებულია," - იუწყება შემთხვევის ადგილიდან არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირა." ამავე საინფორმაციო საშუალების ცნობით, გუშინ აშშ-ს სარდლობისა და ქალაქის წარმომადგენლების შეხვედრა იყო დაგეგმილი, თუმცა დეტალები ამ შეხვედრის შესახებ უცნობია.

საწინააღმდეგო ინფორმაციას ავრცელებს ამერიკელთა სარდლობა ერაყში. მათი თქმით, დაბომბვების მიზეზი გახდა ამბოხებულთა მხრიდან იარაღის ჩაბარების შესახებ არსებული შეთანხმების დარღვევა. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, ერაყელმა მებრძოლებმა კოალიციის პოზიციებზე შეტევა მიიტანეს, რის შემდეგაც კოალიცია იძულებული გახდა, მათი საცეცხლე პოზიციები ჩაეხშო. **"საზღვაო ქვეითმა მოწინააღმდგეს თავდაცვის მიზნით საპასუხო ცეცხლი გაუხსნა,"** - ნათქვამია სარდლობის განცხადებაში. იქვე ამერიკელები აცხადებენ, რომ ფალუჯაში გამაგრებულმა ამბოხებულებმა უარი განაცხადეს იარაღის ჩაბარებაზე, რაც მასირებული დაბომბვების დაწყების კიდევ ერთი მიზეზი გახდა.

ოთხშაბათს, გამთენიისას დაწყებული შეტევა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" პირდაპირ ეთერში გადასცა. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ასეთი კადრების ჩვენება კიდევ უფრო მეტად აღრმავებს ანტიამერიკულ განწყობას როგორც ერაყში, ასევე არაბულ სამყაროში.

ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, მათ არ სურთ ფალუჯაზე მასირებული სახმელეთო შეტევის დაწყება, რადგან ეს დიდ სისხლისღვრას გამოიწვევს. ვითარების სტაბილიზაციის მისაღწევად კი ისინი ერთადერთ გზად ერაყის უშიშროების ძალებთან ერთად ფალუჯას ქუჩებში პატრულირების დაწყებას განიხილავენ. ამისათვის ამერიკელებმა უკვე ერაყელებისგან დააკომპლექტეს სპეციალური დანაყოფი. თუმცა, დამკვირვებელთა განცხადებით, ფალუჯაში გამაგრებული ამბოხებულები სულაც არ აპირებენ ინიციატივის იმ თანამემამულეებისათვის დათმობას, რომლებიც საოკუპაციო ნაწილებთან თანამშრომლობენ.

ფალუჯა უკვე ერაყული წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა. ჯერჯერობით, არც ერთ დამკვირვებელს და არც ერთ სამხედროს არ შუძლია იმის თქმა, თუ როდის მოახერხებენ ამერიკელები ქალაქის აღებას. არ არის გამორიცხული, რომ ფალუჯას წინააღმდეგობა რამდენიმე თვეს გაგრძელდეს.

ვინ გადახურავს მრავალსართულიან თბილისს

რამდენი მრავალსართულიანი სახლია თბილისში, დაზუსტებით ვერავინ გეტყვით. სამაგიეროდ, გეტყვიან იმას, რომ მათ 78 პროცენტს სახურავის შეკეთება ესაჭიროება. თბილისში მომხდარმა მიწისძვრამ დაზიანებული სახლების რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა. მიწისძვრით დაზიანებული სახლების წილი დაზიანებული სახლების საერთო რაოდენობაში 40 პროცენტს შეადგენს. გაზაფხულის წვიმებმა და ქარიანმა ამინდებმა პრობლემური სახლების მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. წვიმისგან, უამინდობისგან დაზღვეულები ვერც მომავალში ვიქნებით. შესაბამისად, გადახურვის საკითხი თბილისის მოსახლეობის წინაშე ისევ აქტუალურია.

ნინო ბერელიძე

გაზაფხულის წვიმებმა და ქარიანმა ამინდებმა პრობლემური სახლების მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა.

თბილისში არის მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, რომლებსაც გადახურვითი სამუშაოები არასდროს ჩატარებიათ. გასული წლის ივნისის თვეში ქალაქის საკრებულომ დაზიანებული სახურავებისა და ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაციისთვის თანხები გამოყო, თუმცა მაშინ დაზიანებული სახურავების მხოლოდ 20 პროცენტის გადახურვა მოხერხდა.

"დაზიანებული სახურავებისა და ლიფტების პროგრამა 2003 წლის ივნისის თვეში ქალაქის საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით შეიქმნა. ქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყო ორი მილიონ სამას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი. ამ თანხით რვა თვის განმავლობაში 240 000 კვ.მ სახურავი გადაიხურა. შეკეთებული გადახურვა სამ წელიწადს გაძლებს", - მოგვითხრობს ქალაქის მერიის კაპიტალური მოწყობის სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების უფროსი მალხაზ ბაღანაშვილი.

პროექტს მერიის კეთილმოწყობის სამმართველო ახორციელებდა. დაზიანებული სახურავების აღდგენა ხდებოდა რაიონის გამგეობებისგან მიღებული ინფორმაციისა და ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე. მალხაზ ბაღანაშვილის განცხადებით, **"შესრულებული სამუშაო ძალიან მცირეა; საქმე ისევ უამრავია. განსაკუთრებით უჭირთ ისეთ დიდ რაიონებს, როგორიცაა - გლდანი-ნაძალადევისა და ისანი-სამგორის. ამ რაიონებიდან ჩვენთან ამჟამად ორი ათასამდე განცხადებაა შემოსული. პრობლემის გადაჭრა შემდგომ დაფინანსებაზეა დამოკიდებული. თუ ბიუჯეტში ისევ იქნება ჩასმული ეს პროექტი, რამდენიმე ხანში შევძლებთ, მთლიანად შევასრულოთ დარჩენილი სამუშაო. პროექტის დაწყებისთანავე გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა რამდენიმე კომპანიამ. გადახურვას, ძირითადად, შპს "ბალავარი-99" და კომპანია "თბილისი" ასრულებდნენ".**

მოსახლეობის ნაწილი თავისი სახსრებით ახერხებს გადაჭრას და მოაგვაროს პრობლემა. უმეტესობას ეს არ შეუძლია - განსაკუთრებით, რთული მდგომარეობა აქვთ ბოლო სართულებზე მობინადრეებს. **"ოცდაათი წელია, ამ სახლის მეცხრე სართულზე ვცხოვრობ. ოთხი წელია, თავზე გვაწვიმს და მშველელი არავინ გამოგვიჩნდა,** - თავის გასაჭირს გვიზიარებს პენსიონერი გიორგი დარჩია, - **ამ გაზაფხულზე ქარმა სულ გადახადა სახურავი სახლს; ვის მივმართო, აღარ ვიცი. მერიაში გამგეობაზე მითითებენ, გამგეობა უარყოფით პასუხს მაძლევს, - ეს საკითხი ჩვენ არ გვეხებაო. ოჯახს ფინანსურად უჭირს, მეზობლები კი ვალდებულად არ თვლიან თავს, რომ ერთობლივი სახსრებით მოვაგვაროთ პრობლემა".**

საინტერესოა, რას გააკეთებს, ამ კუთხით, ქალაქის ახლად დანიშნული მერი. მერიის საინფორმაციო სამსახურის ინფორმაციით, **"ამ ეტაპზე ძნელია, რაიმე კონკრეტული ითქვას, რადგან მერიაში მიმდინარეობს კადრების რეორგანიზაცია. ამ პროცესის დასრულებისთანავე, მერის ინიციატივით, სამუშაო გეგმები შემუშავდება სფეროების მიხედვით; მათ შორისაა საცხოვრებელი კორპუსების გადახურვაც".**

თბილისში 28 უკანონო აფთიაქი დარჩა

ჩანს, მას შემდეგ, რაც გიგი წერეთელმა თბილისში განთავსებული ულიცენზიო აფთიაქები ფეხით შემოიარა და სამინისტროს შესაბამის სამსახურების უფროსებს გათავისუფლებით დაემუქრა, ყინული დაიძრა. სად და რამდენი უკანონო აფთიაქი დაიხურა თბილისში; ვინ არიან ამ საქმის მწარმოებლები; და რა ელით სამართალდამრღვევებს?

ოთარ ქირია

მინისტრი აფთიაქებს ამოწმებს.

ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციის მიერ მიმდინარე წლის მარტი-აპრილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ 194 ულიცენზიო აფთიაქიდან, რომლებიც ინსპექციამ გასულ წელს დააფიქსირა, დაიხურა 156. **"აქამდე ობიექტების დახურვა პრობლემად იმიტომ იქცა, რომ აღმასრულებელი ვერ ასრულებდა დაკისრებულ ფუნქციას. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ სასამართლოსაც, აღმასრულებელსაც, თუმცა აფთიაქები მაინც აგრძელებდნენ არსებობას. ჩვენ მხოლოდ ოქმის დაწერა გვევალება, სხვა - არაფერი. სხვათა შორის, არის აფთიაქები სადაც, ორჯერ და სამჯერ კი არა, ათჯერ და უფრო მეტჯერ გვაქვს ოქმი დაწერილი, თუმცა შედეგი მაინც არ იყო. იმედია, დღეს ყველაფერი შეიცვლება და კანონი იკანონებს",** - ამბობს ინსპექციის უფროსის მოადგილე ქეთევან ბარამიძე.

გიგი წერეთლმა განაცხადა, რომ 2002-2003 წლებში სამინისტრომ თბილისში 543 ულიცენზიო ფარმაცევტული საქმიანობით დაკავებული ობიექტი დააფიქსირა. **"დღეს მათი მეოთხედია დარჩენილი. დახურული ობიექტებიდან აღვნიშნავდი ყველაზე მძიმე უბნებს - შ.პ.ს. "ბიზნესი-პასაჟის ტერიტორიაზე 28 ულიცენზიო დახლი; "ბავშვთა-სამყაროს" ტერიტორიაზე - 64 ულიცენზიო დახლი; მეტრო "გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორიაზე - ხუთი ულიცენზიო ობიექტი; "რესპუბლიკური საავადმყოფოს" მიმდებარე ტერიტორიაზე - ორი ულიცენზიო ჯიხური და სხვა მრავალი. ამ ობიექტებს პირადად ვეწვიე. ეს ბევრი მათგანისთვის ერთადერთი საარსებო წყაროა, მაგრამ ვეცდებით, მათ ყველანაირად შევუწყოთ ხელი, ბიზნესის ლეგალიზების თვალსაზრისით",** - აცხადებს წერეთელი, თუმცა კონკრეტულ გეგმებზე ჯერ არ ლაპარაკობს.

ხსენებულის გარდა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში დაიხურა - ორი, ისანი-სამგორის რაიონში - 14, გლდანი-ნაძალადევის რაიონში - 12, ვაკე-საბურთალოს რაიონში - შვიდი და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში 22 ულიცენზიო ობიექტი. დღეისთვის დედაქალაქში ულიცენზიოდ მუშაობს მხოლოდ 28 ობიექტი. ჯანმრთელობის დამცველების განცხადებით, მომავალ თვეში მათაც მოევლებათ.

მოკლედ

სოფელ მერიის რკინიგზის სადგური - ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე

ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიის მოსახლეობის მიერ ოზურგეთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გადაკეტვა იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მერიის სარკინიგზო სადგურის გაუქმებას აპირებს. მერიის რკინიგზის სადგური 1926 წლიდან ფუნქციონირებს და მისი საჭიროების საკითხი დღემდე ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამ სოფელში ადრე მოქმედებდა სამხედრო და სამოქალაქო აეროდრომიც, რომელიც ამჟამად აღგვილია პირისაგან მიწისა. ახლა მისი ბედი რკინიგზის სადგურსაც ემუქრება. მოსახლეობას მიაჩნია, რომ სადგური სოფლისა და მიმდებარე სხვა დასახლებებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტია და აქციის განგრძობას მანამ აპირებს, სანამ სადგურის გაუქმების გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

არ მოვა ვაია, მოვა და - ვუი

მას აქეთ, რაც ყველა კატეგორიის პენსიონერთათვის პენსიების გაცემის პრეროგატივა სახალხო ბანკმა მიიღო, ხსენებული ბანკის ოზურგეთის ფილიალის შენობა, პენსიების გაცემის დღეებში, შრომის, ომისა და პოლიციის ვეტერანთა ალყაშია და დილიდან საღამომდე წივილ-კივილი და წყევლა-კრულვა გაისმის. ბანკის თანამშრომლები მოზღვავებული პენსიონერების მომსახურებას ვერ აუდიან, არადა, ყველას სასწრაფოდ სურს აგრერიგად მონატრებული, ამიერიდან უკვე 17 ლარამდე ამაღლებული, პენსიის აღება. შენობაში, შესასვლელში და წინამდებარე მოედანზე დიდი ზედახორა იქმნება. თუმცა, ერთი შეღავათი კია, ამ გაწამაწიაში ძველი, გაყინული თუ შეჩერებული პენსიები აღარავის ახსოვს.

თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან

მრავალშვილიანი დედების საკანონმდებლო ინიციატივა

"საქართველოს კანონი დედის სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ", - ასე ჰქვია იმ კანონპროექტს, რომელიც საქართველოს მრავალშვილიან ოჯახთა კავშირმა - "დედა-ოჯახი-საზოგადოება" - შეიმუშავა. ასეთ უცნაურ გამოთქმას მხოლოდ დღევანდელ საქართველოში თუ გაიგონებ. "ჩვენ გვსურს, მოეხსნას დედას არასრულფასოვნების კომპლექსი. ხმაურიანი აქციების მონაწილე დედები არ ვართ. გვინდა, დედას დაუბრუნდეს ის ღირსება, რომელიც გააჩნდა და დააკარგვინეს", - აცხადებენ დედები.

თამარ ჭაჭანიძე

"დღეს საქართველოში 60 ათასამდე მრავალშვილიანი დედაა. თუმცა, ჩვენი წესდება არა მხოლოდ მრავალშვილიანების პრობლემებზე მუშაობს, ჩვენ გვსურს, რომ, ზოგადად, დედა იყოს დაცული საქართველოში. ამიტომ, ჩვენს ორგანიზაციაში ყველა დედას შეუძლია გაწევრიანება. შეიძლება დედას ჰყავდეს ერთი შვილი, მაგრამ ის უფრო დიდ დახმარებას საჭიროებდეს; მრავალშვილიანობა სოციალურად დაუცველობას არ ნიშნავს. ჩვენ გვსურს, რაც შეიძლება, მეტ დედას გაუჩნდეს სურვილი მრავალი შვილს გაჩენისა", - განაცხადა ორგანიზაციის თავმჯდომარემ ხათუნა გოგილიძემ.

ორგანიზაციაში 700 წევრია. აქ მარტოხელა, მარჩენალდაკარგული, ინვალიდი შვილების პატრონები ან თავად ინვალიდი მშობლებიც არიან გაწევრიანებულები. შეღავათი კომუნალურ გადასახადებზე და ხუთი ლარი ფულადი დახმარება, იმ შემთხვევაში, თუ სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს - აი ის პრივილეგიები, რომლითაც ჩვენი მრავალშვილიანი დედები სარგებლობენ.

"საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგნიზაციამ "ამქორმა" რამდენჯერმე გაგვიწია დახმარება. ეს, ძირითადად, საკანცელარიო ნივთები, ჰიგიენური კომპლექტები, ჩვილ ბავშვთა დახმარება იყო. "ამქორი" ეხმარება კავშირში გაწევრიანებულ დედებს მედიკამენტებით. ასევე, მე-3 სამშობიაროსთან არსებული კონსულტაციის გამგემ, ქალბატონმა გულიკო სალარიძემ გამოთქვა სურვილი, რომ სრულიად უანგაროდ დახმარებოდა ჩვენს წევრებს გინეკოლოგიური პრობემების გადაჭრაში, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია", - გვითხრა ქალბატონმა ხათუნამ და სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დონორი ორგანიზაციები სულ უფრო ამცირებენ დახმარებას.

მათ მიერ შემუშავებულ კანონპროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დედის პენსიისა და მრავალშვილიანი დედის პენსიის გამიჯვნისა და ორივე მათგანის დაკანონების საკითხს. დედის პენსია დედებს პირველი შვილის გაჩენისთანავე უნდა ენიშნებოდეთ, რათა არ დარჩეს საქართველოში დედა, რომელიც, სიდუხჭირის გამო, ვერ შეძლებს თავისი შვილის გამოკვებას. დედას ამ სახის პენსია უნდა ეძლეოდეს, ვიდრე მისი შვილი 23 წლის შესრულდება. მრავალშვილიანი დედის პენსია კი მესამე შვილის გაჩენის დღიდან უნდა ენიშნებოდეთ. კანონპროექტით გათვალისწინებულია, აგრეთვე, მრავალშვილიანთათვის ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორიცაა მრავალშვილიანი ოჯახის შვილებისათვის შეღავათიანი სასწავლო კრედიტის გამოყოფა; ასევე, მცირე ბიზნესის წამოწყებაში ხელშეწყობა და, ამ გზით, მათთვის დასაქმების პრობლემის მოგვარებაც.

აფხაზეთის მართლმსაჯულება

გუშინ "აფხაზურ კლუბში" განიხილეს დევნილობაში მყოფი აფხზეთის სასამართლო ხელისუფლების მოღვაწეობა, რის შესახებაც აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვახტანგ თოდრიამ ისაუბრა. სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურის წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დიალოგი, რომელიც, ძირითადად, დევნილთა სასამართლო საჩივრებს შეეხო. დევნილებს შორის, ალბათ, ყველაზე ცნობილმა ადვოკატმა მალხაზ პატარაიამ ნათლად ჩამოაყალიბა იმ დევნილთა გასაჭირი, რომლებსაც სასამართლოს წინაშე მოუხდათ წარდგომა. მისი თქმით, შეინიშნება ერთი შემაშფოთებელი ტენდენცია - იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს არ აქვს იმ დევნილის გამოსახლების უფლება, რომელსაც სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია, ასეთებს მაინც ასახლებენ. საუბარია იმ კონტიგენტზე, რომელიც გარკვეულ საცხოვრებელ ადგილებში 1993 წელს სახელმწიფომ შეასახლა. შეხვედრაზე დაისვა საკითხი, რომ დევნილთა საქმეები აფხაზეთის რაიონულმა სასამართლოებმა განიხილონ; გამოითქვა სურვილი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართოს მრგვალი მაგიდა ყველა შესაბამისი უწყების წარმომადგენლობით.

შეხვედრის ბოლოს კლუბის წევრმა დევნილებმა აფხაზეთის სასამართლოს მუშაობა დადებითად შეაფასეს და განაცხადეს, - აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსაც რომ ასე ემუშავათ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდითო.

"აფხაზური კლუბი"

24 საათი

ტენდერი დამიწების კაბელების მიწოდებაზე

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოსთვის დახმარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის საჭიროა დამიწების კაბელები. აღნიშნული ტენდერის მიზანია კვალიფიციური მომწოდებლებისგან დამიწების კაბალების და მრიცხველების შესაძენად მოიძიოს ფასები. ტენდერში გამარჯვებულთან "ფი-ეი გოვერნმენთ სერვისიზ" გააფორმებს კონტრაქტს ფიქსირებულ ფასზე ზემოაღნიშნული შესყიდვების განსახორციელებლად.

ტენდერი გაიმართება პარასკევს, 2004 წლის 7 მარტს, ადგილობრივი დროით 17.00 საათზე ფი-ეი-ს თბილისის ოფისში, მისამართზე: ლესელიძის 44 I. ტენდერის მონაწილემ ქრისტეფორ ტომასის სახელზე უნდა წარმოადგინოს დოკუმენტების სრული პაკეტის ორი ასლი. დოკუმენტებს ხელი უნდა მოაწეროს და ბეჭედი დაუსვას კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა

სატენდერო მასალებისთვის გთხოვთ მიმართოთ კონტრაქტების მენეჯერს ქრისტეფორ ტომასს.
ტელეფონი: +995 (32) 921 486

ელ ფოსტა:
Christopher.Thomas@paconsulting.com

საპასპორტო პრობლემა ივლისის დასაწყისში მოიხსნება

საქართველოში კვლავ პრობლემატური და აქტუალურია პასპორტების თემა. ამის მიზეზი კი ის გაურკვევლობაა, რის გამოც ქვეყანაში საფრანგეთიდან, სადაც ქართული პასპორტის ყდები იბეჭდება, სამი თვის მანძილზე პასპორტები საერთოდ არ შემოსულა. მარტის ბოლოს შემოტანილი პასპორტების რაოდენობა კი, როგორც ჩანს, ვერ აკმაყოფილებს იმ გაზრდილ მოთხოვნას, რაც დღეს საქართველოშია.

თამარ კავთიტაძე

"ქვეყანაში პასპორტების დეფიციტია, რადგან მათზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში საპასპორტო მომსახურების ბიუროებმა 15 ათასი ცალი პასპორტი გასცეს, როცა, სტატისტიკური მონაცემებით, აქამდე თვეში 9 ათასი ცალი პასპორტი გაიცემოდა", - განაცხადა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გუშინ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა შოთა ასათიანმა.

პრობლემის დაძლევას საპასპორტოს ახალი უფროსი "სახელმწიფოებრივად მოდგომაში" ხედავს და მოუწოდებს მოსახლეობას: **"გაითვალისწინონ საქართველოში შექმნილი დეფიციტური მდგომარეობა და პასპორტებზე განაცხადები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიტანონ".**

შოთა ასათიანის თქმით, ანალოგიური მდგომარეობა ქვეყანაში შარშანაც ყოფილა და ამგვარი მიმართვა მაშინდელ ხელმძღვანელობასაც გაუკეთებია, რასაც გარკვეული შედეგი მოჰყვა.

"იმის თქმა არ გვსურს, რომ ქვეყანაში პასპორტები საერთოდ არ არსებობს, მაგრამ ის მცირე რაოდენობა, რომელიც დარჩენილია, ძირითადად, I და II ჯგუფის ინვალიდებზე, მძიმე ავადმყოფებსა და გადაუდებელი მიზნით უცხოეთში გამგზავრების მსურველებზე განაწილდება", - აღნიშნა ასათიანმა.

თუმცა, როგორც საპასპორტო ბიუროს ხელმძღვანელი გვპირდება, ივლისის დასაწყისიდან საქართველოში პასპორტების პრობლემა ბოლომდე მოგვარდება, რადგან უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ფრანგულ კომპანია "ფრანსუა შარლ ობერტურთან" და ივნისის ბოლოს საფრანგეთიდან 100 ათასი ცალი პასპორტი შემოვა. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, თუ საპასპორტო სიმბოლიკები შეიცვლება. ახალი სიმბოლიკების დამტკიცების შემდეგ საფრანგეთში პასპორტები ახალი სიმბოლიკებით დაიბეჭდება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძველი პასპორტები გაუქმდება. ისინი ვადის ამოწურვამდე ჩვეულებრივად იმოქმედებენ.

შოთა ასათიანი პრობლემების მოგვარებას გვპირდება. გიგიშვილის ფოტო

ერთი სიტყვით, ივლისიდან უცხოეთში გამგზავრების ნებისმიერ მსურველს არა მარტო საპასპორტო პრობლემა მოეხსნება, არამედ, როგორც შოთა ასათიანი გვპირდება, საპასპორტოებშიც გადაწყდება ხელოვნურად შექმნილი ბიუროკრატიული და კორუფციული პრობლემა.

როგორც ასათიანმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, შს მინისტრთან შეთანხმების საფუძველზე საპასპორტო ბიუროების თანამშრომელთა მიმართ მოთხოვნები საკმაოდ გამკაცრებულია. მისივე თქმით, ყველა საპასპორტო მომსახურების ბიუროში გამოიკვრება განცხადება, სადაც მითითებულია, რომ თანამშრომლების მხრიდან არაკორექტული მოპყრობის, თანამდებობრივი მდგომარეობის არამართებულად გამოყენების ან კორუფციული ხასიათის სამართალდარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეებს შეუძლიათ დარეკონ საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნულ ბიუროს ტელეფონებზე - 347205, 941416, 986886 და ყველა კანონდარღვევაზე მოხდება შესაბამისი რეაგირება.

ის, რომ საპასპორტოები ერთერთი ყველაზე მეტად კორუმპირებული სისტემაა, უცხო არც ახალი უფროსისთვის გახლავთ. თითქმის ერთთვიანი მუშაობის მანძილზე შოთა ასათიანმა უკვე შეძლო ამგვარი ფაქტების გამოვლენა და შემდეგი რეაგირებისთვის მათი შსს-ს გენერალურ ინსპექციაში გადაგზავნა.

"თუმცა, ამ სახის დანაშაულთან ბრძოლაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია თავად მოსახლეობას. თუ ვინმე თავად გახდა საპასპორტოში კორუფციის მსხვერპლი, ან ექნება უტყუარი ინფორმაცია, მოგვმართეთ და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სისტემა უღირსი კადრებისგან გავათავისუფლოთ", - გვარწმუნებს შოთა ასათიანი.

კახელებმა იერიში საპასპორტო განყოფილებაზე მიიტანეს

კომანდოსების მსგავსად, საპასპორტო განყოფილების შტურმით აღებას კახელებიც შეეცადნენ, თუმცა მანამდე ასობით ადამიანმა თელავი-თბილისის ავტომაგისტრალი გადაკეტა და საპასპორტო სამსახურში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ხმაურიანი პროტესტი გამოხატა. ინციდენტი მას შემდეგ განიმუხტა, რაც საქმეში სავიზო-საპასპორტო დეპარტამენტი ჩაერია და მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მომავალ კვირას პასპორტით ყველა მოქალაქეს დააკმაყოფილებდნენ.

ზვიად რუაძე
კახეთი

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში მცხოვრები მარინა ბექაური ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც უკვე მერვე თვეა, რაც საქართველოს მოქლაქის პასპორტის მიღებას ელის. გუშინ კი, სხვების მსგავსად, მასაც მოთმინების ფიალა აევსო და პროტესტის ნიშნად მანაც თავისი პოზიცია ავტომაგისტრალის გადაკეტვით გამოხატა: **"არსებული სიტუაციის მოწესრიგებას მხოლოდ ასეთი ქმედებით ვაპირებთ, რადგან სხვანაირად ყურადღებას არავინ მოგვაქცევს,"** - ამბობს ბექაური.

სიტუაცია საპასპორტო განყოფილებაში მას შემდეგ დაიძაბა, რაც რიგში მდგარ ორასამდე კაცს განუცხადეს, რომ გასაცემად მხოლოდ 50 პასპორტი იყო მზად. თუმცა, თავდაპირველად განყოფილების თანამშრომლები მოქალაქეებს არწმუნებდნენ, რომ მათ 20 პასპორტის გაცემის საშუალებაც არ ჰქონდათ. რაოდენობა მას შემდეგ გაიზარდა, როცა საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელები ჩაერთვნენ. **"თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ 20 პასპორტი იყო მზად, შემდეგ ათით გაზარდეს, ხოლო როცა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საპასპორტო განყოფილების უფროსისგან მიღება-ჩაბარების აქტი მოვითხოვეთ, აღმოჩნდა, რომ 50 პასპორტი იყო გასაცემად გამზადებული",** - განაცხადა "კმარას" აქტივისტმა მაია ლიუმ.

კახეთის რეგიონს მხოლოდ ერთი საპასპორტო განყოფილება აქვს, რომელიც გურჯაანში მდებარეობს და ამის გამო განყოფილების წინ ყოველთვის აყალმაყალია. გუშინდელ ფაქტზე კახეთის რეგიონალური საპასპორტო განყოფილების უფროსმა თემურ ლაზაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: **"ჩვენ დეპარტამენტს მოთხოვნა 300 პასპორტზე გავუგზავნეთ, მაგრამ 50 ცალი პასპორტი მოგვივიდა. საერთოდ კი, რიგში 500 კაცი დგას."** არასამთავრობო ორგანიზაციებს კი მიაჩნიათ, რომ გარიგება სავიზო სამსახურებსა და საპასპორტო განყოფილებებს შორის ხდება. **"ხალხი რომ არ აღელვებულიყო, ალბათ, ამ 50 პასპორტსაც არ გამოაჩენდნენ, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა სავიზო სამსახურის თანამშრომლები კლიენტს პასპორტის ღირებულებაზე მეტ ფასში ურიგდებიან,"** - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ვინ დააკავეს ფოთში - პროფესიონალი ჟურნალისტი თუ ჩვეულებრივი "მზვერავი"

ბოლო პერიოდში ფოთში განახლებული სამხედრო წვრთნები, თავისთავად ცხადია, არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების ცენტრშია მოქცეული, არამედ მას განსაკუთრებული გაფაციცებით ადევნებს თვალს "ბათუმის მთავარსარდალიც". ერთი მხრივ, ეს მოულოდნელი არავისთვის არ უნდა ყოფილიყო; მაგრამ, როგორც ჩანს, ასლან აბაშიძეს არ აკმაყოფილებს მხოლოდ საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით საკმაოდ ფართოდ გაშუქებული წვრთნების პროცესი და დამატებითი ინფორმაციების მოპოვებას ცდილობს...

თამარ კავთიტაძე

საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა გუშინწინ, ფოთში დააკავეს ბათუმელი ჟურნალისტი ირინა გოგოსაშვილი. ფოთის პოლიციის საგამოძიებო ნაწილის უფროსის თამაზ დავითაიას თქმით, გოგოსაშვილი ეჭვმიტანილია 362 მუხლის მეორე ნაწილში - არაერთგზის ყალბი დოკუმენტების გამოყენებაში, რაც მაქსიმუმ ორი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

"გოგოსაშვილს დაკავებისას აღმოაჩნდა სტუდია "აუდიენციის" თანამშრომლობის დამადასტურებელი მოწმობა. როგორც გავარკვიეთ, მას "აუდიენციაში" არასოდეს უმუშავია, აქედან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტი ყალბია", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში დავითაიამ.

გოგოსაშვილის "აუდიენციასთან" რაიმე კავშირს უარყოფს თავად სტუდიის ხელმძღვანელობაც.

საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა კი ჟურნალისტის საქმიანობაში ბევრ საეჭვოს ხედავს და არ გამორიცხავს, რომ მომავალში მას ბრალი სადაზვერვო საქმიანობის გამოც წარედგინოს.

უგულავას თქმით, ირინა გოგოსაშვილი ფოთში განლაგებული სამხედრო ბაზებისა და ტექნიკის ფარულ გადაღებებს აწარმოებდა და მასალებს აჭარის უშიშროების სამინისტროს აწვდიდა. ხოლო ავტონომიის სამართალდამცველები რისთვის იყენებდნენ ჟურნალისტის მიერ გადაღებულ კადრებს, გამოძიებისთვის ამ ეტაპზე უცნობია.

გარდა ჟურნალისტისა, უშიშროების თანამშრომელბმა ფოთშივე დააკავეს გოგოსაშვილის პირადი მძღოლიც. როგორც უგულავა ირწმუნება, აღნიშნული პიროვნება ბათუმის პოლიციის თანამშრომელია, თუმცა მას ჩხრეკისას არანაირი პირადობის მოწმობა არ აღმოაჩნდა. სამაგიეროდ, სამართალდამცველებმა მძღოლს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოუჩინეს და მისი საქმეც გამოსაძიებლად ფოთის პოლიციის საგამოძიებო ნაწილს გადაეგზავნა.

ირინა გოგოსაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით გუშინვე აჭარის სპეციალურმა პრესსამსახურებმა ინფორმაცია გაავრცელეს და ჟურნალისტის დაპატიმრება გააპროტესტეს. პრესსამსახურების ცნობით, ირინა გოგოსაშვილი წლების განმავლობაში ცხელ წერტილებში მუშაობდა, მათ შორის - აფხაზეთში და მოპოვებული აქვს ბევრი უნიკალური მასალა. იგი ამჟამად აჭარის ტელევიზიის უშტატო თანამშრომელია, პარალელურად მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროს პრესსამსახურში, ამზადებს რეპორტაჟებს კრიმინალურ თემაზე და მასალებს აწვდის საქართველოს ტელევიზიის პირველ არხსა და სტუდია "აუდიენციას".

პრესსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ირინა გოგოსაშვილის დაპატიმრება მხოლოდ იმიტომ გადაწყდა, რომ მას ფირზე აღბეჭდილი ჰქონდა კადრები, რომელთა გახმაურებაც ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა. მათი მტკიცებით, იგი ფოთში წვრთნებისათვის მობილიზებულ სამხედროებს სხვა ჟურნალისტებთან ერთად იღებდა.

ერთი სიტყვით, ბათუმელი ჟურნალისტის დაპატიმრებით აბაშიძესა და ცენტრს შორის ახალი დავა დაიწყო. გამოიკვეთება თუ არა ჟურნალისტის დანაშაული და შეძლებს თუ არა გოგოსაშვილის უდანაშაულობის დამტკიცებას მისი ბათუმელი ადვოკატი, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, თუმცა ჩნდება ერთი კითხვაც - ვინ მისცა ჟურნალისტს სახელმწიფო საიდუმლოდ გამოცხადებული მასალების (თუ ისინი მართლაც წარმოადგენდა საიდუმლოს) გადაღების უფლება?

უშიშროების მინისტრის მოადგილის თქმით, გამოძიება აუცილებლად დაინტერესდება აღნიშნული ნებართვის გამცემთა ვინაობით და მათაც კანონის შესაბამისად მოეთხოვებათ პასუხი.

თემურ ხაჩიშვილი სამართალს გენპროკურორთან ეძებს

პოლიტიკური ორგანიზაცია "დათვის" ლიდერს, ყოფილ მხედრიონელს და ასევე ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს თემურ ხაჩიშვილს რუსთავის სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლე ჯაბანიშვილმა ბრძანების წაკითხვამდე ჟურნალისტებისთვის სპეციალური განცხადება გააკეთა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ ნიშნავს იმას, რომ ხაჩიშვილი დამნაშავეა.

მაია მოსიაშვილი

"გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულება იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ ხაჩიშვილმა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა, - ნათქვამია სასამართლო გადაწყვეტილებაში.

მოსამართლემ არ გაითვალისწინა თემურ ხაჩიშვილის ადვოკატის ვახტანგ თალაკვაძის არც ერთი შუამდგომლობა. თალაკვაძე აცხადებდა, რომ ბინაში, სადაც ხაჩიშვილი დააკავეს და იარაღი ამოიღეს, დაკავებული არც ჩაწერილია და არც ცხოვრობს. მისივე მტკიცებით, დაკავების პროცესში უამრავი პროცესუალური დარღვევა დაფიქსირდა: არ იქნა წარმოდგენილი გაუდებელი ჩხრეკის დადგენილება, რომელიც უკანონო იყო; ჩხრეკას არ დაასწრეს იქ მყოფი ადამიანები; მეტიც, პოლიციამ დამსწრეები თბილისიდან თავად ჩამოიყვანა.

მოსამართლის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რის გამოც მან აღმკვეთი ღონისძიების გატარება აუცილებლად ჩათვალა, ის იყო, რომ ხაჩიშვილი გამოძიებას დაემალებოდა. ამ არგუმენტს თავად ხაჩიშვილი და მისი ოჯახის წევრები კატეგორიულად გამორიცხავენ. როგორც ეჭვმიტანილის ძმა დავით ხაჩიშვილი ამბობს, 25 აპრილს თემურმა იცოდა, რომ პოლიციას მისი დაპატიმრება სურდა, მაგრამ მიმალვა არც უცდია.

"ფაქტობრივად, მე ჩემს ძმაზე გამცვალეს. დილით თბილისში დამაკავეს, პოლიციის განყოფილებიდან ძმას დავურეკე, რომელიც შემდეგ მათ ესაუბრა და უთხრა, თუ ჩემი დაჭერა გინდათ, სახლში ვარ და მოდით, ჩემს ძმას კი თავი გაანებეთო. მართლაც, დაახლოებით 40 წუთში გამომიშვეს და მეზობელმა დამირეკა კიდეც - თემური მიჰყავთო," - აცხადებს დავით ხაჩიშვილი. თემურ ხაჩიშვილი, მისი ადვოკატი და ოჯახის წევრები ასევე კატეგორიულად უარყოფენ ბინიდან იარაღის ამოღების ფაქტს.

"ეს ყველაფერი სამარცხვინოა. სამწუხაროდ, შევარდნაძის ეპოქა არ შეცვლილა. ვითხოვ, თუ რამე რეალური აქვთ ჩემ წინააღმდეგ, წარუდგინონ გენერალურ პროკურორს და საზოგადოებას. მე არავითარი კანონსაწინააღმდეგო არც ქვეყნისა და არც პრეზიდენტის წინაშე არ ჩამიდენია. იმ დროს, როცა საქართველოში ასეთი დაძაბული სიტუაციაა, ჩემი დაჭერა პოლიტიკური ნიშნით მოხდა. მე ვარ მსხვერპლი. არ ვმალავ, რომ ბატონი პრეზიდენტის პოზიციას რუსეთისადმი სრულად ვიზიარებ. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს სჭირდებათ, რომ რაღაც უთანხმოება დაიწყოს რუსეთ-საქართველოს შორის," - განაცხადა თემურ ხაჩიშვილმა, თუმცა იქვე დაამატა, რომ ის არ არის იმ მნიშვნელობის პერსონა, რომლის მიზეზით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა შეიძლება გაფუჭდეს.

საგულისხმო განცხადება გააკეთა დაპატიმრებულმა ხაჩიშვილმა აჭარასა და ასლან აბაშიძესთან დაკავშირებით: **"ბატონ ასლანთან 1992 წლიდან ვმეგობრობ, მაგრამ ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით მე მას მხარს არ ვუჭერ. მით უფრო არ ვარ "აღორძინების" პოლიტიკური მომხრე, მაგრამ ამ სიტუაციაში ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებას არ ვაპირებ."**

ხაჩიშვილის ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს. პარალელურად, ის და მისი კლიენტი გენერალური პროკურორისგან საქმის დეტალურ გამოძიებასა და სამართლიანობას ითხოვენ.

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისში მრგვალი ბაღის მიმდებარე ტერიტორიიდან გატაცებულ ავტომანქანა "მერსედეს-ბენცს" მიაგნეს. თბილისის შსს მთავარი სამმართველოს ცნობით, 27 აპრილს, თბილისში, ბერიაშვილის ქუჩაზე მდებარე შპს "ბურანის" ავტოსადგომის ტერიტორიაზე დააკავეს აღნიშნული ავტომანქანის გამტაცებელი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: წალენჯიხაში მცხოვრები, 30 წლის ლევან ღვინჯილია, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა ე.წ. "ატმიჩკები" და წარსულში ნასამართლევი, თბილისში მცხოვრები, 27 წლის ფილიპე ლეშკაშელი, რომელსაც ჩხრეკისას აღმოაჩნდა "ბრაუნინგის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და ექვსი საბრძოლო ვაზნით. გატაცებული ავტომანქანა უკვე ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მეტროსადგურ "გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისში მცხოვრებ, 13 წლის ბექა დურგლიშვილს მობილური ტელეფონი "ერიქსონი"გასტაცეს. პოლიციამ მეტროსადგურ "გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები: თბილისში მცხოვრები, კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელი, 24 წლის ალექსანდრე ავაქოვი და ასევე თბილისში მცხოვრები, 21 წლის მიხეილ ჯავოიანი. ჩხრეკისას ალექსანდრე ავაქოვს აღმოაჩნდა გატაცებული მობილური ტელეფონი. ამოღებულია აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღი — უცხოური წარმოების უნომრო პისტოლეტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს თანამშრომლებმა თემქის დასახლებაში ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს ზუგდიელი ცოლ-ქმარი — 47 წლის ისოდ მალიჩავა და 46 წლის ელისო ბაკრანაძე. ჩხრეკისას ელისო ბაკრანაძეს აღმოაჩნდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით (3 კგ 100 გრ) სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერება ყაყაჩოს თესლი. აღნიშნული ნივთიერება მათ ცხინვალიდან შემოიტანეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს მარნეულში მცხოვრები, ნასამართლევი, 35 წლის ვასიფ მამედოვი, რომლისგანაც ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული 3.125 გრ ჰეროინი და არარეგისტრირებული პისტოლეტი "ზიგზაუერი" მჭიდითა და 12 ვაზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცველებმა თბილისში, ბაგების დასახლებაში არსებულ რესტორან "ვაკეში" დააკავეს მოსკოვის ინტერპოლის მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და მექრთამეობისთვის ძებნილი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 48 წლის ალი კარაბაშევი, რომელმაც 2000-2001 წელს გააყალბა სამსახურებრივი საბუთები და რუსეთის ფედერაციის საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებს ქრთამის სახით გადასცა 50.000 აშშ დოლარი. დაკავების შესახებ ეცნობა ძებნის ინიციატორს და საქართველოს გენერალურ პროკურორს. კარაბაშევი მოთავსებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 საპყრობილეში. **მედია-ნიუსი**

ქართული ეკონომიკის პრიორიტეტები

შოთა გვენეტაძე და გია მაისაშვილი

კახა უგულავა და მიხეილ მაჭავარიანი

ფოტოები ბადრი ბახსოლიანის

პირველი გვერდიდან

მიხეილ მაჭავარიანი: პირველ რიგში, აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ საიდან ვიწყებთ და რა მემკვიდრეობა ერგო ხელისუფლებას. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ორი თვეც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტმა მუშაობა დაიწყო. საქართველოს ეკონომიკური განვითარების, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზების დეტალები ახლა იკვეთება. თანაც, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას საკანონმდებლო ბაზის შექმნა სჭირდება, რაც პარლამენტის საქმეა, პარლამენტი კი სულ რამდენიმე დღის წინ შეიკრიბა. მე ვიცი, რომ მთავრობაში, პრეზიდენტის დავალებით, არის შექმნილი ჯგუფი. იგი ამზადებს საგადასახადო კოდექსს, რომელშიც საუბარია ლიბერალიზებაზე, გადასახადების გაუქმებაზე, გადასახადების მოცულობისა და ოდენობის შემცირებაზე.

- ეკონომიკური დოქტრინა ახლა იქმნება?

მიხეილ მაჭავარიანი: პრინციპები, რომლებიც მიიღო პარლამენტმა, უკვე არსებობს. მთავრობის დამტკიცების დროს კონსტიტუციაში (ბევრი გვეწინააღმდეგებოდა და უარყოფითად უყურებდა კონსტიტუციას, მაგრამ...) ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჩავწერეთ. არასოდეს საქართველოში მთავრობის დამტკიცების დროს პროგრამა არ მტკიცდებოდა. ჩვენს ქვეყანაში ეს კონსტიტუციური ნორმა არ იყო. ამიტომ, ასეთი მიდგომა ინოვაციური გახლდათ.

კახა უგულავა: გეთანხმებით, რომ ადრე არც გათვლები კეთდებოდა, არც ეკონომიკური ბაზის სერიოზული შესწავლა ხდებოდა, მაგრამ მაინტერესებს, ახალი ხელისუფლების პროგრამა და საგადასახადო ცვლილებები რომ იწერება, რის საფუძველზე იწერება?

მიხეილ მაჭავარიანი: იმ მემკვიდრეობის საფუძველზე, რომელიც ამ ხელისუფლებას დახვდა. მთავრობამ წარმოადგინა პრინციპები, რის საფუძველზეც ყველა მიმართულებით ცალ-ცალკე პროგრამა უნდა აიგოს. შემთხვევითი არ არის - ბიუჯეტი რამდენიმე დღის წინ შევიდა პარლამენტში და 450 მილიონით არის ზრდა, მობილიზებული შემოსავლების ხარჯზე.

კახა უგულავა: რომელ პარამეტრთან შედარებით არის ზრდა, 2003 წლის გარღვეული ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელთან შედარებით?

მიხეილ მაჭავარიანი: 2003 წელს დაგეგმილ პარამეტრებთან შედარებით. შარშანდელ ფაქტობრივ შესრულებასთან შედარებით, ზრდა დაახლოებით 700 მილიონამდეა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, წელს საგადასახადო შემოსავლების ოდენობა 16,2 პროცენტს შეადგენს, შარშანდელი 14,2 პროცენტის სანაცვლოდ.

კახა უგულავა: მოქმედი კოდექსით, ხელისუფლება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 27 პროცენტს უნდა კრეფდეს.

მიხეილ მაჭავარიანი: გასაგებია, მაგრამ ერთბაშად ამ ციფრამდე მისვლა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია.

კახა უგულავა: ვიცი, რომ ხელისუფლებაში მიმდინარეობს მუშაობა როგორც გადასახადების ოდენობის, ასევე გადასახადების რაოდენობის შემცირებაზე. თუ არსებობს ამ შემთხვევაში რაღაც გათვლები? დღემდე არც ბიუჯეტი, არც საერთოდ საგადასახადო პოლიტიკა არ გამოიყენებოდა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ინსტრუმენტი. დღეს თუ გაქვთ რაღაც ნოვაცია დაგეგმილი ამ მიმართულებით? მაგალითად, გათვლილი გაქვთ, რომ თუ საშემოსავლო გადასახადს დაწევთ, შეღავათი რა ფენებზე გავრცელდება? რომ ავიღოთ რესურსი, კაპიტალი და ტექნოლოგია, აქ რა შეღავათი მოხდება? ანუ - რომელს გავაიაფებთ და რატომ ვაკეთებთ ამას? ასეთი გათვლების გარეშე ციფრებით თამაშის შედეგი, შეიძლება, უარესი იყოს.

მიხეილ მაჭავარიანი: არის შექმნილი მოდელი, რომელმაც აჩვენა ეფექტი, რომ, მაგალითად, სოციალური გადასახადი 20 პროცენტი რომ იყოს, გადასახადების აკრეფისათვის უფრო მეტად ეფექტური იქნება, ვიდრე 25-იანი ან 18-პროცენტიანი გადასახადი.

ეს არის ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული სპეციალური დოკუმენტი.

კახა უგულავა: მე მაქვს საუბარი მოდელზე და არა დოკუმენტზე. რატომ არ იყენებთ სხვა რესურსებს. მაგალითად, საქართველოში არიან ეკონომისტები, არის ეკონომიკური ცენტრი, რატომ არ არის ეს მოდელი საჯარო?

მიხეილ მაჭავარიანი: არის ჯგუფი, რომელიც საგადასახადო კოდექსზე მუშაობს. მუშაობის პირველი ეტაპი იყო დახურულ რეჟიმში მუშაობა, მეორე ეტაპზე მუშაობა გაგრძელდება დაინტერესებულ პირებთან ერთად, მესამე ეტაპი კი ივნისში, კოდექსის პარლამენტში წარდგენა იქნება.

კახა უგულავა: რატომ ჩქარობთ?

მიხეილ მაჭავარიანი: ვჩქარობთ იმიტომ, რომ ქვეყანამ რეალური ეფექტი მიმდინარე წელს მიიღოს.

კახა უგულავა: ასეთი სიჩქარე ამ საკითხში, ელემენტარულად, შეიძლება საზიანო იყოს. ჯერ ხომ განსასაზღვრია პრიორიტეტები: მაგალითად ძველი ხელისუფლების ძირითადი პრიორიტეტი ავიღოთ - მას ჰქონდა აქცენტი აღებული მცირე მეწარმეობის განვითარებაზე და ის ფიქრობდა, რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამა არის ქვეყნის განვითარების პროგრამა და მცირე მეწარმეობის განვითარებით ქვეყანა განვითარდება. მაგრამ, მე არ ვიცი მაგალითი, რომ ქვეყანა მცირე ბიზნესით იყოს განვითარებული. მცირე ბიზნესს თავისი სოციალური დატვირთვა აქვს, მაგრამ ეკონომიკას ამით ვერ ააშენებ. ასეთი მიდგომა არასწორია. შენ რომ ეს სტრატეგია შეცვალო, უნდა გათვალო, თუ რომელი დარგები შეიძლება იყოს სტრატეგიული, რითიც ჩვენ დავიჭერთ ჩვენს ნიშას მსოფლიოში. სტრატეგია თუ არ შეიცვალა, არაფერი არ შეიცვლება. ისეთი საგადასახადო ბაზა უნდა უნდა გვქონდეს, რომ კომპონენტები ავიღოთ და ისინი გავაიაფოთ. არ ვიცი, მთავრობა როგორ ითვლის, მაგრამ ვიცი, რომ ორი თვე ამ დათვლებისათვის საკმარისი ნამდვილად არ არის.

გია მაისაშვილი: მე მინდა, მოკლედ შევეხო ახალი ხელისუფლების ე.წ. მარაგს და შემდეგ იმას, თუ რა არის აუცილებელი საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესებისათვის. ვარდების რევოლუცია მოხდა ნოემბერში და ნოემბრის შემდეგ 5 თვე გავიდა. ეს ადამიანები იყვნენ ხელისუფლების სათავეში 5 თვის განმავლობაში. რევოლუციამ და ძველი რეჟიმის წასვლამ საქართველოს შეუქმნა წარმოუდგენელი ისტორიული შანსი - უზარმაზარი კეთილი ნება, რომელიც მთელს მსოფლიოში არსებობს. ამასთან, შექმნა შინაგანი მზადყოფნა თვითონ ჩვენს საზოგადოებაში კარდინალური რადიკალური რეფორმებით თვისობრივად ახალი საზოგადოების აშენებისა. მოსახლეობას არ აინტერესებს თავის მართლება, ახლა ჩვენ შედეგი გვაინტერესებს. და შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ამ უნიკალური შიდა და საგარეო ვითარების გამოყენების ტენდენცია დღეს არ ჩანს. მე გეტყვით, ამ ტენდენციის შემქმნელი რა არის - პირველი ნაბიჯები.

გავიხსენოთ გარეგნული ნიშნით გადასახადის დაწევება, ეს ყოვლად უსუსური, არაკომპეტენტური პოლიტიკა. ამ გადასახადის ადმინისტრირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამის ადმინისტრირება გამოიწვევს ჩრდილოვანი და კორუმპირებული ეკონომიკის გაათმაგებას და კაპიტალის გადინებას ქვეყნიდან. ეს არის ქვეყნისადმი მტრული გადაწყვეტილება. ეს, შეიძლება, მტერმა გააკეთოს, ან ეკონომიკაში ყოვლად უსუსურმა ადამიანმა.

მეორე ნაბიჯი - ეკონომიკური ემბარგოს დაწესება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე. ჩვენ ვაკეთებთ გათვლებს, რომელთა თანახმადაც ამ გადაწყვეტილების შედეგად ქვეყნისთვის მიყენებული ეკონომიკურ ზარალი რამდენიმე ათეულ მილიონს აჭარბებს.

ამის შემდეგ საქართველოში ფუნქციონირებადი ეკონომიკური უჯრედების, ბიზნესების გამოკითხვა ჩავატარეთ და აშკარაა კაპიტალის გადინება, რეინვესტირების შიში. გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკაში არ ხდება, იმიტომ, რომ გაურკვეველია ეკონომიკური ბიზნეს გარემო. რისკის დათვლა ძალიან ძნელი ხდება. როდესაც ეს არ ხდება, მაშინ ეკონომიკის ზრდა გამორიცხულია. როდესაც ეკონომიკის ზრდა არ ხდება, მაშინ სამუშაო ადგილები არ იქმნება. როდესაც სამუშაო ადგილები არ იქმნება, ქვეყანაში არსებობს ხელმოცარული ადამიანებისგან დაკომპლექტებული საზოგადოება.

- რა ინვევს ამ გაურკვევლობას? არასტაბილური პოლიტიკური გარემო, აჭარის ფაქტორი, ის, რომ ახალი საგადასახადო რეჟიმი არ არის დადგენილი, გაცხოველებული ანტიკორუფციული ბრძოლა, მათ შორის - ბიზნესმენების წინააღმდეგაც?

გია მაისაშვილი: გაურკვეველი საგადასახადო სისტემა, ემბარგოს დაწესება და მესამე - საერთოდ არანაირი საუბარი ეკონომიკაზე, არარსებული პროგრამა. ხელისუფლების პროგრამა, ჩემი კოლეგების შეფასებით და დასკვნით, არის ჩამონათვალი ტრივიალური ლოზუნგებისა, რომელიც საერთოდ არაფრის მთქმელი არ არის.

ასე რომ, საქართველოში არ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ არა გვყავს მთავრობა, რომელსაც აქვს ეკონომიკური ხედვა იმის თაობაზე, თუ რა არის ქართული ეკონომიკის პრიორიტეტები. ამ პრიორიტეტების აღსრულება რა ნაბიჯებით უნდა მოხდეს, ამის დანახვა გვინდა.

> მცირე ბიზნესს თავისი სოციალური დატვირთვა აქვს, მაგრამ ეკონომიკას ამით ვერ ააშენებ.
>
> საქართველოში ფუნქციონირებადი ეკონომიკური უჯრედების, ბიზნესების გამოკითხვა ჩავატარეთ და აშკარაა კაპიტალის გადინება, რეინვესტირების შიში.
>
> საქართველოში არ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ არა გვყავს მთავრობა, რომელსაც აქვს ეკონომიკური ხედვა იმის თაობაზე, თუ რა არის ქართული ეკონომიკის პრიორიტეტები.
>
> უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიტუაცია არის ფორსმაჟორული და გადაწყვეტილებები მიღება სწორედ ამ რეჟიმში ხდება.
>
> დღეს ერთ-ერთი საფრთხე უცხოელი ინვესტორებისათვის სწორედ აჭარაში შექმნილი გაურკვეველი მდგომარეობაა.

როდესაც ქვეყანაში ასეთი ქაოსია, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკაზე საუბარი არ არის და შიშის სინდრომია, კაპიტალი მიედინება, საინვესტიციო გადაწყვეტილებები არ ხდება.

ეს არის ჩვენი ჯგუფის ახალი პროგრამა, რომელსაც მალე გამოვაქვეყნებთ - აქ არის მოცემული, რომ მოსახლეობის 56 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, 40 პროცენტზე მეტი უმუშევარია.

შოთა გვენეტაძე: ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც რევოლუცია მოხდა. სხვათა შორის, დღეს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე ყველაზე მეტს სწორედ მთავრობა საუბრობს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიტუაცია არის ფორსმაჟორული და გადაწყვეტილებების მიღება სწორედ ამ რეჟიმში ხდება. გეთანხმებით, რომ ასეთ პირობებში ახალი საინვესტიციო გადაწყვეტილებები შიდა ბაზარზე ძალიან რთულია და ამაში მე ვერავის ვერ გავამტყუნებ. ამიტომ ჩქარობს სწორედ მთავრობა, რომ ხალხს, ვისაც ფული აქვს და ვინც საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაზე ფიქრობს, დაუსაბუთონ და დაუმტკიცონ, რომ ჩვენ შეგვიძლია მოკლე პერიოდში, მოკლე ვადებში მივიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელიც იქნება გარანტია ჩვენი ქვეყნის და ბიზნესების განვითარებისათვის.

გია მაისაშვილი: 5 თვე არ არის მოკლე ვადა იმისათვის, რომ ქვეყანაში ტენდენცია დაისახოს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. როდესაც ქვეყანაში ხელისუფლება მოდის, ის უნდა მოვიდეს თავისი პროგრამით, თავისი პრიორიტეტებით და ამ პრიორიტეტებმა უნდა მოახდინონ კარდინალური ცვლილება ეკონომიკაში. პირველ ყოვლისა, კლიმატის შეცვლა, რომ ამ საზოგადოებაში ჩვენ არავის ქონების ექსპროპრიაციას არ მოვახდენთ. ქვეყანაში ეკონომიკური ბუმი უნდა გაჩნდეს - პირველ რიგში, თვისობრივად ახალი საგადასახადო პოლიტიკის დადებით. ჩვენ ვდებთ ისეთ საგადასახდო კანონმდებლობას, ისეთ საგადასახადო მექანიზმს (ჯერ ამის გახმოვანების უფლება არა მაქვს), რომელიც პირველი დღიდანვე ქმნის კლიმატს იმისათვის, რომ საქართველოში ეკონომიკური ბუმი შეიქმნას. შემდეგ, მთელი რიგი ჩამონათვალია, რა იგულისხმება საკნონმდებლო გარემოს გაუმჯობესებასა და ბიზნესის ხელსაყრელი კლიმატის შექმნაში - თორემ ზოგადად თქმა ადვილია. მთავარია, კონკრეტულად რა იგულისხმება. ჩვენი ჯგუფის მთავარი პრიორიტეტებია: განათლება, ეკონომიკა, ყურადღების კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაზე და იმაზე, თუ რა სჭირდება მას. საქართველოს ბუნებრივი პირობების პატრონი, როგორ შეიძლება გამათხოვრებული იყოს ქართველი გლეხი?! წვრილ ფერმერს ხელი უნდა მიუწვდებოდეს შეღავათიან კრედიტზე, ადგილობრივად ორგანიზებულ კრედიტზე, საწვავზე, შხამ-ქიმიკატებზე, მექანიზაციაზე. შესაბამისი ირიგაცია უნდა მოხდეს. აი, ეს არის სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტი და ამას არ უნდა 5 თვე. სოფლის მეურნეობაში მომუშავე ადამიანები დღედაღამ ამ პრიორიტეტებზე უნდა მუშაობდნენ. ეს არის მათთვის პრინციპი. ყურადღების კონცენტრაცია უნდა მოხდეს დაუცველ ფენებზე - სოციალური სოლიდარობის პრინციპის გარეშე, ჩვენი საზოგადოება წარმოუდგენელია.

რადიკალური ეკონომიკური რეფორმა არ გატარდება, თუ დროებით დამარცხებულმა ადამიანებმა არ იგრძნეს, რომ ისინი კვლავ გამარჯვებულთა რიგებში არიან.

კახა უგულავა: თქვენი პროგრამის პრიორიტეტი მხოლოდ სოფლის მეურნეობაა?

გია მაისაშვილი: მხოლოდ სოფლის მეურნეობა არ არის პრიორიტეტი, მაგრამ ამის უგულებელყოფა მაშინ, როცა მოსახლეობის უმრავლესობა ამაზეა დამოკიდებული, შეუძლებელია.

კახა უგულავა: პრიორიტეტი რა არის?

გია მაისაშვილი: ჩემი პროგრამის პრიორიტეტი არის განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ცოდნის პროდუქტის შექმნაზე დაფუძნებული მეურნეობის მოწყობა. ჩემთვის მთავარი არ არის დარგი, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ დარგში ცოდნის პროექტი მიიღო და არა პროდუქციის, რომლიდანაც უკუგება ნაკლებია.

კახა უგულავა: თუ გაქვთ უკვე შესწავლილი, კონკურენტი ვინ გეყოლებათ?

გია მაისაშვილი: მთელი მსოფლიო ჩვენი კონკურენტი იქნება და თუ კონკურენციის გვეშინია, მაშინ მომავალი არ გვაქვს. არავინ იცის, რა დარგები იქნება სახელმწიფოში განსაზღვრული 15-20 წლის შემდეგ, მაგრამ 5-6 დარგი არის გლობალურ მსოფლიოში განსაზღვრული (ტელეკომუნიკაციები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა), რომლებშიც ჩვენ ამ ეტაპზე კონკურენტუნარიანი ვერ ვართ. ამიტომ, სანამ ქვეყანა კონკურენტუნარიანი არ გახდება, პირველი პრიორიტეტი უნდა იყოს რესურსების მობილიზაცია და იმის გარკვევა, არსებული რესურსებით როგორ გადავრჩეთ. მნიშვნელოვანია კოპირება, ველოსიპედი რომ არ გამოვიგონოთ, რაც ცნობილი და მიღწევადია, ის გამოვიყენოთ. მნიშვნელოვანია ჩვენს ფესვებზე დაფუძნებული ქართული კაპიტალიზმის ჩამოყალიბება - თვითონ შევქმნათ ცოდნაზე დაფუძნებული ახალი ეკონომიკა, რომელიც არა გადარჩენაზე, არამედ სიუხვეზე იქნება ორიენტირებული. სამი ლარის მომატება ხომ სირცხვილია, სამმა ლარმა რა უნდა გააკეთოს? ასეთი პატარ-პატარა ნაბიჯებით შორს ვერ წავალთ.

კახა უგულავა: თქვენ ამბობთ, რომ ცოდნის ეკონომიკაზე უნდა გადავიდეთ, ვაკეთოთ ნოუ-ჰაუები, ეს ყველაზე ძვირი ჯდება, ეს არის ყველაზე კაპიტალტევადი. სად არის ის ფული, რომელსაც ჩადებენ ქართველში და არა ინდოელში, რომელიც ღირს იაფი და არ ჩადებს ებრაელში, რომელიც უფრო გამოცდილია? თუ გინდა იაფი, იყიდი ინდოეთში, თუ გინდა ძვირი და ხარისხიანი, იყიდი ამერიკაში - "სილიკონ ვალი", თუ გინდა საშუალო, იყიდი ისრაელში. რომელ ნიშას ვიკავებთ ჩვენ? გამოგონებაა ყველაზე ძვირი, თორემ იმის კოპირება არაფერი არ არის. მიკროტალღოვანი ღუმელის გამოგონებას უნდა დაახარჯო მილიონები, თორემ კოპირებას ათ დოლარად გააკეთებს ჩინელი. მე ვფიქრობ, რომ შუალედში ქვეყანამ მაღალტექნოლოგიური კომპანიები უნდა შემოიყვანოს, რაც ირლანდიამ გააკეთა. მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეუქმნას.

გია მაისაშვილი: ნებისმიერმა პრემიერ-მინისტრმა, მინისტრმა უნდა შექმნას საქართველოს ეკონომიკური პროფილი. შენ უნდა იყო სეილ-მენეჯერი... თქვენს მიერ დახატული სურათით საქართველოს მომავალი არა აქვს და რატომ ვსაუბრობთ, საერთოდ? ისრაელსაც უნდა მოუგო და ინდოეთსაც. ადვილი ფაფის ჭამაა...

კახა უგულავა: მე სწორედ მაგას ვამბობ, რომ ეს ყველაფერი წინასწარ გათვლილი უნდა იყოს.

მიხეილ მაჭავარიანი: ადამიანი თუ ხელისუფლებას არ აკრიტიკებს და ხელისუფლება თუ ამ კრიტიკას არ უსმენს, ის ხელისუფლება ყველა ვარიანტში წაგებულია.

მე დავუბრუნდები იმ შენიშვნებს, რომელიც ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით გაკეთდა: მინდა გითხრათ, რომ გარეგნული ნიშნით შემოღებული გადასახადი საქართველოში არ არსებობს. ამაზე მხოლოდ საუბარი იყო. მთავრობაშიც მას მოწინააღმდეგეები ჰყავდა. მე პირადად არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ იქნება სოლიდარობის გადასახადი, რომელიც დაფუძნებული იქნება ფიზიკური პირის ქონების გადასახადზე, ანუ, ვისაც მეტი ქონება აქვს, ის რომ მეტს იხდიდეს და ვისაც ნაკლები ქონება აქვს - ნაკლებს. მაგრამ დღეს ეს გადასახადი არ არსებობს.

გარდა ამისა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს ის მემკვიდრეობა, რომელიც მივიღეთ. ჩვენ, დაახლოებით, 140 მილიონი ლარი საპენსიო დავალიანება გვაქვს. ამის გასტუმრება უნდა დავიწყოთ. ეს სიგნალი უნდა იყოს უცხოელი დონორებისთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის იმისა, რომ ეს ქვეყანა მკვდარი არ არის. შეიძლება, ვიღაცისთვის ეს არაფერი არ არის, მაგრამ მთავრობა ამ ეტაპზე 40 მილიონ ლარამდე საპენსიო დავალიანების გასტუმრებაზე ფიქრობს. მთავრობა ცდილობს სახელფასო ბაზის ზრდას სახელმწიფო დაწესებულებებში. სახელმწიფომ უნდა შექმნას სტიმულები და ამ სტიმულების შექმნით შეგვეძლება, უფრო მეტი უკუგება მივიღოთ.

რაც შეეხება პროგრამას, მე არ ვიტყვი რომ ეს პროგრამა იდეალურია და მის დაცვას არ დავიწყებ. ეს არის ცალტნტურ პირობებში შექმნილი პროგრამა და ზურაბ ჟვანიამ პარლამენტში გამოსვლისას არც დამალა, რომ ეს არის ეკლექტური პროგრამა. ამ პროგრამის საფუძველზე უნდა მოხდეს უკვე დეტალური პროგრამების განვითარება დარგების მიხედვით.

შეგეკამათებით აჭარაზე: მე წელიწადნახევარი ვიყავი შემოსავლების მინისტრი და წარმოიდგინეთ პროცესი, როცა ეკონომიკური სივრციდან ამოგდებული გაქვს ერთი ერთეული როგორც საბანკო, ასევე საბაჟო, საგადასახადო სივრციდან. შენ არ იცი, შენი მარჯვენა ხელი რას აკეთებს. სარფი, ბათუმის პორტი - ეს არის ჩვენი ეკონომიკის ძირითადი შემოდინების მაგისტრალები. ამიტომ, მიმაჩნია, რომ გაცილებით უფრო დიდი დანაკარგია ის, რასაც ჩვენ ვკარგავდით ყოველდღიურად, ვიდრე ეკონომიკური ემბარგოთი - როდესაც ბანკში აღირიცხებოდა დღგ (ბანკში დღგ-ს აქვს თავისი ანგარიში) 412 ფორმაში, საქართველოს ბიუჯეტში კი ეს ფული არ იყო. ცალკე თემაა, შემდეგ ეს ფული როგორ და რაში იხარჯებოდა.

არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ დღეს ერთ-ერთი საფრთხე უცხოელი ინვესტორებისათვის სწორედ აჭარაში შექმნილი გაურკვეველი მდგომარეობაა. როცა ჩოლოქი იკეტება, ეს ხომ ავტომატურად ნიშნავს, რომ სარფიდან ბერითვების შემოდინება დაბრკოლებულია. მე შევთავაზე მთავრობის წევრებს, რომ აუცილებლად უნდა გადავისროლოთ მთელი ტექნიკა და ვალედან მომავალი გზა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა გავაკეთოთ. იმიტომ, რომ სარფზე გამავალი გზის ალტერნატივა უნდა არსებობდეს.

ამასთან, მინდა გაგახსენოთ, რომ საქართველოში ორი არჩევნები ჩატარდა, ანუ დღევანდელ ხელისუფლებას წინასაარჩევნო რეჟიმში უხდებოდა მოქმედება. ამასთან, მთავრობა 20 თებერვალს შეიკრიბა პირველად. დღეს მე ვამაყობ იმით, რომ ჩვენ აღარ გვაქვს დევნილების მიმართ დავალიანება. ჩვენ გავაკეთებთ იმასაც, რომ ეს შემწეობები გაიზარდოს და საქართველოში დევნილები საერთოდ აღარ იყვნენ.

- აქ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ საქართველოში ინვესტიციების შემოდინება დღეს შეფერხებულია. რა არის ამის მიზეზი? მხოლოდ აჭარა?

შოთა გვენეტაძე: საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის პირველი წინაპირობა არის პოლიტიკური სტაბილურობა. აჭარა არის ცალსახად შემაფერხებელი ფაქტორი ნებისმიერი ინვესტორისთვის. მაგალითად, მაქვს ინფორმაცია, რომ პრემიერს ჰქონდა შეხვედრა რამდენიმე მეწარმესთან - თურქ ბიზნესმენებთან მოლაპარაკება, რომლებიც ქუთაისში, თუ არ ვცდები, 2-მილიონიანი ინვესტიციის ჩადებას აპირებდნენ. თუმცა, სულ ცოტა ხნის წინ იყო შეტყობინება, რომ გარკვეული პერიოდი ისინი თავს შეიკავებენ.

ამას გარდა, არის საგადასახადო კოდექსი, რომელმაც გარკვეული ცვლილებები განიცადა და განიცდის. ფაქტობრივად, ჩვენ გვქონდა ისეთი სისტემა, რომ საგადასახადო კოდექსი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. საგადასახადო კოდექსი 273-მუხლიანია და მთელი კოდექსის დედააზრი 273-ე მუხლში იყო თავმოყრილი. მთელი ეკონომიკური პროცესები გარდამავალი დებულებით რეგულირდებოდა. ეს უნდა დავივიწყოთ. უნდა შევქმნათ ისეთი სისტემა, რომელიც ნებისმიერი ეკონომიკური აგენტისათვის მისაღები იქნება. მნიშვნელოვანია, რომ მან თავისი ბიზნესი გრძელვადიან პერიოდზე უნდა დაგეგმოს. სტაბილიზაცია განმსაზღვრელია, ამასთან, უნდა შეიზღუდოს ადმინისტრაციული ბარიერები. მაგრამ ეს არის მართლაც მესამეხარისხოვანი პრობლემა.

საბოლოო ჯამში, ეს სამი ფაქტორი განსაზღვრავს კორუფციის დონეს და როგორიცაა მათი თანმიმდევრობა, ისეთია კორუფცია.

გია მაისაშვილი: ეკონომიკური აქტივობა არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი - ბაქო-ჯეიჰანის პროექტის ირგვლივ, ყველა დანარჩენი სერიოზული პროექტი შეჩერებულია. ამ დღეებში მე მქონდა საუბარი იმ ხალხთან, ვინც ბაქო-ჯეიჰანთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებებს. მათ არ იციან, საქართველოში რა მოხდება, აჭარაში რა პროცესები განვითარდება. აჭარის ემბარგო იყო მათთვის უზარმაზარი გამაოგნებელი ფაქტი, რადგან ეს არის პრეცედენტი იმისა, რომ შეიძლება ბათუმის პორტი ჩაიკეტოს, რომ შესაძლოა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ რეგიონის მიმართ ასეთი პოლიტიკური დაპირისპირებისას ასეთი ეკონომიკური ბერკეტი გამოიყენოს. ეს პრეცედენტი უკვე მათი რისკის ფაქტორის დათვლისას დიდ როლს თამაშობს.

შოთამ რაც ბრძანა, მართალია, მაგრამ მიუღებელია ის, რომ აუცილებელია თანამიმდევრობა. რას ნიშნავს ჯერ ეს და მერე ეს? გასაგებია, რომ ქვეყანა ერთ დღეში არავის აუშენებია, მაგრამ ამ პრობლემატიკის გაუგებრობაა მიუღებელი, მიუღებელია, როდესაც პრემიერი ქვეყნის განვითარების ეკონომიკური პროგრამის არტიკულირებას და პრიორიტეტების ჩამოყალიბებას ვერ ახდენს.

მიხეილ მაჭავარიანი: მე უფრო ოპტიმისტურად ვუყურებ ბაქო-ჯეიჰანის პროექტს იმიტომ, რომ თუ ის ხორციელდებოდა წინა ხელისუფლების პირობებში, ახალი ხელისუფლება მას უკეთესად განახორციელებს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება არ არის ისეთი სტატიკური, როგორიც იყო შევარდნაძის დროს. მინისტრებმა იციან, რომ ისინი კარგად იქნებიან, თუ საქმეს გააკეთებენ. თუ ვერ გააკეთებენ - მათ გაუშვებენ.

გია მაისაშვილი: მე ბაქო-ჯეიჰანის მჯერა, მაგრამ არ მინდა, ის იყოს ერთადერთი. ჩემი კორპორაცია მუშაობდა ორ დიდ კომპანიაზე - "დევიდ პაკერ ინკორპორეიტედ" და "ჯეს უილიამს ენდ ბრაზერს"-ზე. ამ ორ ჯგუფს დავუდეთ სხვადასხვა დარგში ბიზნესგეგმები, რომელთა მიხედვით, ჯამური ინვესტიცია უნდა ყოფილიყო 94 მილიონი დოლარი. გუშინწინ მივიღე ზარი, რომ ეს მოლაპარაკება შეჩერებულია საქართველოს ახალი მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო.

მიხეილ მაჭავარიანი: არა, არა. შეიძლება, შიში ძირითადი მიზეზია, რომ დღეს არასტაბილური სიტუაციაა და, მათ შორის - აჭარაში. გია, შენ ამბობდი, რომ საგადასახადო ლიბერალიზაცია არ არის პანაცეა, მაგრამ როცა დაიდება ცალკეული დარგისადმი მიდგომა, გარწმუნებ, რომ ინდოეთზე მეტად ჩადებენ ფულს საქართველოში. როცა სოფლის მეურნეობაში პირველადი მიწოდება გადასახადებისგან განთავისუფლდება და დღგ 7 პროცენტი იქნება და არა 20 პროცენტი, გარწმუნებ - ინვესტორი იფიქრებს, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში კი არ გახსნას წარმოება, გახსნას საქართველოში. როცა ენერგეტიკაში ამოღებული თანხიდან დაბეგრავ ელექტროენერგიას და არა მიწოდებულიდან, რაც გავაკეთეთ "თელასში", რა თქმა უნდა, ჩამოვა ინვესტორი ენერგეტიკაში. როცა ფოთის პორტში მონოპოლიზაცია აღარ იქნება, პორტში მართლა შემოვლენ ოპერატორები, ის ამოქმედდება...

გია მაისაშვილი: ეს როდის მოხდება?

მიშა მაჭავარიანი: დღეს, ხვალ და ზეგ...

www.24hours.ge 24 B

კაცი "გამოწერით" – ვირდაპირ გერმანიიდან

ბაია გალავანელის ფოტო

ბიძინა გიორგობიანი

ბიძინა გიორგობიანი: დაიბადა 1963 წლის 8 დეკემბერს, თბილისში. დაამთავრა 115-ე სკოლა, შემდეგ - სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზების ფაკულტეტი. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი. 1993 წელს საქართველოდან წავიდა. ჯერ სანკტ-პეტერბურგში, შემდეგ - გერმანიაში, სადაც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ცხოვრობდა. 1997-1999 წლებში, გერმანიის ეკონომიკური განათლების პროექტის ფარგლებში, გაიარა ეკონომიკური განათლების სრული კურსი. მისი წინასწარი კვლევები, რომელიც ეხებოდა შავი ზღვის ეკონომიკური რეგიონის ინტეგრაციასა და განვითარებას სოფლის მეურნეობის მაგალითზე, ჰუმბოლტის უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის კათედრამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სოფლისა და სატყეო მეურნეობებში მიმდინარე ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესის კვლევისას გამოიყენა. 2002-2004 წლებში მუშაობდა აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებისა და ფასების კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში, ამიერკავკასიის ქვეყნების საკითხებზე. სამშობლოში დაბრუნებამდე იყო გერმანიის ბუნდესსამსახურის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის თანამშრომელი. ზუსტად ორი კვირის წინათ დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე - ხათუნა ტაბატაძე, ბერლინის თერაპიის სახლის ფსიქოლოგი;
ორი შვილი: 12 წლის დავითი - ბერლინის გიმნაზიის მოსწავლე, 6 წლის ანა.

მაკა ჭაიანი

- რატომ დაბრუნდით? გერმანიაში მაღალანაზღაურებადი სამსახური გქონდათ და მშვენიერი პირობები.

- დავიწყოთ იმით, რომ საქართველოდან არც წავიდოდი, მაშინდელ ხელისუფლებას გამოუვალ მდგომარეობაში რომ არ ჩავეყენებინე. იმდენად შეუძლებელი გახდა ჩემი აქ გამოჩენა, რომ მამის დაკრძალვასაც ვერ დავესწარი. ცხრა წელი არ მენახა დედა. ეს მხოლოდ ნოემბრის მოვლენების შემდეგ შევძელი. ჩამოვედი და ორი კვირა ნათესავების, ნაცნობ-მეგობრების მონახულებას მოვუნდი.

- სატყეო დეპარტამენტში როგორ აღმოჩნდით?

- პროფესიიდან გამომდინარე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრთან მქონდა შეხვედრა. იგი ჩემი ინიციატივით შედგა. მაინტერესებდა, რა ვითარება იყო ამ სფეროში საქართველოში, რის გაკეთებას გეგმავდა ახალი ხელისუფლება. მქონდა ჩემი მოსაზრებები, რომელიც მინდოდა, მათთვის გამეცნო. იქ გაჩნდა კითხვა, ხომ არ მოკიდებდით ხელს დეპარტამენტსო. დავთანხმდი. ეს უმნიშვნელოვანესი სექტორია ქვეყნისთვის. სატყეო რესურსები არის საქართველოში რეალურად არსებული ერთადერთი ბუნებრივი, კონკურენტუნარიანი რესურსი.

- რამდენად კონკურენტუნარიანი?

- დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ის უძვირფასესი მერქნის ჯიშები, რომელიც საქართველოში მოიპოვება, გაყიდვადია საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენ უზარმაზარ სიმდიდრეს ვფლობთ. ევროპის ბევრ ქვეყანას ამაზე შეუძლია, მხოლოდ იოცნებოს. ასეთი ძვირფასმერქნიანი ჯიშები მათ არა აქვთ. სხვაგანაც იზრდება მუხა, მაგრამ მისი მერქანი არ არის ისეთი მკვრივი, როგორიც ჩვენი. იგი ღირებულია და კარგად იყიდება ხმელთაშუა ზღვის ბაზარზე. იგივე ითქმის კაკალზე, სხვა ჯიშებზე.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს აქვს საკმარისზე მეტი რესურსი იმისთვის, რომ ბიუჯეტმა მოგება მიიღოს, მაგრამ ასე არ ხდება. დარგში არის აბსოლუტური ანარქია. ეს არის კრიმინალს მორგებული სტრუქტურა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით. თუ ასე გაგრძელდა, სამი წლის შემდეგ ტყის რესურსები საქართველოში საერთოდ აღარ იარსებებს. ვითარებას სასწრაფო და მობილური ჩარევა და სხვადასხვა უწყებების კოორდინირებული მოქმედება სჭირდება.

უახლოეს ხანში ჩვენ შევალთ ინიციატივით საკანონმდებლო ორგანოში, ერთი თვით დაწესდეს მორატორიუმი აბსოლუტურად ყველა სახის ჭრაზე. გვსურს დავდოთ ათვლის წერტილი, საიდანაც მუშაობას დავიწყებთ. უკვე გავაკეთეთ დეპარტამენტის, მასში შემავალი სამმართველოების ახალი დებულება. ახლა გვინდა, მოქმედი სატენდერო დებულება შევცვალოთ. ახალმა დებულებამ აუცილებლად უნდა მოითხოვოს ტენდერში მონაწილე ფირმების წინასწარი სერტიფიცირება. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ კრიმინალური ფირმები, რომლებიც შემჩნეულნი არიან სამართალდამცველებთან გართულებულ ურთიერთობაში, ან ბიუჯეტისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში, ტენდერებში ვეღარ მონაწილეობდნენ.

- აქამდე მათ ჰქონდათ ამის საშუალება?

- ჰქონდათ. აქამდე ტენდერი გულისხმობდა იმას, რომ გარკვეულ რაიონებში გამოიყოფოდა ადგილები ხე-ტყის მოსასპობად და ეს ფირმები ერთმანეთს ამ უფლების მოპოვებაში ეჯიბრებოდნენ. ხდებოდა რამდენიმე ფირმის წარდგინება, სინამდვილეში კი, ისინი ყველანი ერთსა და იმავე ადამიანს ეკუთვნოდნენ. აქ მთელი კრიმინალური კორპორაციაა შექმნილი.

- თქვენ შეგიძლიათ ეს დაბეჯითებით თქვათ?

- შემიძლია. შემიძლია ვთქვა ისიც, რომ ამას ზღვარს დავუდებ. 1991 წლიდან მოყოლებული დღემდე, როცა საზოგადოებრივი აზროვნება სხვა მომენტებით იყო დაკავებული, ბევრი საკუთარი გამორჩენის მიზნით უპრობლემოდ ანადგურებდა გარემოს. ნახეთ, რა ხდება ადიგენის, ბორჯომის, თიანეთის რაიონებში, ყვარელში, რაჭაში, სვანეთში, სამეგრელოში - მარტვილში... კატასტროფაა.

- მოიარეთ ეს რაიონები, თუ იმ ციფრებზე დაყრდნობით ლაპარაკობთ ამას, რომელიც მოგაწოდეს?

- არა, არა, ციფრების მიხედვით არა. ყველგან ვერ ვიყავი, მაგრამ მოვიარე მესხეთ-ჯავახეთი, თიანეთი, სხვა რაიონები. ეს მანამდე მოხდა, ვიდრე ჩემი დამტკიცების პროცედურა მიმდინარეობდა. ეს ტურნე ჩემი ხარჯებითა და მეგობრების ავტოთი მოვაწყვე. მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა, რა სურათი გვქონდა. ძალიან მძიმე მდგომარეობაა. თუ გზის პირიდან ტყე ჩანს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 50 მეტრის შემდეგაც ტყეა. ეს არის შირმა. შიგნით შეხვალთ და ამაზრზენი სანახაობა გხვდებათ. მიზეზი ასეთია: შეუკვეთავდნენ ფირმას, მაგალითად, 30-40 სანტიმეტრი დიამეტრის მორს, რომელიც ამ მოთხოვნას აკმაყოფილებდა, ჭრიდა და გაჰქონდა, იქამდე მისასვლელ გზაზე კი ყველა დანარჩენს ჭრიდა და მიწაზე ტოვებდა.

ამგვარ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. სამწუხაროდ, მე ცუდ მდგომარეობაში ვარ, რადგან შარშან გაცემულ ლიცენზიებს ვერაფერს ვუშვრები. აქ მოდიან ადამიანები და, შარშან მიღებული ლიცენზიის საფუძველზე, მერქნის გატანის საბუთს მთხოვენ, რომელსაც მთელ საქართველოში მხოლოდ მე ვიძლევი. მე ვეუბნები, რომ არ ვაძლევ უფლებას, რადგან მინდა შევამოწმო, როგორი ჭრა აწარმოა, მართლაც, იქ მოჭრა თუ არა ხე, სადაც უფლება ჰქონდა; რამდენი მოჭრა, ბიუჯეტში რამდენი შეიტანა და ა.შ. ფირმების 80 პროცენტს მერქნის მოპოვების უფლება სხვა ადგილზე აქვთ მიღებული და სხვა ადგილზე ჭრიან, იქ, სადაც ადვილი მისასვლელია და ნაკლები პრობლემა შეექმნებათ.

ვაპირებ იმ ტერიტორიების შემოწმებასაც, რომელიც 30-40 წლით იჯარით არის გაცემული სარგებლობაში. გაცემულია ძალიან კარგი ტერიტორიები, ძალიან კარგ ადგილებზე, მაგრამ ისე არ გამოიყენება, როგორც ხელშეკრულებაში წერია. საინტერესო ვითარებაა, იცით... ორი დღის წინათ ჩემთან მოვიდა ადამიანი, რომელიც იჯარით, ხუთი თვით ითხოვდა პატარა ტერიტორიას ქუთაისთან, კაფეს ჩასადგმელად, სეზონური სამუშაოსთვის. გადმოვუღე კანონმდებლობა და ვუთხარი, რომ ტყის ფართობის გადაცემა კაფეს მოსაწყობად არ შეიძლება. მეორე დღეს მოვიდა და იმავე ადგილზე ისეთ საქმიანობაზე მომთხოვა ნებართვა, რაზეც უარს, კანონით, ვერ ვეტყოდი. სამაგიეროდ, თუ მაინც იმას გააკეთებს, რასაც აპირებდა, უფლება მაქვს, მივიდე და ავუყარო, რომ ტყე არ დააზიანოს. ეს უწყინარი მაგალითია. არსებობს 50 წლით გაცემული ტერიტორიები, სადაც ხელშეკრულებაში ჩადებულისგან აბსოლუტურად განსხვავებულ საქმიანობას ეწევიან - ან ნაგავსაყრელი აქვთ მოწყობილი, ან რაღაც სხვა ობიექტი. დარწმუნებული ვარ, იჯარით გაცემული ტერიტორიების 50 პროცენტი მაინც ასეა გამოყენებული. დღეს ისინი მოქმედებენ პრინციპით - „ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის“, მაგრამ, მინდა, დავარწმუნო, რომ ასე აღარ იქნება.

- იძლევა დღევანდელი კანონმდებლობა ასეთი ფაქტების დაფიქსირებისა და მათზე რეაგირების საშუალებას?

- იძლევა, მაგრამ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი და მთელი სისტემა დღეს ისეთ მდგომარეობაშია, შემოწმების ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სამკაციან ჯგუფსაც კი ვერ ვუშვებ რევიზიაზე, რადგან არ არის მანქანა, არ არის საწვავი, არ არის ფული. იქმნება აბსურდული სიტუაცია: გამოდის, რომ უნდა ვთხოვო იმ დირექტორს, რომლის ტერიტორიაზეც ყველაფერი ეს ხდება, რომელიც, სავარაუდოდ, თავადაც არის ამ უკანონობის მონაწილე, თვითონ შეამოწმოს ვითარება და დასკვნა გამომიგზავნოს. წარმოგიდგენიათ? ხომ ანომალიაა, მოითხოვო ვინმესგან, შეადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც მის ბრალეულობას დაადასტურებს? ერთთვიანი მორატორიუმი სწორედ იმისთვის მინდა, რომ ტენდერებზე სამუშაო აღარ მქონდეს და დრო საკანონმდებლო ინიციატივებისა და ცვლილებების მოსამზადებლად გამოვიყენო.

- გულისხმობს ეს საკანონმდებლო ცვლილებები სფეროს ფინანსურ გაჯანსაღებას?

- რა თქმა უნდა. მარტო აკრძალვით დიდ შედეგს ვერ მივიღებთ. მაქსიმალურად ვეცდებით, მერქნის გატანის ლიცენზიები, ხე-ტყის მოჭრის კანონიერება შევამოწმოთ, მაგრამ, ეკონომიკური ალტერნატივის გარეშე, ვითარება არ გამოსწორდება. აუცილებელია საბაჟო გადასახადების გადახედვა ხე-ტყის შემოტანასა და გატანაზე, რადგან პირველზე უზარმაზარი გადასახადია - 35 პროცენტი, მეორეზე კი - სიმბოლური; თვითონ მერქნის ღირებულება უნდა შეიცვალოს იმიტომ, რომ ნიხრები ძალიან დაბალია. ასეთი დაბალი ფასები მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არა აქვს.

- ოფიციალური სტრუქტურები განმარტავდნენ, რომ დაბალი ტარიფი ხე-ტყის გატანაზე სავალუტო ფონდის მოთხოვნა იყო.

- მე ასე გეტყვით: საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები, ამ შემთხვევაში, შეგნებულად იქნენ შეყვანილი შეცდომაში თვითონ ქართველი არაკეთილსინდისიერი ადამიანებისგან.

მინდა, ასევე შეიქმნას ტყის დაცვის რეგიონული სამსახური. უკვე გვაქვს კონცეფცია, რომელიც სამინისტროში წარვადგინეთ კიდეც. მაქსიმალურად შევეცდები, ეს სამსახური პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტდეს, ადამიანებით, რომელთაც იმ უკანონობასთან, რაც დარგში სუფევდა, შეხება არ ჰქონია. არსებული სისტემის პირობებში ასეთი რამ, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ამიტომ ჩვენ გვინდა, ახლებური მიდგომა შევთავაზოთ ყველას, ვინც ამ სისტემაში დააპირებს მუშაობას და კადრების დანიშვნა კონკურსის წესით მოხდება. ამ შენობაში, სადაც ახლა ვსაუბრობთ, ჩემ გარდა, ყველა - მოვალეობის შემსრულებელია. არ ვწერ არც ერთ ბრძანებას იქამდე, ვიდრე მათ საქმიანობაში არ გავეკვევი. კანონმდებლობა ამის საშუალებას მაძლევს. მინდა, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დასანიშნ ადამიანებს ალტერნატივა ჰყავდეთ და ისე არ ხდებოდეს, როგორც ხდებოდა - დარეკვით. ისე, ახლაც რეკავენ. ბევრი ისეთი ნაცნობი მირეკავს, რომელსაც 10 წელი არ ვახსოვდი, არ დაინტერესებულა, მკვდარი ვიყავი თუ ცოცხალი. ახლა ყველა რესტორანში მეპატიჟება, მოკითხვებს მითვლის და კანდიდატებს მთავაზობს.

- ეს იმას ნიშნავს, რომ აქაურობას ისევ უყურებენ, როგორც შემოსავლიან ადგილს.

- რასაკვირველია. მენტალიტეტი ასეთია და უცებ ვერ შეიცვლება.

- ამიტომაც მაინტერესებს, რა მოტივაციის შექმნას აპირებთ, რა ალტერნატივას სთავაზობთ სისტემის თანამშრომლებს, რომ ყველაფერი ძველებურად არ დარჩეს.

- საქმე ისაა, რომ სატყეო სამსახურის პარალიზება, რამაც, თავის მხრივ, სფეროს პარალიზება გამოიწვია, განაპირობა იმან, რომ სისტემას სამეურნეო ფუნქცია წაერთვა. სატყეო მეურნეობის დირექტორს ისიც კი არ შეუძლია, მის ტერიტორიაზე, ვთქვათ, სოკოს სასათბურე მოაწყოს, რომ მოწეული გაყიდოს, ბიუჯეტში ფული შეიტანოს და თავადაც გაიუმჯობესოს მდგომარეობა. მას არა აქვს უფლება, თავად გახსნას ხე-ტყის პროფილის საწარმო, რომ სანიტარული თუ მოვლითი ჭრებით, რაც აუცილებელია, ტყემაც ამოისუნთქოს, ბიუჯეტმაც ნახოს მოგება და მისმა სამსახურმაც. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სატყეო მეურნეობებს არა აქვთ საკუთარი მატერიალური ბაზის შექმნის საშუალება, თუმცა რესურსი დიდია და მას, ფაქტობრივად, კრიმინალური ფირმები იყენებენ. წარმოიდგინეთ ფირმა, რომელსაც არ აინტერესებს, იდგება თუ არა ორი წლის შემდეგ წყნეთის ფერდობზე ხე. მისთვის მთავარია, ხე მოჭრას, გამოიტანოს და ფული მოიგოს. იგი არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი. სატყეო მეურნეობა კი სახელმწიფოს წინაშეა პასუხისმგებელი და, რაც ყველაზე მთავარია, იქ მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც ტყეების მავნე ჭრას არ დაუშვებენ.

- თქვენ, ფაქტობრივად, სახელმწიფო მონოპოლიაზე საუბრობთ.

- დიახ, და ამაში არაფერია გასაკვირი. საქართველოში არსებული ტყის რესურსები, იურიდიულადაც და თეორიულადაც, სახელმწიფოს საკუთრებაა, ფაქტობრივად კი ეკუთვნის ბანდიტებს, რომლებიც მასზე ხელს ითბობენ. სახელმწიფო საკუთარი რესურსით ვერ სარგებლობს. ასეთ აბსურდულ სიტუაციაში ვიმყოფებით დღეს. თუ სისტემა სამეურნეო ფუნქციას მიიღებს, ბიუჯეტში გაცილებით მეტი ფული შევა, ბევრად, თუ მეტს არ ვიტყვით, განსხვავებული იმისგან, რასაც ტენდერში გამარჯვებული ფირმები ახლა იხდიან. ბიუჯეტში შევა ფული სატყეო მეურნეობებისგანაც. ეს საშუალებას მოგვცემს, გაიზარდოს დეპარტამენტის დაფინანსებაც, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ტყეების გაუმართლებელი ჩეხვა შეწყდება.

არის სხვა ვარიანტებიც, თუმცა მათზე საუბარი წინასწარ არ მინდა. გარდა იმისა, რომ ისინი დამუშავების სტადიაშია, ზუსტად ვიცი, რომ ადამიანები, რომლებმაც ამ წლების განმავლობაში მილიონები იშოვეს, რომლებსაც საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ჯიშები ეშელონებით გაჰქონდათ ქვეყნიდან, ჩასაფრებულნი არიან. მათი აზრით, მოვიდა ვიღაც ადამიანი, რომელიც გამოიწერეს გერმანიიდან, ქრთამს არ იღებს, არ ქეიფობს და არ იციან, რა უყონ. ბუნებრივია, რაღაც გზების ძიებას დაიწყებენ. როგორი იქნება ეს გზები, წინასწარ ვერ გეტყვით. მინდა, შიდა სამზარეულოში კარგად გავერკვე.

- ამ წლების განმავლობაში, სახელმწიფო ხაზინამ დაკარგა ზუსტად იმდენი, რამდენიც ამ ადამიანების საბანკო ანგარიშებზე ჩაირიცხა. დარჩენილი რესურსები მოგვცემს იმის საშუალებას, დაკარგული ავინაზღაუროთ?

- თუკი არსებულ რესურსებს განსაზღვრული და ნორმირებული მეთოდებით მივუდგებით, შევძლებთ. ტყეს სჭირდება მოვლითი, გავლითი, სანიტარული, განათებითი, გამოხშირვითი ჭრები. ეს მოჭრილი ხის ხარისხს არაფრით აქვეითებს, ქვეყანას კი მნიშვნელოვან ფინანსურ შემოსავალს მისცემს და ტყესაც მხოლოდ სიკეთეს მოუტანს. საქართველოში არის ისეთი ხშირი კორომები, რომელსაც აუცილებლად სჭირდება გამოხშირვა. ფირმები, რომელთაც ჭრის ლიცენზია აქვთ მიღებული, ამას არ აკეთებენ.

ამ ორი დღის წინათ გარემოს დაცვის მინისტრთან ერთად წყნეთში ვიყავით ასული. იქ ვნახეთ ტერიტორიები, რომელიც თეორიულად ჩვენ გვაწერია, მაგრამ იქ დგას ოთხ-ხუთ-სართულიანი სახლები. რომ მოვიდეს ახლა ჩემთან ვინმე შემოწმებაზე, უნდა წავიყვანო და ვუთხრა, რომ იქ არის ტყე, ამ დროს ბეტონის ოთხმეტრიანი გალავნით შემოსაზღვრული ხუთსართულიანი სახლი დგას. მარტო წყნეთში არ ხდებოდა ასეთი რამ. უბრალოდ, წყნეთი ახლოა და ჩანს, თორემ მსგავსი სიტუაცია ბევრგანაა.

- როდისთვის ფიქრობთ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას, მათ დამტკიცებას? რამდენად სწრაფად შეიძლება მოხერხდეს ეს?

- საკანონმდებლო ინიციატივებით მთავრობაში ჩვენ, მაქსიმუმ, ორ თვეში შევალთ. სპეციალური ჯგუფი მუშაობს ამაზე, ამ საქმის ექსპერტების მონაწილეობით. სერიოზული ცვლილებების შეტანას ვაპირებთ ტყის კოდექსში. წამოვწევთ საბაჟო გადასახადების საკითხსაც. იმედია, საქართველოს პარლამენტი დიდი ხნით არ დააყოვნებს ამ ცვლილებების მიღებას.

- იქამდე, ვიდრე საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევა და სისტემას დამატებითი შემოსავლები გაუჩნდება, ხომ არ აპირებთ, მთავრობის წინაშე დაფინანსების გაზრდის საკითხი დააყენოთ? მატერიალური პრობლემების გამო დღესაც ბევრი რამის გაკეთება ფერხდება.

- ვაპირებთ. ვნახოთ, რა შეხვდება სამინისტროს და რა შეგვხვდება ჩვენ. თუ დაფინანსება არასაკმარისი იქნა, შევეცდებით, გავზარდოთ იგი. ჩვენ მოგვეხსნა სპეცსახსრები. ფაქტობრივად, დარგი, რომელიც 3 000 თანამშრომელს ითვლის და მთელ საქართველოს მოიცავს - ქვეყნის 40 პროცენტი ტყითაა დაფარული - უხელფასოდ, დაფინანსების გარეშე არის დარჩენილი. წარმოიდგინეთ, ტყის მცველი, რომელსაც მოსავლელად აწერია 3 000 ჰექტარი და ხელფასი თვეში 13 ლარი აქვს. ეს მისთვის პირდაპირი სტიმულია, ეს 3 000 ჰექტარი ისე ჩეხოს და ყიდოს, როგორც უნდა.

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
მერი ნაკაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო
დას: 18:00 სთ

თეატრალური სარდაფი
„90-იანი... ადამიანის ხმა“
ავტორი და რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20.00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

კინომსახიობთა თეატრი
პრემიერა
სინგის
„გმირი“
რეჟისორი: ზურა გეწაძე
დას: 19:00 სთ

თავისუფალი თეატრი
შვარცის მიხედვით
„არაჩვეულებრივი სასწაული“
რეჟისორი: გოგი თოდაძე
დას: 19:00 სთ

ძველი სახლი
დოსტოევსკი
„იდიოტი“
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 19:00 სთ

კინოთეატრები

რუსთაველი
„ქრისტეს ვნებანი“
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

ამირანი
„მონსტრი“
დას: 15:00; 17:30 სთ.

„მომხიბლავი პოლი“
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

გამოფენა

თბილისის გოეთეს ინსტიტუტი
გერმანელი ფოტოხელოვანის ახიმ რიხერსისა
და სტუდენტების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
სტუდენტ მხატვართა გამოფენა

სალონი „ხელოვნება“
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა
ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

„ქარვასლა“
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური
გამოფენა „ევოლუცია“

ჰობი
ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოფენა

თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (I დარბაზი)

სურათების ეროვნული გალერეა
მანანა ტოროტაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

კლუბები

„აჭარა მიუზიკ ჰოლი“
Мумий Тролль-კონცერტი
კლუბის გახსნა: 22 საათზე
ბილეთების ფასი: $20-40

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ხუთშაბათს, 29 აპრილს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი ახალი განზომილება, აკაკი ბაქრაძის 8 ტომეულის პირველი ტომის (ბიოგრაფიული რომანები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე) პრეზენტაცია.
მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

მხიარული ფერების გამოფენა

ნინო ჭორჭაძე

დღეს ქარვასლაში გაიხსნა ვირსალაძის სახელობის სამხატვრო გიმნაზიის მოსწავლეთა გამოფენა, რომელიც, ძირითადად, ფერწერული, საგამოფენო ნამუშევრებისაგან შედგება. პედაგოგები საკმაოდ სიტყვაძუნწები აღმოჩნდნენ: უჭირდათ საკუთარ აღსაზრდელებზე საუბარი. მათ მიერ გაკეთებული კომენტარები შეიძლება ერთ-ერთი პედაგოგის მიერ ნათქვამ წინადადებაში გავაერთიანოთ: „ძალიან მაგარი ბავშვები არიან“. ამაში კი გამოფენაზე შესვლისთანავე დავრწმუნდით. საოცრად მხიარული სიუჟეტები, ფერები და მართლა ოსტატურად შესრულებული ნამუშევრები ბავშვური ფანტაზიის მოუხელთებელ და საოცრად საყვარელ სურათს ქმნიდნენ. ამ ნახატების დათვალიერებისას სურვილი გაგიჩნდება ბავშვობაში დარჩე, არ გაიზარდო, რომ არ დაკარგო ეს ბავშვური გულუბრყვილობა, უმიზეზო სიხარული, ცხოვრების ხალისი...

გასაკვირია, როგორ შექმნეს ბავშვებმა ასეთი ლამაზი ნამუშევრები ისეთ აუტანელ პირობებში, როგორიცაა ვიწრო აუდიტორიები, სიცივე, გაპარტახებული მერხები და ხელსაწყოები. პედაგოგები კი, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე მუშაობენ და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მოსწავლეებს ხატვის ხალისი ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ. „იქნებ, ვინმემ ხელისუფლებიდან, ან განათლების სამინისტრომ სცადოს დაეხმაროს და გზა გაუკვალოს ამ ბავშვებს,“ - ასეთი მოკრძალებული თხოვნაც გაჟღერდა დღეს გამოფენაზე.

ყოველი წლის 23 აპრილს

სააკაშვილს აყოლილი ქართული პროზა

ნინო ჭანიშვილი

„15 საუკეთესო ქართული მოთხრობა 2002-2003“ ლაშა ბუღაძეს უნდა წარედგინა მკითხველებისთვის, მაგრამ მან „წიგნის სახლში“ მოსვლა დააგვიანა. ამიტომ, ეს საქმე თავად კრებულის გამომცემელმა ბაკურ სულაკაურმა ითავა და საინტერესოდაც მოჰყვა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება საუკეთესო ქართული მოთხრობების შერჩევა კრებულისათვის.

ბაკურ სულაკაურმა თავიდანვე თქვა, რომ მოთხრობები სუბიექტურადაა შერჩეული და იცის, რომ მის არჩევანს ყველა არ მოიწონებს. „ჩვენი მთავარი მიზანი იყო, იმისთვის მოგვეყარა თავი, რაც პერიოდულ პრესაში იბეჭდება. სამწუხაროდ, ის, რაც პრესაში გამოდის, ხშირად იკარგება ხოლმე. ამიტომ, აქ ისეთი მოთხრობებიც მოხვდა, რომლებიც, შეიძლებოდა, ყურადღების მიღმა დარჩენილიყო. შერჩევა შემდეგნაირად ხდება: ლიტერატურულ გამოცემებს (ძირითადად, „24 საათის“ დამატება „წიგნები“, „არილი“, „ჩვენი მწერლობა“ და „ომეგა“) ვთხოვთ, წარმოადგინონ ყოველივე ის, რაც შეიძლება ამ სათაურს შეესაბამებოდეს. პირველი კრიტერიუმი ტექსტის მოცულობაა, შემდეგ, მომწონს არ მომწონს პრინციპით, ვარჩევთ მოთხრობებს. საბოლოო შერჩევისას კი ვცდილობთ, კრებული თემატურად მრავალფეროვანი იყოს“.

რაც შეეხება კრებულში ავტორების თანმიმდევრობას, ის ერთადერთი კრიტერიუმით - ანბანის მიხედვით დალაგდა. ამიტომ, სიის თავში ლაშა ბუღაძის „მეტამორფოზა“ აღმოჩნდა.

ავტორი და გამომცემელი

კრებულის წარდგენამ მსუბუქად ფემინისტური ელფერი მიიღო. ბაკურ სულაკაურმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ, გასული წლისგან განსხვავებით, წლევანდელ კრებულში ოთხი ავტორი ქალია. როგორც შოთა იათაშვილმა თქვა, ბაკური სააკაშვილის პოლიტიკას აგრძელებს. გაგულისებულმა ქალებმაც არ დააყოვნეს და ერთმანეთის ქება დაიწყეს. „ქართული ლიტერატურის მშვენება“ მაკა მიქელაძე თამარ ფხაკაძეს და სოფიო კირვალიძეს აქებდა: „პროზაში რომ ქალი შეაქონ, წარმოუდგენელია. ამიტომ, ამ ორ ქალბატონს მე ვუწევ რეკომენდაციას“. კრებულის ერთ-ერთმა ავტორმა მარიანა ნანობაშვილმა კი კატეგორიულად განაცხადა: „ქალი ისეთი პროდუქტიული ვერ იქნება, როგორც მამაკაცი, მაგრამ არაფერში ჩამოუვარდება მას“. ამით კრებულის პრეზენტაციის ფემინისტური ნაწილი „დაიხურა“ და ამის შემდეგ მამაკაცი ავტორები გამომცემელთან ერთად არჩევდნენ კრებულში მოთხრობების რაოდენობის ოპტიმალურობის საკითხს - რატომ მაინცდამაინც 15 მოთხრობა.

„რაღაც მრგვალი რიცხვი უნდა ყოფილიყო“, - ამბობს ბაკურ სულაკაური - „10 ცოტაა - ძალიან თხელი კრებული გამოვიდოდა. 20 ძალიან ბევრია. რამდენიმე წლის წინ გამოვეცით კრებული „ფორუმი“, რომელშიც ლექსები, ესეისტიკა და პროზაც შევიტანეთ. არ ვიცი იმიტომ, რომ აბურდული იყო ყველაფერი, თუ მოცულობის გამო, ამ წიგნის ხელში აღება არავის უნდოდა“. ბესო ხვედელიძე, რომელიც ყველაზე მეტად აღფრთოვანდა ნუგზარ შატაიძის მოთხრობით - „მოგზაურობა აფრიკაში“, და საკუთარი „ძაღლური ცხოვრებით“, ამბობდა, - 15 მოთხრობა, თან „საუკეთესო“, ძალიან ბევრიაო.

რაც შეეხება იმის შეფასებას, თუ რამდენად ღირებულია ის, რაც ახალ კრებულში დაიბეჭდა, ერთ-ერთი ავტორის დათო ქართველიშვილის კომენტარი გამოდგება, - ეს ერთ 20 წელიწადში გამოჩნდებაო.

ამიერიდან წლის საუკეთესო 15 მოთხრობა ყოველ წელს გამოვა და მისი პრეზენტაცია „საბას“ დაჯილდოების ცერემონიალის დღეს დაემთხვევა.

გარდა ამისა, ბაკურ სულაკაური, გამომცემლობის სახელით, პრემიის დაარსებას გეგმავს. ნომინანტები თავად კრებულის ავტორები იქნებიან. სამი ავტორისთვის განსაზღვრული საპრემიო ფონდი 1000 ლარი იქნება. გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ ან წელს ზაფხულში, წიგნის ფესტივალზე ან მომავალ წელს, 23 აპრილს.

ცხოვრება მშვენიერიც შეიძლება იყოს

თეონა ჯაფარიძე

ძალიან ნიჭიერი უნდა იყო, რომ დღევანდელ დღეს „მოდა შექმნა“ ისე, რომ მოდას არ აჰყვე. თავის დროზე საკმაოდ პერსპექტიულმა ტანსაცმლის დიზაინერმა - ეკა გოცირიძემ გალერეა „თაგის არტსში“ სარკეები გამოფინა ორიგინალური ჩარჩოებით. პროფესიონალი ტანსაცმლის დიზაინერი დღეს ნივთების დიზაინმა გაიტაცა. შეიძლება ითქვას, გაიტაცა კიდეც, იძულებულიც არის და მოთხოვნილებაც დიდი აქვს, რომ ყველგან და ყველაფერში სიახლე ეძებოს. ქართული მოდისა და ქართველ დიზაინერთა გახშირებული, საეჭვო ხარისხის ჩვენებები პროფესიონალს ნამდვილად აიძულებს, ერთი მხრივ გაერიდოს ამ „ვაკხანალიას და, მეორე მხრივ, თავისი შესაძლებლობები ახალ სფეროებში მოსინჯოს. „რასაც ყველა აკეთებს იმის კეთება, უბრალოდ, აღარ მაინტერესებს“ - მეუბნება საუბრისას დიზაინერი ეკა გოცირიძე და გარდა ზემოთ აღნიშნული მიზეზისა, მიხსნის თუ რატომ თქვა მან ტანსაცმლის დიზაინის შექმნაზე უარი: „დღეს ჩვენთან კარგი ხარისხის მასალა არ არსებობს. ამიტომ თავის მოტყუებაა პომპეზური ჩვენებები და კოლექციების შექმნა. რამდენიმე წლის წინ თექას მოვკიდე ხელი და სწორედ აქ, „თაგის არტსში“ თექის პალტოების ჩვენება მოვაწყვე, მაგრამ დღეს თბილისში თექის მასიური ბუმია და მის მიმართ ინტერესი დავკარგე“ - აცხადებს ის. (ვერაფერს იტყვით. - ის ხომ პროფესიონალი და ამავე დროს მაქსიმალისტია)

ეკა გოცირიძე ეროვნულ სარკეში

ეკა გოცირიძე მოდელირებას სამხატვრო აკადემიაში დაეუფლა და ვინც ქართული მოდის ისტორიას თვალს ადევნებს, მისთვის ნაცნობი უნდა იყოს, რომ ის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო იმ ჩვენებებისა, რასაც 80-იან წლებში სტუდია „ახალგაზრდული“ სთავაზობდა ქართული მოდის სამყაროს. მას, როგორც მოდელს „მოდელების სახლის“ პოდიუმიც იცნობდა და რაც ყველაზე საინტერესოა, თავის დროზე (ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში), ნინო ანანიაშვილისათვის აქვს შექმნილი კოსტიუმები ნინო ლაპაიშვილის სადიპლომო მოკლე საბალეტო ფილმებისათვის. გარკვეული პერიოდი ის კვიპროსზეც ცხოვრობდა და თავისი ძალები ფერწერაშიც მოსინჯა. „იქ ნახატებს ვყიდდი“ - იხსენებს ის.

ტანსაცმელს კი დიზაინერი კიდევ ერთხელ, დაახლოებით ერთი წლის წინ დაუბრუნდა საკმაოდ საინტერესო შეკვეთის შედეგად. შეკვეთა იმ დროს ახლად გახსნილი „აჭარა მიუზიკ ჰოლისგან“ წამოვიდა. ალბათ, თბილისური კლუბების ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა იზრუნეს ბარმენებისა და კლუბის მომსახურე პერსონაჟის იმიჯზე, სტილზე და აქედან გამომდინარე კლუბის ესთეტიკაზე. მახსოვს კოსტიუმები ლაკონურად ექსტრავაგანტული, ჭრელი, თეატრალური იყო და კლუბში განსაკუთრებულ აურას ქმნიდა. თავად დიზაინერი ამ შემთხვევას ასე იხსენებს: „მახსოვს ის ფერი და ის ფაქტურა, რომელიც ჩაფიქრებული მქონდა ვერ ვიშოვე და მასალამ ბევრი რამ გამიფუჭა. ტანსაცმელზე მუშაობისას, ყოველთვის განვიცდი, როცა ჩემი ესკიზები სხვის ხელში გადადის და ტანსაცმელი სხვამ უნდა შეკეროს. ამ დროს ისევ და ისევ ხარისხზე ვფიქრობ.“

დიზაინერი ამ ეტაპზე ნივთების სტილისა და ესთეტიკის შექმნამ გაიტაცა. „თაგის არტსის“ ექსპოზიცია ჯერ ერთი იმით არის ორიგინალური, რომ ეს სარკეების გამოფენაა. წარმოიდგინეთ საგამოფენო დარბაზი, სადაც კედლებზე ვარსკვლავის ფორმის ხალისიანი ლაქებია. („ხალისიანი ლაქები“ სწორედ ასე უწოდა დიზაინერმა თავის ნამუშევრებს.) თანაც ამიხსნა; „სარკე ყველა ოჯახში ფუნქციონირებს, მას ყოფითი დანიშნულება აქვს. თუ ესთეტიკასაც გავითვალისწინებთ, ბევრი ლამაზი სარკე მინახავს, მაგრამ, როგორც წესი, მათ ან ოთხკუთხედი, ან ოვალური ფორმები აქვთ. ჩემი სარკეები კი ვარსკვლავის მსგავს ჩარჩოებში ჩავსვი,. როცა სარკე ირეკლავს სინათლის სხივებს, ის ნამდვილი ვარსკვლავი გეგონებათ.“ ეს რაც შეეხება გარეგნულ ეფექტს. მისი მიღწევა კი დიზაინერმა სწორედ ჩარჩოების დამუშავებით შეძლო. მასალა ხეა და გამოყენებულია სხვადასხვა ტექნიკა: - ინკრუსტაცია, აპლიკაცია, ფერადი მინის მოზაიკა. „მხოლოდ ერთადერთი სარკეა, რომლის ჩარჩოც ლატუნისგანაა დამზადებული და მას შედუღება დასჭირდა, დანარჩენი კი ჩემი საკუთარი ხელითაა შექმნილი. მძიმე სამუშაო იყო, მაგრამ არავისზე ვიყავი დამოკიდებული და გავაკეთე ის, რაც ჩაფიქრებული მქონდა.“ - ამბობს ეკა გოცირიძე. მისი ბოლო პერიოდის გატაცება - ნივთების დიზაინი ელეგანტურია და ეს ელეგანტურობა მოსალოდნელია ჩაიდოს ჩვეულებრივ ყოფით ნივთებში, სარკეებში, სასანთლეებში თუ ფოტოების ჩარჩოებში. მისი სტილი გვახსენებს: - ცხოვრება მშვენიერია.

გაუბედავნი და სიმძაფრეს მოკლებულნი

ვის ამხელენ კავკასიელი ფოტოგრაფები

ვერა ნეფარიძე

იღებენ თუ არა საქართველოში მამხილებელ ფოტოებს? ვისაც ბეჭდურ მედიასთან ოდნავი შეხება მაინც აქვს, იცის, რომ ჩვენს ფოტოგრაფებს თითო-ორი ასეთი კადრი ნამდვილად მოეპოვებათ საკუთარ არქივებში. მაგრამ, რამდენად მზად არიან ისინი (მათ შორის, ჩვენი საზოგადოებაც) ამ ფოტოების გამოსამზეურებლად და სანახავად, ამის დადგენა გუშინ კაფე-სალონ „ბათუსში“ გამართული ფოტოკონკურსის მიზანიც იყო. თუკი გამოფენის მიხედვით ვიმსჯელებთ, პასუხი ამ შეკითხვაზე ცალსახად უარყოფითია. თუმცა, ორგანიზატორები ვარაუდობენ და იმედოვნებენ, რომ ეს ზღვარი, უბრალოდ, პირველ ჯერზე ვერ გადალახეს კონკურსის მონაწილეებმა.

ფოტოექსპოზიცია კაფე-სალონში

კომპრომატების მოყვარულები გუშინდელი გამოფენით უდავოდ უკმაყოფილონი დარჩებოდნენ. როგორც ჩანს, თავად ორგანიზატორებიცა და ჟიურის წევრები მონაწილეებისგან გაცილებით მეტ სითამამესა და თემატურ მრავალფეროვნებას მოელოდნენ. მაგრამ, კავკასიელმა ფოტოგრაფებმა პირველ ჯერზე უპირატესობა სოციალურ პრობლემებს მიანიჭეს.

გუშინ კაფე-სალონ „ბათუსში“ „კავკასიელ ჟურნალისტთა ექსტრემალურმა ჯგუფმა“ გამოფენა-კონკურსი - „მამხილებელი ფოტო“ მოაწყო. „იდეა ის იყო, რომ რაღაცნაირად გამოგვერჩია საერთო კავკასიური პრობლემები; ასევე, ხელი შეგვეწყო მამხილებელი ფოტოგრაფიისთვის. ჩვენთან არ ფასობს ასეთი ფოტოები. არადა, საზღვარგარეთ - პირიქითაა. სხვათა შორის, ჩვენს შეთავაზებას ფოტოგრაფები ძნელად შეხვდნენ. ალბათ, რადგანაც პირველი მცდელობაა, მოერიდნენ. გამოფენაზე ფოტოგრაფებმა წარმოადგინეს ის ნამუშევრები, რაც მათ მიაჩნდათ მამხილებლად. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ ფოტოებს სიმძაფრე აკლია“, - ორგანიზატორებიდან შთაბეჭდილებები გაგვიზიარა „კავკასიელ ჟურნალისტთა ექსტრემ ჯგუფის“ თავმჯდომარემ, ჟურნალისტმა ლელა კოდალაშვილმა. მონაწილე ფოტოებში სიმძაფრის ნაკლებობაზე მიუთითა ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, ცნობილმა ფოტოხელოვანმა გურამ წიბახაშვილმაც: „ვინაიდან ჩვენთან ასეთ ფოტოგრაფიაზე შეკვეთა არ არის, ფოტოგრაფებიც ნაკლებად იღებენ მას. ისე, გამოფენაში მონაწილე თითქმის ყველა ფოტო დამოუკიდებლად, ძალიან საინტერესოა, მაგრამ რამდენად შეესაბამებოდა ისინი თემებს, რომლებიც მოცემული იყო კონკურსში, ვერ ვიტყვი“.

ნამუშევრები ხუთკაციანმა ჟიურიმ შეარჩია. მისი წევრები ორგანიზატორებმა პროფესიონალური და მრავალფეროვნების ნიშნით შეარჩიეს. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: ცნობილი ფოტორეპორტიორი გიორგი ცაგარელი, კინოდოკუმენტალისტები: ბუბა ხოტივარი და ირაკლი პაპავა, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში. ჟიურის პასიურ წევრად (რადგანაც შედეგების შეჯამებისას იგი ქალაქში არ იყო)მუშაობდა დათო მაღრაძე.

კონკურსს ოთხი ძირითადი ნომინაცია ჰქონდა. სპონსორების დაწესებული სიმბოლური პრიზებით ამ ძირითად ნომინაციებში გამარჯვებულთა გარდა, კიდევ უფრო სიმბოლურად (თუკი რამენაირად შეიძლება „არტ-იმედის“ კომპაქტ-დისკებს პრიზი ეწოდოს, მაგრამ კიდევ კარგი, რომ სიმბოლურ ჯილდოებს შორის მხოლოდ ეს დისკები არ ყოფილა) კონკურსის თითოეული მონაწილე დააჯილდოვეს. მთავარი ნომინაციის - „საერთო კავკასიური პრობლემის“ ფავორიტი ჩვენთვისაც უკვე კარგად ცნობილი სომეხი ფოტოგრაფი რუბენ მანგასარიანი გახდა. გამოფენაზე წარმოდგენილი ორი კადრი სერიიდან „შავი ცხოვრება“ ორიოდე თვის წინათ გამოფენილი იყო „N გალერეაში“. სკანდალური მამხილებელი ფოტოების ავტორად დასახელდა აზერბაიჯანელი რაფიელ შარიკოვი; მხატვრული მამხილებელი ნომინაციის გამარჯვებულად აღიარეს ონიკ კრიკორიანი; ეკოლოგიურ თემაზე საუკეთესო მამხილებელ ნამუშევრად მიიჩნიეს ნათელა გრიგალაშვილის ფოტო; საუკეთესო ჟურნალისტური ფოტოს ავტორად გამოცხადდა ბესო გულაშვილი; გივი ჯოლბორდს ერგო ორგანიზატორთა სიმპათიის პრიზი. თავისთავად საინტერესო იყო დანარჩენი ნამუშევრებიც. მაგალითად, „ჩემი არჩევანი“, სადაც მიხეილ როსტომაშვილმა ყოფილი პრეზიდენტი ქალბატონებისადმი არაგულგრილ დამოკიდებულებაში „ამხილა“; უფრო დოკუმენტური მნიშვნელობა აქვს იური მეჩითოვის ფოტოებს, რომლებიც 1991 წელს, გიორგი ჭანტურიას მიტინგის დარბევას გვახსენებენ და ა.შ. საერთო ჯამში, ღონისძიება საკმაოდ ხალისიანი გამოვიდა გულუხვი „ალა-ფურშეტისა“ და დარიგებული სიმბოლური თუ მნიშვნელოვანი პრიზების (ასეთებიც იყო რამდენიმე) წყალობით.

"ძველი ახალი ევროპის" ცხელი ათეული


პოლონეთი
აქ მდებარეობს ათწყარი – ყველაზე ტრაგიკული პოლიტიკის დროინდელი ბანაკი მთელ ევროპაში. კრაკოვი კი ქვეყნის კულტურულ-ინტელექტუალური ცენტრი ფუნქციას და ღამაზი ქალაქია, უამრავი ბარით, ბაზრობებით, კოლორიტული შენობებით.
ესტონეთი
თავისთავად ღამაზი ქვეყანა, სადაც მუსაიფუნების დროინდელი შენობები მთელ ჩრდილოეთ ევროპაში ყველაზე ქარბადაა თავმოყრილი.
ჩეხეთის რესპუბლიკა
თავისი ცისტერნებით და ქუჩებით, პრაღა – როგორც ყველაზე პოპულარული მისაბარი ტურისტებისთვის – მალე დაინტერესებს დამსახურებულ ადგილს ლონდონსა და პარიზის გვერდით, უბრალოდ, ის გაცილებით უფრო იაფი ღქნება.
ლატვია
ტბებით საუკე ცეროპული მინა, ძველი ცისტერნებით, გამოქვაბულებით და მინერალური წყლის წყაროებით. დედაქალაქი რიგა კი არც ნუვის ნამდვილი საამოსახლე.
ლიტვა
ქვიფენილიანი ქუჩებია და კარგად დაცული, ცივილიური ატურით ნაგები ფასადებით ვილნიუსი მთელ კონტინენტზე ერთ-ერთია ყველაზე ღამაზი ქალაქია.
სლოვენია
საოცრად ღამაზი ბუნების მქონე და ამავე დროს იაფი სლოვენია ტურისტებს ისეთ განცდას უტოვებს, თითქოს, მათ ეს ქვეყანა პირველებმა აღმოაჩინეს. საუკეთესო წყლის ანდა ზამთრის სპორტული სახეობებისთვის. თითქოს ზღაპრების ნივნიდან ამოქრილი ბლედის ტბა, თავისი უძველესი ციხესიმაგრით კი, სამრეთ ევროპაში ერთ-ერთი ულამაზესი სანახაობაა.
სლოვაკეთი
ეს ნამდვილი ძველი ევროპაა პატარა და პატარა-პატარა, მყუდრო და ღამაზი კურორტებით (თანაც სტუმრობა ამ ქალაქებში გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე დასავლეთ ევროპის მსგავსი დანიშნულების ცენტრებში).
უნგრეთი
შესანიშნავი ხელოვნება, არქიტექტურა, სამზარეულო და ღვინო – ეს ყველაფერი ბუდაპეშტს "ახალი ევროპის" მეორე ქალაქის სტატუსს ანიჭებს, უდიდესი და უმშვენიერესი პრაღის შემდეგ. თანაც უნგრეთის სოფლები თერმული წყაროებითაა სავსე.
ავსტრია
ვენა
ბრატისლავა
ბუდაპეშტი
სლოვენია
ლიუბლიანა
ხორვატია
ზაგრები
ბოსნია და ჰერცეგოვინა
სერბეთი და ჩერნოგორია
ბელგრადი
რუმინეთი
ბულგარეთი
მაკედონია
სკოპიე
საბერძნეთი
თურქეთი
ალბანეთი
ტირანა
ესპანეთი
პორტუგალია
ხმელთაშუა ზღვა
ატლანტის ოკეანე
ირლანდია
დიდი ბრიტანეთი
ნორვეგია
შვედეთი
ფინეთი
ჩრდილოეთის ზღვა
ბალტიის ზღვა
ჩეხეთი
პრაღა
პოლონეთი
ვარშავა
გერმანია
ბერლინი
საფრანგეთი
ბენილუქსის ქვეყნები
ბელგია
ნიდერლანდები
ლუქსემბურგი
შავი ზღვა

მოკლედ

ბარსელონის მიღმა

ლაბაძე ვენაში ივარჯიშებს

სანდრო ნავერიანი

შედეგიან თამაშს ვითხოვდით და მივიღეთ კიდეც, მაგრამ ამ ტრავმებმა ხომ გული გაგვიწყალეს. ირაკლი ლაბაძის ამა თუ იმ ტურნირზე გამოსვლებს „24 საათი“ ვრცლად აშუქებდა და დიდ ყურადღებას უთმობდა, ეს არც შემდეგში შეიცვლება, ოღონდ მაგან მოიგოს და...

ირაკლი წინა კვირაში ბარსელონაში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ წელის ტრავმის გამო მან ბარსელონას ტურნირზე გამგზავრება ვერ შეძლო. ექიმმა კატეგორიულად ამიკრძალა თამაშიო, - მითხრა ირაკლიმ. ტრავმამ, რომელიც მან პორტუგალიაში მიიღო, უკვე მეორედ შეუშალა ხელი ტურნირის სრულფასოვნად ჩატარებაში. ალბათ, ჯობდა, მართლაც არ წასულიყო ბარსელონაში, რადგან იქ შეიძლება უფრო გამწვავებოდა ტრავმა, რის შემდეგაც ყველანაირ შანსს დაკარგავდა, რომის და ჰამბურგის მასტერსის სერიის ტურნირებზე მიეღო მონაწილეობა.

ირაკლი დღეს დილით ვენაში მიფრინავს, სადაც რომის მასტერსის ტურნირის დაწყებამდე ივარჯიშებს, მაგრამ ჯერ არ იცის, შეძლებს თუ არა ტრავმის ბოლომდე მოშუშებას. ერთადერთი, რაც დაზუსტებით შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ჰამბურგის მასტერსზე ირაკლი აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას და გერმანიაში ქართულ მტვერსაც კი დააყენებს.

ამ პერიოდში ფორმის აღდგენა და ოპტიმალურ ფორმაში შესვლა უაღრესად მნიშვნელოვანია. მასტერსის ტურნირების შემდეგ ხომ დიდი „როლან გარო“ იწყება, სადაც ირაკლის სერიოზული მიზნები აქვს. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი გამოვიდეს, მაგრამ პირადად მე რაც ვიგრძენი, იმას გეტყვით. ირაკლის ძალიან კარგი განწყობა აქვს და, რაც მთავარია, საკმაოდ თავდაჯერებულია, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.

კიდევ ერთი ჰოლანდიელი „არსენალში„

ლონდონის „არსენალმა“ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიძინა. ამჯერად „მეთოფეებმა“ როტერდამის „ფეიენოორდს“ ნახევარმცველი წაჰგვარეს. ჰოლანდიელი რობინ ვან პერსი ყაბულს არის, რომ „ფეიენოორდი“ არსენ ვენგერის კლუბზე გაცვალოს. გავრცელდა ცნობები, რომ 20 წლის ფეხბურთელმა თავის ახალ კლუბთან გრძელვადიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა და უახლოეს პერიოდში სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს. შეთანხმების ფინანსური მხარე ჯერჯერობით უცნობია.

„აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ საშუალება მაქვს, შევუერთდე ისეთ კლუბს, როგორიც ლონდონის „არსენალია“. ეს ხომ ჩემი ძველი ოცნება იყო. ახლა კი ის ასრულდა,“ - განაცხადა პერსიმ ინგლისური კლუბის ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში. პირველად „არსენალმა“ ამ ფეხბურთელით დაინტერესება მიმდინარე წლის იანვარში გამოხატა, მაგრამ მაშინ კლუბებმა შეთანხმება ვერ მოახერხეს. ვარაუდობენ, რომ ყველა დეტალი საბოლოოდ 17 მაისს დარეგულირდება, როცა ევროპაში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება.

ლონდონის „არსენალი“ აგრეთვე დაინტერესებულია „ლივერპულის“ ორი ლიდერის, ნახევარმცველ სტივ ჯერარდისა და ფორვარდ მაიკლ ოუენის შეძენით.

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 29 აპრილი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. პლეიოფი. „სან-კაეტანუ“ (ბრაზილია) - „ინდეპენდენტე“ (არგენტინა)
15:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. „ცესკა“ - „კრილია სავეტოვ“. საპასუხო მატჩი
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 „ევროფანკლუბი“ - „ლაციო“
17:30 „დარტყმა გოლისთვის“
17:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. „ატლეტიკი“ - „ვალენსია“
19:30 „ფეხბურთი ანიდან ჰაემდე“
20:00 „FUTBOL MUNDIAL“
20:30 თავისუფალი დარტყმა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 საუკუნედო მატჩების ანონსი
20:55 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. „მონაკო“ - „ჩელსი“. პირველი მატჩი
22:50 ლიბერტადორესის თასი. პლეიოფი. „სან-კაეტანუ“ (ბრაზილია) - „ინდეპენდენტე“ (არგენტინა). შესვენებისას (23:40) - თავისუფალი დარტყმა
00:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 „ფეხბურთი ანიდან ჰაემდე“
02:15 02:15-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. პლეიოფი. პირველი წრე. მე-5 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ + СПОРТ
11:00, 14:00, 17:00, 22:40 პრესცენტრი
11:20, 22:00 „ოლიმპის შვილები“
11:25, 14:15 „ფორმულის ჰარმონია“
11:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. „TORONTO MAPLE LEAFS“ - „PHILADELPHIA FLYERS“. მე-3 მატჩი
14:35 „ათენის გზაზე“
15:35 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში. ვაჟები. 105კგ
17:15 „Power week - NHL-ის კვირა“
17:40 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრის მატჩების მიმოხილვა
18:35 „ბილიარდის მეუფენი“
19:05 ფიგურული სრიალი. ბრაიან ბოიტანოს შოუ
20:15 „ჩქაროსნული სამყარო“
20:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
21:15 „მოტოვებული კვირა“
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:10 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. „TORONTO MAPLE LEAFS“ - „PHILADELPHIA FLYERS“. მე-3 მატჩი
01:15 ახალი ამბები
01:30 „ჩქაროსნული სამყარო“
02:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
02:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
03:00 03:00-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. „MONTREAL CANADIENS“ - „TAMPA BAY LIGHTNING“. მე-4 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა თაობა
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
15:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
19:00 ველოსპორტი. რომანდის ტური შვეიცარიაში
20:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
23:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
02:00 ახალი ამბები
03:15 კრივი. გერმანიის ჩემპიონატი
03:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

www.pfl.ge "დინამო" ცვლილებების ფონზე

მიხეილ აბაიშვილი

როგორც ჩანს, თბილისის „დინამოზე“ მთავარი მწვრთნელის, ხორვატი ივო შუშაკის გადადგომამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა: გუშინ ეროვნულ სტადიონზე ამხანაგურ საქველმოქმედო მატჩში „დინამომ“ აფხაზეთიდან ლტოლვილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული აფხაზეთის ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 6:1. მატჩს კეთილშობილური - საქველმოქმედო დატვირთვა ჰქონდა, ამდენად, მის სპორტულ მხარეზე საუბარს აზრი არ აქვს. მით უმეტეს, რომ ამ თამაშს სპორტული მხარე საერთოდ არ ჰქონდა.

მთავარი და, გნებავთ, სპორტული მოვლენები მატჩის შემდეგ, თანაც ტრიბუნებქვეშა ნაგებობაში განვითარდა, სადაც „დინამოს“ მმართველი დირექტორის, დავით პეტრიაშვილის და ახალი მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის პრესკონფერენცია გაიმართა.

პირველყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ „დინამოში“ ცვლილებათა მთელი კასკადი განხორციელდა, რაზეც ინფორმაცია დავით პეტრიაშვილმა გააკეთა. გუნდი დატოვეს სპორტულმა დირექტორმა გივი ნოდიამ, ფიზმომზადების მწვრთნელმა ავთანდილ ბერიძემ, მეკარეების მწვრთნელმა გელა ჭანტურიამ. მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის გადაწყვეტილებით, „დინამოში“ აღარ ითამაშებენ მამუკა წერეთელი, ალექსანდრე გოგობერიშვილი და მიხეილ ბობოხიძე. ახალი მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევას არ ვაპირებ და, პირველ რიგში, წარმატებას ვუსურვებ მართლაც ურთულეს პოსტზე. და მაინც, თავს უფლებას მივცემ და აღვნიშნავ, რომ ამ ფეხბურთელების სამსახურზე უარის თქმა, სულ მცირე, ზედმეტი ფუფუნება და საკუთარ ძალებში ზედმეტი თავდაჯერებაა. ალექსანდრე გოგობერიშვილი დამსახურებულად ითვლება საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად (თუ საუკეთესოდ არა) და მან უდიდესი წვლილი შეიტანა დსთ-ს ტურნირზე „დინამოს“ გამარჯვებაში. ყოველივე ამის გამო გოგობერიშვილი ჟირესმა ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახა. მიხეილ ბობოხიძის თამაში კი ბოლო პერიოდში ძალზე დაიხვეწა და თუ ეს ფეხბურთელი იგივე ტემპით გააგრძელებს, არა მხოლოდ საქართველოდან, უცხოეთიდანაც დაუდგება მთხოვნელი კლუბების გრძელი რიგი.

ცოტა თემას გადავუხვიეთ. მთავარი მოვლენა კი, რა თქმა უნდა, ივო შუშაკის გათავისუფლება იყო.

„მოგეხსენებათ, დსთ-ს ტურნირზე გამარჯვების შემდეგ „დინამოში“ კრიზისი დაიწყო და რაც დრო გადიოდა, ეს კრიზისი სულ უფრო მძაფრ ხასიათს იძენდა. საჭირო იყო ქმედითი გადაწყვეტილების მიღება. ბატონ ივო შუშაკთან ერთად განვიხილეთ შექმნილი ვითარება და ერთობლივად მივედით დასკვნამდე, რომ ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან მისი გადადგომა იყო. აღვნიშნავ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური რეალობით არის განპირობებული. ჩვენ არ ვივიწყებთ და არც შეიძლება დავიწყებას მიეცეს ის დიდი წვლილი, რომელიც ბატონმა ივომ შეიტანა „დინამოს“ ფეხზე დაყენებაში. პირადად მისი დამსახურებაა, რომ გუნდმა დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული და გაიმარჯვა თასის გათამაშებაში. ბატონმა ივომ „დინამო“ დსთ-ს ტურნირშიც გამარჯვებამდე მიიყვანა. ჩვენ ვაპირებთ, რომ შუშაკს გუნდიდან გაცილება მოვუწყოთ,“ - არ ივიწყებს დავით პეტრიაშვილი ხორვატი სპეციალისტის დამსახურებებს, თუმცა მისი „დინამოში“ დარჩენა შეუძლებლად მიაჩნია.

„დინამოს“ მომავალი: პეტრიაშვილი და გეგუჩაძე

კლუბის მმართველი დირექტორის თქმით, „დინამოში“ არანაირ ფინანსურ კრიზისზე საუბარი არ არის და მისი პრეზიდენტი, ბადრი პატარკაციშვილი უახლოეს მომავალში სერიოზული ინვესტიციების განხორციელებას აპირებს.

„რამდენიმე თვის წინ მომზადდა კლუბის განვითარების 3-წლიანი გეგმა, რომელიც სერიოზულ ფინანსურ ინვესტიციებს ითვალისწინებს. ამ გეგმის მიხედვით, კლუბის პროგრესის გზით სვლა ეტაპობრივად განხორციელდება. დღეს უფრო დეტალურად საუბრისთვის მზად არ ვარ. უახლოეს მომავალში მოვაწყობთ ამ პროექტის პრეზენტაციას და ყველაფერს მერე მოგახსენებთ,“ - სამომავლო გეგმებზე საუბრობს მმართველი დირექტორი.

რაც შეეხება გია გეგუჩაძეს, მას პირველად სწორედ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყოფნისას ხვდა წილად უმაღლესი ლიგის გუნდის სათავეში ყოფნის პატივი. მას უმაღლესი განათლება ტექნიკურ უნივერსიტეტში აქვს მიღებული, გავლილი აქვს უეფა-ს მწვრთნელთა მომზადების 4 კურსი, საერთო ჯამში, 2 თვის ხანგრძლივობით. თუმცა, მწირ თეორიულ განათლებას იგი ხანგრძლივი პრაქტიკით აკომპენსირებს: 1988 წლიდან მოყოლებული, იგი სხვადასხვა გუნდებში მუშაობს. სულ ბოლოს, გეგუჩაძე „დინამო-2“-ს ედგა სათავეში.

ახალი მთავარი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ არსებული კრიზისის მიუხედავად, გუნდს ძალუძს ჩემპიონის ტიტულის დაცვა და თასის ტურნირში გამარჯვება.

„პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „დინამოს“ დირექტორატს იმ დიდი ნდობისთვის, რომელიც მე გამომიცხადა. ვაცნობიერებ იმ ტვირთის სიმძიმეს, რომელიც მხრებზე დამაწვა. ვინც არ უნდა იყოს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, გუნდის მიზნები არ იცვლება. ჩემს შემთხვევაშიც, მხოლოდ ჩემპიონობისთვის და თასზე გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ვფოქრობ, „დინამოს“ ეს ხელეწიფება,“ - ასეთია ახალი მთავარი მწვრთნელის პოზიცია.

კარლოს კეირუში: "თუ ასე გავაგრძელებთ, ჩემპიონები გავხდებით"

კაცი მეხუთე სართულიდან მოფრინავდა და ამბობდა: ჭერჭერობით ყველაფერი რიგზეა...

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა მთელი სეზონის განმავლობაში ირწმუნებოდა, კარლოს კეირუშს მომავალ წელსაც თავის პოსტზე დავტოვებთო, სამეფო კლუბი უკვე მის შემცვლელს ეძებს. „ბარსელონას“ წინააღმდეგ განცდილმა მარცხმა მოთმინების ფიალა აუვსო აქამდე მოთმინებით აღსავსე ფლორენტინო პერესს. ვარსკვლავებით გადაჭედილი „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა, ვერც ესპენთის თასს დაეუფლა და პრიმერა-დივიზიონში ლიდერობაც დაკარგა. ეს მართლაც მეტისმეტია, ამას, ალბათ, მართლაც არ აპატიებენ კეირუშს.

ესპანური პრესა ამასობაში „რეალის“ მომავალი მწვრთნელის შესაძლო კანდიდატურებზე ალაპარაკდა და ამტკიცებს, რომ „რეალის“ ხელმძღვანელობას კეირუშის შემცვლელად რომის „ლაციოს“ ამჟამინდელი მწვრთნელი, რობერტო მანჩინი ესახება. ჩვენმა ესპანელმა კოლეგებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მადრიდული კლუბის წარმომადგენლები უახლოეს ხანებში გეგმავენ მანჩინისთან შეხვედრას. თავად იტალიელი მწვრთნელი ამ ინფორმაციებს კატეგორიულად უარყოფს, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. „რეალს“ მართლაც ძალიან სურს მანჩინის გადაბირება, მაგრამ იტალიელის ანაზღაურება მათთვის დიდი პრობლემა იქნება. მანჩინი ყოველწლიურად 4 მილიონ ევროს ღებულობს „ლაციოში“, „რეალი“ კი მწვრთნელისათვის 2 მილიონ ევროზე მეტის გადახდას არ აპირებს.

მანჩინის გარდა, „რეალის“ მწვრთნელის პოსტზე არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელის, კარლოს ბიანკის და ლისაბონის „ბენფიკას“ ესპანელი მწვრთნელის ხოსე ანტონიო კამაჩოს კანდიდატურებსაც განიხილავენ.

„რეალის“ მომავალი მწვრთნელის ვინაობას ახლა ნამდვილად ვერ დავადგენთ. მანამდე, ალბათ, ისევ და ისევ კარლოს კეირუშის აზრის მოსმენა აჯობებს. გთავაზობთ მადრიდელთა დამრიგებლის პირველ ინტერვიუს „ბარსელონას“ წინააღმდეგ განცდილი მარცხის შემდეგ. ვინ იცის, შესაძლოა, ეს მისი უკანასკნელი ინტერვიუც კი აღმოჩნდეს „რეალის“ მწვრთნელის პოსტზე...

- „ბარსელონასთან“ თქვენს დამარცხებას დიდი რეზონანსი მოჰყვა მთელ მსოფლიოში. არადა, თქვენ ისე იქცევით, თითქოსდა ყველაფერი რიგზეა...

- ახლა ჩვენ იმ მისიაზე უნდა გავაკეთოთ კონცენტრირება, რომელიც აუცილებლად უნდა შევასრულოთ. ჩვენ არ გვჭირდება სხვებზე ფიქრი. „ვალენსია“ და „ბარსელონა“ თავთავიანთ გზებს მიუყვებიან, ჩვენ კი ჩვენს გზაზე უნდა ვიაროთ. და თუ მომავალ მატჩებში ჩვენ ისეთივე თამაშს ვაჩვენებთ, როგორიც „ბარსელონას“ წინააღმდეგ ვაჩვენეთ, მაშინ ჩემპიონობასაც მოვიპოვებთ, ამაში დარწმუნებული ვარ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი გუნდი ამჟამად შესანიშნავ ფორმაში იმყოფება.

- როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება ახლა გუნდი?

- მე ვარწმუნებ ფეხბურთელებს, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენი თამაშის გაკონტროლების უნარი. თუ ჩვენ ერთიანი გუნდი ვიქნებით, თუ ჩვენ მადრიდის „რეალი“ ვიქნებით, მაშინ აუცილებლად ვიზეიმებთ ჩემპიონობას. იმისათვის, რომ ჩემპიონატი მოვიგოთ, არ გვჭირდება ზიდანებზე და პავონებზე საუბარი, ჩვენ გვჭირდება, რომ ერთიან, მტკიცე ხასიათის გუნდად ვიქცეთ. საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის თანაბარი წილი უნდა ავიღოთ, მიუხედავად ჩვენი სტატუსისა.

კეირუში გამოუსწორებელი ოპტიმისტი ყოფილა

- ფიგუს გაძევებამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. მსაჯობის შესახებ თითქმის არასოდეს საუბრობთ. მაგრამ, სამართლიანია ის, რომ „დეპორტივოს“ წინააღმდეგ მომავალ მატჩში ფიგუ ვერ ითამაშებს?

- ამ თემაზე არასოდეს ვსაუბრობ. მთელი იმ რვა თუ ცხრა თვის განმავლობაში, რაც მე „რეალში“ ვარ, მსაჯობის თემას არც ერთხელ შევხებივარ. მაგრამ ახლა, უბრალოდ, არ შემიძლია, რომ ჩემი ფეხბურთელი არ დავიცვა. სხვა გზა არც მაქვს. თუ სადისციპლინო კომიტეტი სამართლიანია, მაშინ მათ უნდა გაეუქმებინათ ფიგუს მეორე ყვითელი ბარათი. რატომ? - იმიტომ, რომ ვიდეოფირზე კარგად ჩანს, ფიგუ საერთოდ არ შეხებია პუიოლს. ჩვენ უკვე გვქონდა პრეცედენტი, როდესაც უეფა-მ ვიდეოფირი გამოიყენა. სწორედ ვიდეომასალის მიხედვით განიხილეს მათ რობერტო კარლოსის საქმე, როდესაც ის „ბაიერნის“ ფეხბურთელს ეუხეშა. თუ დღევანდელი ფეხბურთის პრაქტიკაში ვიდეოფირები გამოიყენება, მაშინ ფიგუს ყვითელი ბარათი უნდა გაუქმებულიყო.

- „ბარსელონას“ წინააღმდეგ მატჩში არაობიექტური მსაჯობის გამო დამარცხდით?

- ვფიქრობ, რომ არ ღირს წუწუნი. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ხუთი ყვითელი ბარათი მივიღეთ, „ბარსელონამ“ კი არც ერთი. და ეს ასეთ დაძაბულ მატჩში. მსაჯობის თემაზე ბევრ კომენტარს ვისმენ და ბევრს ვკითხულობ. ხშირად მესმის, რომ მსაჯები ხან გჩუქნიან, ხანაც გართმევენ. მაგრამ, მე არ ვიზიარებ ამ ფრაზის შინაარსს. სიმართლემ ყოველთვის უნდა გაიმარჯვოს. არ უნდა შევეგუოთ იმას, რომ „მსაჯები ხან გაჩუქებენ, ხანაც წაგართმევენ“.

- „ბარსელონასთან“ განცდილმა მარცხმა ზიანი მიაყენა გუნდს?

- „რეალისა“ და „ბარსელონას“ მატჩში დამარხება ყოველთვის დიდი ტრავმაა. ჩვენ დამწუხრებულები ვართ, თუმცა ასეთია ფეხბურთი. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თითოეული ჩვენი გულშემატკივარი ძალიან დამწუხრებული ტოვებდა სტადიონს, მაგრამ მე ასევე დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ქომაგები ამაყობენ იმ თამაშით, რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა აჩვენეს. ვიმეორებ: თუ ჩვენ ასე თამაშს გავაგრძელებთ, ესპანეთის ჩემპიონები გავხდებით.

- როგორ შეაფასებდით სეზონს ამ მომენტისათვის?

- „რეალში“ შექმნილი სიტუაცია სწორად და რაციონალურად უნდა შევაფასოთ. ჩემი აზრით, სეზონი საკმაოდ პოზიტიურად მიმდინარეობს. სატურნირო ცხრილში ჩვენი ამჟამინდელი პოზიცია ესპანეთის ჩემპიონატის მაღალი დონითაა გამოწვეული. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მეტოქეების კლასს. განწყობა ოპტიმისტური გვაქვს და ჩემპიონობაზე ვფიქრობთ. რატომ? - იმიტომ, რომ ახლა 70 ქულა გვაქვს, წინ კი კიდევ 12 ქულაა გასათამაშებელი. გასულ წელს გუნდმა ჩემპიონობა 76 ქულით მოიპოვა. ტიტული ერთნაირად ძვირფასია, დაეუფლები მას ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე თუ უკანასკნელ მატჩში.

- კი, მაგრამ სეზონის დასაწყისში ისე სჩანდა, რომ თქვენ ყველაფერს მოიგებდით, რომ სხვა გუნდები თითქოს არც კი არსებობდნენ...

- ასეთი სურათი ჩვენ არ შეგვიქმნია. თავდაპირველად ეგონათ, რომ გოლიათი მოუგებდა დავითს, არადა ადამიანებს სწორედ ის მოსწონთ, რომ დავითი ამარცხებს გოლიათს. მათ, ვინც თავიდან გვაქებდა, ახლა სურთ, რომ ჩვენ დავმარცხდეთ. მაგრამ, ჩვენ არ მოვტყუვდებით, კარგად ვიცით, ვინ არის ჩვენ გვერდით და ვინ - არა.

კალათბურთი

ქართველები საქართველოსთვის ითამაშებენ

ზაზა ფაჩულია ამერიკაზე, NBA-ზე და საქართველოს ნაკრებზე

პაატა თოთაძე

ზაზა ფაჩულია საქართველოსთვის ითამაშებს

ზაზა ფაჩულია ერთ-ერთი იმათგანია, ვისი იმედიც აქვს ქართული კალათბურთის გულშემატკივარს. ვოვა სტეფანიასთან და ნიკა ცქიტიშვილთან ერთად NBA-ს ქართული ტრიოს წევრი რამდენიმე დღით თბილისს ეწვია და მედიის წარმომადგენელთა და გულშემატკივართა ინტერესის დაკმაყოფილება გუშინ სპორტ კაფეში მოწყობილ პრესკონფერენციაზე სცადა.

მასთან ერთად პრესკონფერენციას კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი დაესწრნენ, რომელთაც თავდაპირველად ნაკრების და თავად ფაჩულიას მომავალ გეგმებზე ისაუბრეს. როგორც გაირკვა, ზაზა კვირას საჩვენებელ ვარჯიშს ჩაატარებს. რაც შეეხება ნაკრებს, ეროვნული გუნდი ივნისში შეიკრიბება, ორკვირიან შეკრებას გაივლის აქ, შემდეგ იტალიაში საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება, სექტემბრიდან კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. ასეთი პერსპექტიული და იმედის მომცემი თაობა ქართულ კალათბურთს კარგა ხანია, არ ჰყოლია. გულშემატკივრებიც დღევანდელ ნაკრებზე დიდ იმედებს ამყარებენ, თუმცა გარკვეულწილად იმის შიშიც აქვთ, ვაითუ ოკეანისგაღმელთა ეროვნულ ნაკრებში თამაში არ მოხერხდესო.

- მე ერთი რამის თქმა შემიძლია, ჩვენ NBA-შ მოთამაშე ქართველი კალათბურთელები ეროვნულ გუნდში ვითამაშებთ, - განაცხადა ფაჩულიამ, - ნაკრებთან დაკავშირებით ერთმანეთში არაერთხელ გვქონდა საუბარი და ასე გადავწყვიტეთ - ნაკრებში ვითამაშებთ და ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მოსაპოვებლად...

- პირველი სეზონია, ამერიკაში ვარ, თუმცა შეგუება იქაურ პირობებთან დიდად არ გამჭირვებია. თურქეთში თამაშისას გუნდში მყავდა ამერიკელები და მათი დახმარებით ვიცოდი, სადაც მივდიოდი. სეზონით საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ. ჯერ ერთი, 19 წლის ვარ და ბევრი რამ წინ მაქვს. ჩემი ასაკის მოთამაშეები იქ თითზე ჩამოსათვლელია. რაც შეეხება იმას, რომ სეზონი არათანაბარი გამომივიდა, ამას უფრო იმას დავაბრალებ, რომ იქ ძალიან ბევრი მატჩის ჩატარება მომიხდა. ევროპაში 9-10 თვის განმავლობაში 35 მატჩის თამაში მიწევდა, ამერიკაში კი 6 თვეში 84-ჯერ გიწევს მოედანზე გასვლა...

- ძალიან წარუმატებელი სეზონი გვქონდა, კონფერენციაში ბოლო ადგილზე გავედით. ამის გამო გუნდში დიდი ცვლილებები მოხდება. წამოსვლის წინ მქონდა საუბარი გუნდის ხელმძღვანელობასთან და როგორც გაირკვა, მათ ჩემი დატოვება სურთ. ბუნებრივია, ეს სასიამოვნოა, თუმცა ბევრი რამ ჩემზეც არის დამოკიდებული. შესაძლოა, სხვა რომელიმე კლუბში გადავიდე. NBA-ში სეზონი ჯერ არ დასრულებულა, სატრანსფერო სეზონი მხოლოდ ამის შემდეგ იხსნება და ჩემი მენეჯერიც ამის მერეღა დაიწყებს მუშაობას ამ საკითხთან დაკავშირებით. სიმართლე გითხრათ, NBA-ს გუნდები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან, როგორც ეს ევროპაშია, ამდენად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რომელ გუნდში ითამაშებ. თუმცა, ბუნებრივია, სურვილი გაქვს, სულ მცირე პლეი-ოფში ერთი რაუნდი მაინც ითამაშო. ამერიკაში ვცდილობდი, ახალბედების პირველ თუ არა, მეორე ხუთეულში მაინც მოვხვედრილიყავი, მაგრამ... ბოლო ადგილზე გასულ გუნდს არავინ აქცევს ყურადღებას...

- ამდენი წაგებების გამო ფსიქოლოგიური პრობლემა არ შემქმნია. ამდენად, ეს არც ნაკრებში ჩემს თამაშზე აისახება. ნაკრების გეგმები ვიცი, ამერიკაში პერსონალური მწვრთნელი მყავს, რომელსაც უკვე გავაცანი ნაკრების გეგმები. ის შეუთავსებს ერთმანეთს ნაკრების და კლუბის გეგმებს და ამგვარად მომამზადებს...

- ვოვა სტეფანია მშვენიერ კალათბურთელია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ის უკვე რამდენიმე წელია, ამერიკაშია და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე კლუბი შეიცვალა. ცუდ კალათბურთელს იქ კონტრაქტს არავინ გაუფორმებს და აიძულებენ, ევროპაში დაბრუნდეს. ცქიტიშვილზეც მუდამ კარგი მესმის. ვფიქრობ, ისიც ბოლომდე ამერიკაში დარჩება. კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელი გვყავს ევროპაში. მჯერა, საქართველოს ნაკრები კარგი გუნდი იქნება. ჩვენ შეგვიძლია შემდეგ ეტაპზე გასვლა. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ, დანარჩენი ფედერაციის საქმეა. მჯერა, ისიც თავს გაართმევს ყველაფერს. ამის რომ არ მჯეროდეს, თამამად არც ვისაუბრებდი.

- NBA-ში განსხვავებული ვითარებაა. მოთამაშეები უფრო პროფესიონალები, უფრო მაღალი დონისანი არიან. იქ თითოეული მატჩისგან სიამოვნება უნდა მიიღო, მოედანზე თავისუფლად გახვიდე. სხვაგვარად თამაში შეუძლებელია. დიდი სურვილი მქონდა, შაკილ ონილის და ტიმ დანკანის წინააღმდეგ მეთამაშა კარგად. ერთი სიტყვით, მათ წინააღმდეგ უფრო მონდომებული ვიყავი. სხვათაშორის, ონილს ერთხელ ბურთი წავართვი, ერთხელაც დავუფარე, თუმცა მსაჯმა დამაჯარიმა. მათთვის ძნელი წარმოსადგენია, ვიღაც ახალბედა ევროპელმა „შაკს“ დაუფაროს.

- კარგია, როცა ამერიკაში წასულს ევროლიგა გაქვს ნათამაშები. ძალიან გეხმარება, რადგან ეს ტურნირი ყველაზე მაღალი დონისაა ევროპაში, ამდენად, გამოცდილებაც მეტი გაქვს. იქ არის ერთი-ორი მოთამაშე, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატებიდან პირდაპირ NBA-ში აღმოჩნდნენ და უფრო მეტად უჭირთ.

* * *

ამის შემდეგ საუბარი ისევ ფედერაციის პრეზიდენტთან, ბესიკ ლიპარტელიანთან გაგრძელდა. პრეზიდენტის განცხადებით, ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული ნაკრების უკეთ მოსამზადებლად.

„არანაირი პრობლემა გუნდს და მოთამაშეებს არ შეექმნებათ. შეკრება იქნება თუ კიდევ სხვა რამ, ფედერაცია ყველაფერს უზრუნველყოფს. არანაირი პრობლემა არ შეიქმნება NBA-ში მოთამაშე ქართველ კალათბურთელთა დაზღვევასთან დაკავშირებითაც. ერთი სიტყვით, ჩვენ ყველაფერზე წავალთ, ამ გუნდმა დიდ წარმატებას რომ მიაღწიოს. ამგვარი ნაკრები დიდი ხანია, არ გვყოლია და ფედერაციამ ახლა რომ ჩაიმუხლოს, ყოვლად დაუშვებელია. დანარჩენი მწვრთნელზე და მოთამაშეებზეა დამოკიდებული“, - აღნიშნა ლიპარტელიანმა.

მშიერი მგლები

სანდრო ნავერიანი

პლეი-ოფის დაწყებას და მასში „დენვერ ნაგეთსის“ მონაწილეობაზე მანამ ვოცნებობდი, სანამ არ ამიხდა; მაგრამ რისთვისაც დენვერელთა პლეი-ოფში ხილვა მინდოდა, ის არ მოხდა, მათ მხოლოდ ნიკოლოზ ცქიტიშვილის გულისთვის ვგულშემატკივრობდი, მან კი ტრავმა მიიღო და დენვერმა შემდეგ ეტაპზეც რომ გააღწიოს, სკიდა მაინც ვერ მიიღებს პლეი-ოფში მონაწილეობას. დენვერზე კი მაინც მოგითხრობთ და გეტყვით, რომ მინესოტელი მგლები ისეთი მშივრები არიან, როგორც არავინ, ისინი სერიაში სამით ერთს უგებენ დენვერელებს.

„დენვერ ნაგეთსი“ 82
„მინესოტა თიმბერვულვზი“ 84

„მინესოტამ“ შეძლო, სტუმრად დაემარცხებინა „დენვერ ნაგეთსი“ და სერიაში 3:1 დაწინაურდა. კოლორადოში მიღწეულ გამარჯვებას მინეაპოლისელები თავის ლიდერ კევინ გარნეტს უნდა უმადლოდნენ, მან 27 ქულა, 14 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. წინა შეხვედრისაგან განსხვავებით, რომელშიც აგრესიულად პასუხობდა ოპონენტების უხეშობას, ამ შეხვედრაში კეიჯიმ (კევინ გარნეტის მეტსახელი-რედ.) შეძლო ემოციების მოთოკვა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო.

კეიჯის მონდომება ცოტაც და ფუჭად ჩაივლიდა. საქმე ის არის, რომ მინესოტელი მგლები უკანასკნელი მეოთხედის შუაში რვა ქულას იგებდნენ, მაგრამ მარკუს კემბის მონდომებულმა თამაშმა შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ანგარიში შეამცირა და კოლორადოელები მხოლოდ ორ (76:74) ქულასღა აგებდნენ. მინესოტელებმა გააძლიერეს დაწოლა მეტოქეზე და შედეგად ექვს ქულიან უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ვოშონ ლენარდის სამ ქულიანმა და მეტოქის გადაცემის ჩაჭრამ სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა 81:80. ფინალურ სირენამდე კი 1 წუთი და 14 წამი რჩებოდა. ამის შემდეგ ლატრელ სპრიუელმა საპასუხო სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ შეტევაზე კი ნენე ჰილარიომ დანქი გააკეთა, ანგარიში 84:82 გახდა. შეტევაზე მგლები იყვნენ, დრო კი სულ ცოტა რჩებოდა, ამიტომაც დენვერელებმა ჯარიმა აიკიდეს და სპრიუელს მატჩის დამთავრებამდე 18 წამით ადრე შეეძლო ყველაფერი გადაეწყვიტა, მაგრამ მან ორივე საჯარიმო ააცილა. დენვერელებმა კი ვერ გამოიყენეს ეს შანსი, ანდრე მილერმა სამწამიანი ზონიდან ნატყორცნი ბურთი ააცილა, ვოშონ ლენარდი კი არც ცდილობდა, შეეტია. მატჩი მინესოტას გამარჯვებით 84:82 დასრულდა.

გარნეტი საუკეთესოა

მინესოტელებს პლეი-ოფში თამაში უოლი შერბიაკის გარეშე მოუწევთ, მან ხერხემლის ტრავმა მიიღო.

„ნიუ-ორლეან ჰორნეთსი“ 96
„მაიამი ჰიტი“ 85

ნიუ-ორლეანელმა კალათბურთელებმა დაამტკიცეს, რომ „მაიამი ჰიტის“ ახალგაზრდა შემადგენლობასთან შედარებით გაცილებით გამოცდილები არიან. ამ დაპირისპირების წინ ყველა სპეციალისტი ერთხმად აცხადებდა, რომ ნიუ-ორლეანელი კალათბურთელები ბებრები არიან და მაიამელ ახალგაზრდებთან ვერაფერს გააწყობდნენ, მაგრამ ეს ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით.

როგორც იქნა, ბაირონ დევისმა ჩაყარა თავისი ცნობილი სამიანები, რითიც გატეხა ნავსი, რომელიც მას პლეი-ოფის დაწყებიდან თან სდევდა; მან 23 ქულა და ათი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. სტეისი ოგმენი, რომელიც 13 სეზონია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშია, სათადარიგოთა სკამიდან ადგა და 17 ქულა მოუტანა ნიუ-ორლეანელებს, აქედან ოთხი ქულა ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო.

ნიუ-ორლეანელები თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყვნენ, თუმცა, მაიამელებმა ორჯერ სერიოზულად ამოუქაჩეს და გაასწრეს კიდეც, მაგრამ ისინი სამი ქულის მეტს ვერც ერთხელ ვერ იგებდნენ. მატჩის მესამე მეოთხედში მაიამელთა შემადგენლობაში თავი გამოიჩინა ლამარ ოდომმა, რომელმაც იმედი ჩაუსახა თავის გუნდს, მაგრამ შეხვედრა მაინც ნიუ-ორლეანელთა ტრიუმფით დასრულდა.

ამრიგად სერიაში ანგარიში გათანაბრდა 2:2, მაგრამ მაიამელები მაინც ფავორიტებად მიიჩნევიან, მათი შემდეგი შეხვედრები მაიამიში გაიმართება, მაიამელები კი სახლში ძალიან ძლიერები არიან.

ამ დროისათვის პლეი-ოფის მეოთხედფინალში გასულები არიან „სან-ანტონიო სფურზი“, რომელიც „ლოს-ანჯელეს ლეიკერსსა“ და „ჰიუსტონ როქეთსს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება. ტეხასელებმა „მემფის გრიზლისს“ მოუგეს 4:0. მეორე გუნდი „ინდიანა პეისერზია“, რომელმაც „ბოსტონ სელტიქსს“ სძლია ასევე 4:0. ინდიანელები მეოთხედფინალში „მაიამი ჰიტსა“ და „ნიუ-ორლეან ჰორნეთსს“ შორის გამარჯვებულს შეხვდებიან. და მესამე გუნდი, რომელმაც მეოთხედფინალში თამაში უკვე გაინაღდა, „ნიუ-ჯერსი ნეთსია“, რომელმაც „ნიუ-იორკ ნიქსი“ დაამარცხა ასევე 4:0. ნიუ-ჯერსელი ქსელები მეოთხედფინალში „დეტროიტ პისტონზსა“ და „მილუოკი ბაქსს“ შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

სპორტული მედიცინა

ევროსაბჭო დოპინგზე აგვცრის

გიგა გურასაშვილი

საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის მოწვევით თბილისს ევროსაბჭოს ექსპერტები ეწვევიან. ევროსაბჭოს სამკაციანი დელეგაციის მიზანია, ადგილზე ნახოს და შეისწავლოს საქართველოს სპორტული მედიცინისა და დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. ვინაიდან საქართველო ევროკავშირის გზას ადგას, რიგ მოთხოვნებთან ერთად არის საკითხები, რომლებიც ასევე აუცილებლადაა შესასრულებელი. ამ შემთხვევაში საუბარია სპორტულ მედიცინაზე.

- კარგია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს, - გვეუბნება საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ კაბარიშვილი, - კერძოდ, სპორტული მედიცინის ასოციაცია, ოლიმპიურ კომიტეტთან, სპორტის დეპარტამენტთან და სამინისტროსთან ერთად მზად ვართ, სპორტული მედიცინის სფეროში ევროსაბჭოს მიერ საქართველოსთვის წამოყენებული რეკომენდაციები და მოვალეობები შევასრულოთ. ისე, ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. გეხსომებათ, შარშან დანიაში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მექმარიაშვილმა ხელი მოაწერა მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოსთან (ვადა) თანამშრომლობას. ხელის მოწერით, ბუნებრივია, საქართველოს სპორტულმა სამყარომ უამრავი ვალდებულება აიღო საკუთარ თავზე. მათ შორის ის, რომ საქართველოში უნდა შექმნილიყო ანტიდოპინგური კომისია...

წლეულს, 30 იანვარს პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა, სპორტული მედიცინის ბაზაზე შექმნილიყო ანტიდოპინგური კომისია - 17 კაცის შემადგენლობით. აღნიშნულ კომისიაში შედის ფეხბურთის ფედერაციის, რაგბის კავშირის კომპეტენტური წარმომადგენლები, ისევე, როგორც სპორტის დეპარტამენტის, ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის სამმართველოს წარმომადგენლები.

- რას ითვალისწინებს ევროსაბჭოს ექსპერტთა ვიზიტი და საერთოდ, რას გვეტყოდით მათზე?

- ევროსაბჭოს სამკაციან ჯგუფში შედიან სტრასბურგის წარმომადგენელი, სპორტის დეპარტამენტისა და ჯანმრთელობის კომიტეტის ადმინისტრატორი სტანისლავ ფროსარდი; ევროპის ყოფილი ჩემპიონი კალათბურთში ქალბატონი რიმა ბერლოვიენე, რომელიც ამჟამად ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს წევრი და აგრეთვე ლიტვის ჯანმრთელობის სამინისტროს საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსია; დელეგაციის მესამე წევრი ქისმეთ ერკინერი კი საარბიტრაჟო და იურიდიული საკითხების კომისიის წევრია.

რაც შეეხება ექსპერტების სამუშაო გრაფიკს, იგი საკმაოდ გადატვირთულია და არაერთ შეხვედრას ითვალისწინებს. მათ შორის, შეხვედრებს სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ გიგი წერეთელთან, სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან, სპორტისა და კულტურის მინისტრ გიორგი გაბაშვილთან. სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში ჩატარდება სემინარი...

გარდა ამისა, ვეწვევით საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ბაზას.

- „დინამოსთან“ დაკავშირებით კონკრეტული ინტერესი რამ გამოიწვია?

- უბრალოდ გვინდა, ჩვენს სტუმრებს ვაჩვენოთ, რომ საქართველოში არსებობს კეთილმოწყობილი ბაზა, სადაც გარკვეული შესაძლებლობებია სპორტსმენთა რეაბილიტაციისთვის.

რა შეიძლება მოჰყვეს ექსპერტთა ვიზიტს. მათი მხრიდან, ალბათ, გარკვეული დახმარებაც იქნება შესაძლებელი...

შინ დაბრუნების შემდეგ ექსპერტები გამოგვიგზავნიან დასკვნას, რომელშიც აღნიშნული იქნება ის, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. რა იქნება შესაცვლელი იმისთვის, რომ საერთაშორისო სტანდარტებში ჩავჯდეთ.

- პირადად თქვენ როგორ გგონიათ რა უნდა გაკეთდეს?

- უკვე ორი დოპინგ-ოფიცერი გვყავს, რომლებიც ორიოდე დღის წინათ საერთაშორისო სერთიფიკატებით დაგვიბრუნდნენ მოსკოვიდან. ანუ, გვაქვს საშუალება, რომ ნებისმიერი შეჯიბრების შემდეგ ტესტირებები ჩავუტაროთ სპორტსმენებს. ბუნებრივია, სპორტულ ფედერაციებთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ.

- ამ მხრივ ვინმესთან თუ მოასწარით თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება?

- სასიამოვნოა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამაზე უკვე წამოვიდა. ანუ, ისევე, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში კეთდება, შეგვეძლება იმ სპორტსმენთა შემოწმება, რომლებსაც შევარჩევთ. მოგეხსენებათ, რიო ფერდინანდი შეამოწმა არა ვადამ - მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ - არამედ ინგლისის დოპინგ სააგენტომ.

ერთი სიტყვით, გვჭირდება შესაბამისი დოპინგ ლაბორატორია, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ თანხებს საჭიროებს. თუ სახელმწიფო ამ მხრივ დახმარებას გაგვიწევს, მაშინ გამორიცხული არაა, საქართველოს დოპინგ ლაბორატორია კავკასიის ცენტრალურ ლაბორატორიად მოგვევლინოს.

ფრედ ვუდროფის მკვლელი ჯერაც არ არის დაკავებული - ამბობს მაიკლ ფულარა

პირველი გვერდიდან

ამ ტყვიით შუბლგახვრეტილი ამერიკელი თვით ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელმა ისე წაასვენა საქართველოდან, რომ საპატიო ყარაულმა არც კი იცოდა, ვინ ესვენა ამერიკის დროშაგადაფარებულ კუბოში.

ამერიკელის მკვლელობა ქართველმა სამართალდამცველებმა იმავე ღამეს გახსნეს და მკვლელობაში ეჭვმიტანილი - რიგითი გვარდიელი ანზორ შარმაიძე ადვილად დაიჭირეს. სამაგიეროდ, ამერიკული სპეცსამსახურები მკვლელობის გარემოებებს კიდევ ოთხი წლის მანძილზე იძიებდნენ და რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარიც დახარჯეს. ახლა კი ირკვევა, რომ FBI-ის გამოძიება ჯერაც არ შეუწყვეტია.

საქართველოს დედაქალაქთან მომხდარი მკვლელობა თავიდანვე საეჭვო იყო. პირველ რიგში კი - იმიტომ, რომ თბილისის შემოგარენში, სოფელ ნატახტრის საგუშაგოს მახლობლად მოძრავ მანქანაში მოკლული, 45 წლის ამერიკელი ფრედ რასელ ვუდროფი, რომელიც, ოფიციალურად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონულ ურთიერთობათა სექტორის თანამშრომლის სტატუსს ატარებდა, სინამდვილეში, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (იგივე CIA-ის) მიერ სტრატეგიული ინტერესის ობიექტ ქვეყანაში - საქართველოში შემოგზავნილი ერთ-ერთი პირველი აგენტი გახლდათ. მანქანას კი, რომელშიც CIA-ის მიერ საქართველოში ფარული მიზნებით წარგზავნილმა აღსასრული ჰპოვა, საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის (ასე ერქვა მაშინ უშიშროების სამინისტროს) სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროსი, შესაბამისად, სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პირადი დაცვის უფროსის სტატუსის მატარებელი ელდარ გოგოლაძე მართავდა.

ასეთ ვითარებაში მკვლელად უბრალო გვარდიელის აღიარება, რომელმაც თითქოს, ბრმად გაისროლა ავტომატი და მისი ნასროლი ერთადერთი ტყვია თავში მოხვდა საქართველოში მყოფ CIA-ის ერთადერთ აგენტს, თავისთავად, მრავალი ეჭვის აღმძვრელია.

ასეა თუ ისე, ვუდროფის მკვლელობის საქმე ქართველ სამართალდამცველებს კარგა ხნის დავიწყებული ჰქონდათ. ერთი შეხედვით, მათ, თითქოს, ვალი მოიხადეს, გამოძიება დაჩქარებული წესით დაასრულეს, მკვლელობაში ბრალდებული გაასამართლეს და 15-წლიანი პატიმრობაც არგუნეს. თუმცა, ამ საქმის გახსენება მათ ახლა საფუძვლიანად მოუწევთ.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შევიდა ანზორ შარმაიძის ადვოკატის თამაზ ინაშვილის სარჩელი, რომელსაც თან ერთვის ამერიკელი ადვოკატის მაიკლ ფულარას მიერ წლების მანძილზე შეგროვებული არგუმენტები. ქართველ და ამერიკელ ადვოკატებს მიზანი ერთი აქვთ - ხელახლა იქნას გამოძიებული ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობის საქმე და უდანაშაულო ადამიანი არ იხდიდეს სასჯელს უმძიმესი ბრალდებით.

"ერთდროულად ორი ტრაგედია მოხდა: ფრედის მკვლელობა და უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება"

ეს სიტყვები ფრედ ვუდროფის დას, ჯორჯია ვუდროფ-ალექსანდერს ეკუთვნის. იგი ჩვენ შარშან ზაფხულში დაგვიკავშირდა და "24 საათში" გამოქვეყნებული წერილების სერიის, სახელწოდებით "ვუდროფის საქმე", ინგლისური თარგმანის გაგზავნა გვთხოვა.

"24 საათის" მიერ ჩატარებული გამოძიება საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებსა და სასამართლოში, FBI-დან ექსკლუზიურად ჩვენთვის მოწოდებულ, გრიფ "საიდუმლო"-ახსნილ მასალებს და, რაც მთავარია, სხვადასხვა კონფიდენციალური თუ ექსკლუზიური წყაროებიდან, უშუალოდ, ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. ამჟამად, "24 საათში" გამოქვეყნებული მასალებით წყაროს მიუთითებლად სარგებლობენ სხვადასხვა ტელეარხები.

ფრედ ვუდროფის დისთვის ამ წერილებში ბევრი რამ ახალი აღმოჩნდა. მასთან ელექტრონული ფოსტით დაკავშირების შემდეგ შევიტყვეთ, რომ ამერიკელი ადვოკატი, ვუდროფების ოჯახის ახლობელი მაიკლ ფულარა უკვე წლების მანძილზე ცდილობს, მოიპოვოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია ფრედ ვუდროფის მკვლელობისა და ამ მკვლელობის გამოძიების შესახებ. ჯორჯია ვუდროფ-ალექსანდერმა ჩვენი ნებართვით, მასაც გაუგზავნა "24 საათში" გამოქვეყნებული წერილების ინგლისური ვერსია.

რამდენიმე თვის წინ, თბილისში უკვე მეორე ვიზიტისას, მაიკლ ფულარა რედაქციაში გვეწვია და ჯერ კიდევ მაშინ თქვა, რომ მისი შემდეგი ვიზიტი უფრო კონკრეტული დატვირთვის მქონე იქნებოდა.

ფრედ ვუდროფი დებთან ერთად. (ფოტო საოჯახო ალბომიდან მოგვაწოდა ჯორჯია ვუდროფმა)

ცხადია, ამერიკელ ადვოკატს, ჩვენზე, ქართველ ჟურნალისტებზე, გაცილებით მეტი ბერკეტები ჰქონდა საიმისოდ, რომ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ წარმოებული გამოძიების მასალები გამოეთხოვა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ CIA-დან ინფორმაციის მიღებას, ჩვენი არ იყოს, ვერც მან მიაღწია, ხოლო FBI-დან მიღებული ფაილების დიდი ნაწილი, ისევე, როგორც ჩვენს ეგზემპლიარში, მასთანაც შავი მარკერით გულმოდგინედ იყო წაშლილი. მიუხედავად ამისა, პროფესიონალ ადვოკატს არ გასჭირვებია ქართულ საგამოძიებო მასალებში ბევრი ისეთი უზუსტობის და თეთრი ლაქის მიგნება, რომელიც შარშან გაზაფხულზე, ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილების წაკითხვის შემდეგ, ქართველი იურისტებისთვისაც შეიძლებოდა ხელახალი გამოძიების მოთხოვნის მიზეზი გამხდარიყო. თუმცა, საქართველოში თანამოქალაქის ბედით დაინტერესება არავინ გამოიჩინა, ამერიკელი ადვოკატი კი ერთი, უსამართლოდ ციხეში წლობით გამოკეტილი ადამიანის ბედზე ზრუნვით, საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზეც ზრუნავს:

"მე მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ გადავწყვიტე, საქართველოს სამართალდამცველი ორგანოებისთვის სარჩელით მიმემართა, რადგანაც საქართველოს ახალ პრეზიდენტს არაერთხელ დაუფიქსირებია თავისი სურვილი, რომ ქვეყანა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დააყენოს. სამართლებრივი სახელმწიფო კი ციხეში უდანაშაულო ადამიანების ყოლის პირობებში არ შენდება," - ასეთი შემართებით წამოიწყო საქმე მაიკლ ფულარამ, მაგრამ პირველ უგულისყურობას უკვე წააწყდა - გენერალური პროკურორისთვის შეთავაზებულ დახმარებაზე უარი მიიღო.

რაც შეეხება მის მიერ მოპოვებულ, შარმაიძის უდანაშაულობის მამტკიცებელ არგუმენტაციას, ის საკმაოდ ვრცელია. მაიკლ ფულარასთან დეტალურ ინტერვიუს ხვალ შემოგთავაზებთ, ამჟამად კი მხოლოდ მის მიერ შედგენილი სარჩელიდან მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს, რომლებიც ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში წარმოებული გამოძიების მასალები სერიოზულ რევიზიას საჭიროებს:

"დოკუმენტები, რომლებიც მიღებულ იქნა აშშ ფედერალური საგამოძიებო ბიუროდან ("ფსბ" - FBI), გვიჩვენებს, რომ შეუძლებელი იყო ფრედ ვუდროფის მკვლელობის ჩადენა იმ სახით, როგორადაც ამას მოწმეები და ექსპერტები აღწერენ, - წერია ქართველი ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელის საარგუმენტაციო ნაწილში, რომლის ავტორიც უშუალოდ მაიკლ ფულარაა, - **პროკურორის თეორია მოცემულ დანაშაულთან დაკავშირებით, ექსპერტების ჩვენებას ეყრდნობა იმის შესახებ, რომ საბედისწერო ტყვია ავტომანქანა "ნივა"-ს კორპუსს მოხვდა, სწორედ უკანა მინის ზემოთ. ექსპერტიზის მოწმეების ჩვენების თანახმად, საბედისწერო ტყვიამ აშკარა ხვრელი გააჩინა ავტომანქანის როგორც შიგნით, ასევე გარეთაც. თუმცა, იმხანად ბონში მყოფმა და თბილისში ჩამოსულმა "ფსბ"-ს აგენტმა, რომელმაც ავტომანქანა ნივა უშუალოდ მკვლელობის შემდგომ დაათვალიერა, ტყვიის მიერ დატოვებული ამგვარი "აშკარა ხვრელის" ვერავითარი კვალიც კი ვერ აღმოაჩინა...**

ქართველი გამომძიებლების მიერ, წინასწარვე "აშკარად" წოდებული ნატყვიარის ვერპოვნა "ფსბ"-ს აგენტის მიერ, უტყუარი დამადასტურებელია იმისა, რომ ნატყვიარი ხვრელი მანქანას არ გააჩნდა მაშინ, როდესაც აგენტმა ავტომანქანა შეამოწმა; და რომ ეს ნატყვიარი ხელოვნურად შეიქმნა მკვლელობიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, სასამართლო პროცესის დაწყებამდე...

პროკურორის თეორია ამ დანაშაულის შესახებ გამომდინარეობს ექსპერტიზის დასკვნიდან, რომელშიც გაცხადებულია, რომ საბედისწერო ტყვია ვუდროფს ზუსტად მარჯვენა თვალს ზემოთ მოხვდა. ექსპერტიზის ეს დასკვნა მთლიანად შეესაბამება მოწმეების ჩვენებას, რომ ვუდროფი მთელი ტანით შეტრიალებული იყო თავის სკამზე მაშინ, როდესაც შარმაიძემ საბედისწერო ტყვია გაისროლა. თუმცა, საექსპერტო ლაბორატორიულმა ანალიზმა, რომელიც შეერთებულ შტატებში ჩატარდა, აბსოლუტური დარწმუნებულობით დაადგინა, რომ ტყვია ვუდროფის თავის ქალაში შევიდა ზემოდან და უკანა მხრიდან... თუკი საბედისწერო ტყვიამ, რეალურად, ვუდროფის თავის ქალაში ზემოდან და უკანა მხრიდან შეაღწია, მაშინ ფაქტობრივი მოწმეები, რომლებიც ამბობენ, რომ ვუდროფი "მთელი ტანით შეტრიალდა თავის სკამზე", ან ცდებიან, ან ტყუიან; ბრალდების მხარის ექსპერტი-პათანატომების დასკვნები არადამაჯერებელია...

პროკურორის თეორია ამ დანაშაულის შესახებ ეყრდნობა მოწმეების ჩვენებას იმის შესახებ, რომ ვუდროფი გარდაიცვალა მას შემდგომ, რაც იგი მცხეთის საავადმყოფოდან წამოიყვანეს, მანამ, სანამ მას თბილისის საავადმყოფოში ჩამოიყვანდნენ. ავტომობილ "ნივა"-ს ერთ-ერთმა მგზავრმა უჩვენა, რომ ვუდროფი საღამოს 21 საათსა და 30 წუთამდე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ვუდროფი მკვდრად გამოცხადდა, როდესაც იგი თბილისში, კამოს ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოში მიიყვანეს. ეს დაახლოებით 22:30-ზე მოხდა. ამგვარად, პროკურორის მიერ წარმოდგენილი მოვლენების შესაბამისი ვერსიის თანახმად, ვუდროფი, დაახლოებით იმ შუალედი ერთი საათის განმავლობაში გარდაიცვალა. თუმცა, "ფსბ"-ს საიდუმლო გრიფმოხსნილი კომუნიკე აცხადებს, რომ თბილისის საავადმყოფოში მოყვანისას, ვუდროფის გვამი "rigor mortis-ის [გაშეშების] საკმაოდ ხანდაზმულ მდგომარეობაში იმყოფებოდა". მაგრამ, შეუძლებელია, რომ სხეულმა ხანდაზმული გაშეშების მდგომარეობა ერთ საათზე ნაკლებ დროში მიიღოს. ეს კი უტყუარად ადასტურებს იმას, რომ ვუდროფის სიკვდილს უფრო ადრე ჰქონდა ადგილი, ვიდრე ამას ბრალდების მხარე აცხადებს, ანუ რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე შარმაიძემ საბედისწერო ტყვია, თითქოსდა გაისროლა..."

"ფრედ ვუდროფის ცხედარს 6-8 საათის მანძილზე მანქანით დაატარებდნენ, ამის მოწმეები არსებობენ, მაგრამ საქართველოში ჩატარებული გამოძიებისას, ამ პირებით არავინ დაინტერესებულა. მეტსაც გეტყვით, ქალები, რომლებიც, ქართული გამოძიების თანახმად, ფრედ ვუდროფსა და ელდარ გოგოლაძეს ახლდნენ და მკვლელობის მთავარ მოწმეებად სახელდებიან, ვფიქრობ, მკვლელობის მომენტში მანქანაში საერთოდ არ ისხდნენ."

გენერალური პროკურატურა "ვუდროფის საქმეს" სწავლობს

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლის სტატუსს ამოფარებული, ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს აგენტი, რომელსაც საქართველოში ამერიკის პოლიტიკური პროექტების განხორციელება ევალებოდა, ვერასოდეს იფიქრებდა, თუ 1993 წლის 8 აგვისტოს, მისი სასიამოვნო უიკ-ენდი მცხეთა-ნატახტრის გზაზე, უბრალო გვარდიელის მიერ გასროლილი საბედისწერო ტყვიით ტრაგიკულად დასრულდებოდა.

აფხაზეთის ომიდან რამდენიმე დღით თბილისში ჩამოსული, 21 წლის გვარდიელი ანზორ შარმაიძეც ვერასდროს წარმოიდგენდა, რას უმზადებდა ბედისწერა - რომ მას გაასამართლებდნენ CIA-ს სპეციალური აგენტის, ანუ იმ ადამიანის მკვლელობისთვის, რომლის არსებობის შესახებაც ადრე არაფერი გაეგონა. ანზორ შარმაიძე, რომელიც 1994 წლის 7 თებერვალს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ჯემალ ლეონიძემ დამნაშავედ ცნო და საქართველოში აშშ-ს საელჩოს თანამშრომლის ფრედ ვუდროფის მკვლელობისთვის 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ახლაც გაკვირვებულია. 11-წლიანი პატიმრობის შემდეგ, ყოფილი გვარდიელი თავს მაინც უდანაშაულოდ მიიჩნევს.

"ეს ცხრა წელი უმძიმეს პირობებში გავატარე, შვიდი წელი "კრიტში" მამყოფეს. რამდენჯერმე კატეგორიულად გამაფრთხილეს, დამემუქრნენ, რომ ამ საქმის ქექვისთვის თავი დამენებებინა, მე დასაკარგი აღარაფერი მაქვს, 9 წელი ციხეში გავატარე და დარჩენილ 6 წელსაც მოვიხდი, მაგრამ რატომ უნდა ვატარებდე მკვლელის სტატუსს," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ანზორ შარმაიძემ, რომელიც ახლა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადის მკურნალობის კურსს. სხვათა შორის, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი შარმაიძე, რომელსაც ფეხზე მიღებული დაზიანების გამო მოწამვლა განუვითარდა, ციხის ადმინისტრაციას სწორედ მაიკლ ფულარამ გადააყვანინა საავადმყოფოში.

წლების მანძილზე არც საქართველოში და არც ამერიკაში, აღარავინ დაინტერესებულა, სამართლიანად იხდიდა თუ არა სასჯელს ანზორ შარმაიძე. თუმცა, მისი არსებობა ორჯერ მაინც გაიხსენეს. პირველად - 1995 წლის ზაფხულში, თბილისში ფრედ ვუდროფის მეუღლის ჩამოსვლისას, როდესაც მოკლულის ცოლმა მკვლელობისთვის გასამართლებულთან შეხვედრა ითხოვა და მეორედ - 2001 წელს, როცა ანზორ შარმაიძე ციხიდან გაიქცა. CIA-ს სპეციალური აგენტის მკვლელობაში ბრალდებული ციხიდან FBI-ის მაშინდელი დირექტორის ლუი ფრის საქართველოში ვიზიტის დაწყების დღეს გაიქცა. ფრის ვიზიტის დასრულებიდან ორიოდ კვირაში ანზორ შარმაიძეს სამართალდამცველებმა მიაგნეს და კვლავ ციხეში დააბრუნეს.

11 წლის შემდეგ, ანზორ შარმაიძე კიდევ ერთხელ, მესამედ გაიხსენეს. ამჯერად ეს გახსენება სამართლებრივ ჩარჩოებშია მოქცეული - საქმეში ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, 1994 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვა გარდაუვალია. ადვოკატის განცხადებით, **"საქმის განხილვის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო მთელი რიგი არსებითი გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც გამოიწვევდა იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობას, რომლებიც საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს."** ადვოკატმა გენერალურ პროკურატურას გაუთვალისწინებელ მტკიცებულებათა მოკლე ჩამონათვალი შესთავაზა და მათზე დაყრდნობით საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა:

"1) არც სასამართლოსთვის და არც წინასწარი გამოძიებისთვის ცნობილი არ ყოფილა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის ის დასკვნა, რომელიც მან გააკეთა 1993 წლის 11 აგვისტოს, ტრაგიკული შემთხვევიდან ორი დღის შემდეგ. აღნიშნული დასკვნის შესაბამისად, ავტომანქანის უკანა მხარეს არსებული მინისა და თუნუქის შემაერთებელ რეზინში ტყვიის შემავალი ხვრელი და, რაც უმთავრესია, ავტომანქანის სალონში აღმოჩენილ იქნა ტყვიით დაზიანებული ჭერი.

2) წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორიის 1993 წლის 12 აგვისტოს დასკვნა, რომლის შესაბამისად გაკეთებულ იქნა კატეგორიული დასკვნა, რომ ტყვია მოძრაობდა მსხვერპლის უკანა მხრის კუთხიდან ქვემოთ.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შესაბამისად კი, ტყვია მოძრაობდა წინიდან უკან (ს. ფ. 27, ტ. პირ), რაც შეეხება კუთხეს, აღნიშნულის დადგენა ექსპერტიზამ შეუძლებლად მიიჩნია. (ს. ფ. 148, ტ.6).

3) ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც ეჭვს არ იწვევს, არის, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი გილზა ნამდვილად გასროლილია მსჯავრდებულ ა. შარმაიძისთვის ჩამორთმეული ავტომატიდან.

რაც უმთავრესია, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ "მტკიცებულების" შექმნა-მოპოვება ინსპირირებული იქნა. აღნიშნულის შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და ხელშეწყობის, მტკიცებულებათა პროცესუალურად დამაგრების აუცილებლობიდან გამომდინარე, დეტალური ინფორმაცია მიწოდებული იქნება გამოძიებისთვის.

გთხოვთ:

1. ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო აღძრათ სისხლის სამართლის საქმე აშშ-ს მოქალაქის, ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმეზე და მასზე სათანადო გამოძიება ჩაატაროთ;

2. გამოითხოვოთ აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროდან და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან აშშ-ს მოქალაქის, ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმეზე არსებული დოკუმენტაცია."

საქმე ისაა, რომ FBI-ის მასალების მიხედვით, საქართველოში ჩამოსულმა FBI-ის აგენტებმა თავდაპირველად რამდენიმე მცდარი ცნობა მიიღეს. თითქოს, მანქანა, რომელშიც ფრედ ვუდროფი მოკლეს, ტყვიით არ დაზიანებულა; თითქოს, მკვლელობის იარაღი იყო ავტომატი "AK-47"; თითქოს, სასიკვდილო ჭრილობის შემავალი ხვრელი მდებარეობდა შუბლზე, მარჯვენა თვალს ზემოთ, გამომავალი კი - კეფაზე.

მოგვიანებით, თვით FBI-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მანქანაზე ნატყვიარი იპოვეს - ერთი შეხედვით, ის მართლაც ძნელად შესამჩნევი გახლდათ - ტყვიას მანქანის უკანა მინასა და სალონის ლითონს შორის დამაგრებული მონიკელებული რეზინის სალტეში გაევლო და მინა სწორედ მის ქვეშ დაეზიანებინა.

მკვლელობის იარაღად აღიარებული ავტომატი, პირველი მონაცემებისგან განსხვავებით, "AK-47" კი არა "AK-74" აღმოჩნდა. რაც შეეხება ჭრილობას, ქართველმა ექსპერტებმა გვამის გაკვეთის შემდეგ დასკვნაში დაწერეს: "შემავალი ცეცხლსასროლი ნაიარევი განლაგებულია შუბლის მიდამოებში, მარჯვნივ, გამომავალი კი - კეფაზე".

სამშობლოში გადასვენებული ფრედ ვუდროფის ცხედარი ამერიკელმა ექსპერტებმაც გაკვეთეს. გაკვეთა ბეთესდას საზღვაო ძალების ჰოსპიტალში ჩატარდა. FBI-ის საგამოძიებო მასალებში პირდაპირ არის ნათქვამი: **"პირველი დათვალიერებით ჩანდა, რომ ჭრილობა მარჯვენა თვალთან შემავალი იყო. მაგრამ გაკვეთის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მარჯვენა თვალთან ჭრილობა გამომავალია. ქართველი ექსპერტების მიერ საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანა მათ მწირ ტექნიკურ შესაძლებლობებს შეიძლება დაბრალდეს. სხვა ეჭვის გამოთქმის საფუძველი ჩვენ არ გვაქვს".**

"თერმომეტწლიანი ბატალიებით დავიღალე, მოდიოდნენ ჩემს სანახავად ვიღაცები მაშინ, როცა სიტუაციის შესაბამისად საჭირო ვიყავი, როგორც ამერიკელის მკვლელობისთვის გასამართლებული პირი. რა ხდება ახლა ჩემს საქმესთან დაკავშირებით, ვერაფერს გეტყვით, საქმის კურსში ჩემი ადვოკატია. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის ჩემი და ამერიკელი ადვოკატების მისამართით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყვება, რადგან ამ წლების მანძილზე ზუსტად გავიგე, რომ ჩემგან დამოუკიდებლად უსერიოზულესი სიტუაციის ცენტრში აღმოვჩნდი, ამ სიტუაციას არავინ არასდროს გაშიფრავს," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ანზორ შარმაიძემ.

გასულ ოთხშაბათს გენერალურ პროკურატურაში შესულ სარჩელს სამართალდამცველთა რეაგირება უკვე მოჰყვა. გენერალური პროკურატურის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველომ სარჩელის საფუძვლიანობის მოკვლევა დაიწყო. **"სარჩელის შესწავლა დაწყებულია და თუ აღმოჩნდება, რომ სარჩელში მოყვანილ არგუმენტებს საფუძველი გააჩნია, საქმის ხელახალი აღძვრის შესახებ დადგენილებას გამოვიტანთ. სხვა შემთხვევაში მოსარჩელე მხარის მოთხოვნას უარით ვუპასუხებთ. წინასწარ რაიმეს თქმა ჯერჯერობით ნაადრევია,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ.

გენერალურ პროკურატურას მოკვლევის ჩასატარებლად ერთთვიანი ვადა აქვს. ამ საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, ცნობილი გახდება, საქართველოს გენერალური პროკურატურა როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს. 11 წლის წინ სარეკორდო ვადაში - თვენახევარში გამოძიებული საქმის ხელახალ ძიებას დაიწყებს თუ სამუდამოდ დახურავს საქმეს, რომელსაც "ვუდროფის საქმე" ჰქვია და რომლის გამოძიების ქართულ ვარიანტში ძალზე ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა დარჩენილი. FBI-ის კი ვუდროფის საქმის გამოძიება ჯერაც არ დაუსრულებია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ოჯახური ჰანგები ფრანგულად

სალომე კიკალეიშვილი

22-26 აპრილის ჩათვლით, კინოს სახლში, საფრანგეთის საელჩომ, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრმა და ქართველ კინემატოგრაფისტთა კავშირმა მაყურებელს ფრანგული ფილმების ციკლი "ოჯახური ჰანგები" შესთავაზა.

"ეს არის ბოლო წლებში შექმნილი ფრანგული, საკმაოდ წარმატებული ფილმები, სადაც ფრანგული კინოს ვარსკვლავები მონაწილეობენ: კატრინ დენევი, იზაბელ იუპერი, საბინ აზემა... თუ თქვენ გიყვართ ფრანგული სული, იუმორი, მაშინ ეს ფილმები თქვენთვისაა" – განაცხადა საღამოს გახსნაზე დიუმას სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორმა ფრანსუა ლორანმა. ციკლის სახელწოდებიდან გამომდინარე, ამ ფილმების კიდევ ერთი (გარდა წარმატებისა), მთავარი გამაერთიანებელი ღერძი ოჯახი იყო. ოჯახი - ზოგან მხიარული ("ტანგი"), ზოგან დრამატული ("ვანდომის მოედანი"), ზოგან კი შემზარავი ("უცოდველთა კომედია")...

თუ დასაწყისში გაკეთებულ განაცხადს – ეს ფილმები ფრანგული ოჯახის ინსტიტუტის ცვალებადობასა და განვითარებაზეაო – პირდაპირ სცემს პასუხს, მაშინ ფრანგები არც თუ ისე სახარბიელო დღეში ყოფილან, რადგან აქ წარმოდგენილი ფილმების ძირითადი თემა, ოჯახის დისფუნქციურობა, ელემენტარული ურთიერთობების გადაგვარება, გაუცხოება იყო. მეტ-ნაკლებად საინტერესო ფილმებში გაუცხოება – თემა, რომლის გარშემოც არაერთი ფილმის გმირი "იტანჯებოდა", ჯერ კიდევ ათწლეულების წინ აყუერრდა კინომამებთნ და, შეიძლება ითქვას, გასული საუკუნის ერთ-ერთი უსაყვარლესი კინოთემა იყო, ამჯერად ისევ ამოტივტივდა ფრანგ რეჟისორებთან და ამიტომ, რიგ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, მოძველებულად ჟღერდა (მაგალითად "უცოდველთა კომედია").

გაცილებით საინტერესო ციკლის პირველი ფილმი, სედრიკ კლაპიშის 1996 წელს გადაღებული "ოჯახური ჰანგები" იყო. "ძალიან ფრანგული ფილმი" – ითქვა გახსნაზე, მართლაც, ძალიან ფრანგული იყო, სადაც მთელი აქცენტი მშვენივრად აგებულ დიალოგებზე, სიტყვაზე კეთდებოდა, რომლის საშუალებითაც ხდებოდა გმირების გაცნობა-შეცნობა. მოქმედება კი მინიმუმამდე დაყვანილი, რომელიც პატარა ბარის ფარგლებს ერთი-ორჯერ და ისიც ძალიან ცოტა ხნით გასცდა.

თუ არასდროს ყოფილხართ პარიზში, ვანდომის მოედანზე, სადაც უმდიდრესი სასტუმრო „რიცია" განლაგებული, გარშემო კი უმდიდრესი საიუველირო მაღაზიები, მაშინ ამ მოგზაურობას ნიკოლ გარსიას ფილმით "ვანდომის მოედნით" შეძლებდით. მოგზაურობას ბრილიანტებსა და ძვირფას თვლებში, ფრანგი ვარსკვლავების კატრინ დენევის (ვენეციის "ოქროს პალმის რტო") და ჟან პიერ ბაკრის მონაწილეობით. თუმცა, ოჯახი აქ სხვაგვარად გათამაშდა.

"უცოდველთა კომედია" - ასე ერქვა წარმოშობით ჩილელი რეჟისორის რაულ რუიზის ფილმს. სადაც ხვდები, რომ წარმოსახვა და რეალობა ერთ მშვენიერ დღეს საშინელ სიზმრად შეიძლება გადაიქცეს.

მუსიკა ჩინური ელემენტებით, ფრანგი მსახიობები და ამერიკული სტილი, ასეთი იყო ციკლის ბოლოს ნაჩვენები ეტიენ შატილიეზის ფილმი "ტანგი", კომედია, უფრო ზუსტად, ბოროტი კომედია იმაზე, თუ როგორ უნდა გააგდო შვილი სახლიდან, როცა ის 28 წლის ბეჯითი (ჩინურს სწავლობს, ლექციებს კითხულობს) ადამიანია და არც კი ფიქრობს საკუთარი ოჯახის, ცხოვრების მოწყობაზე.

Мумий Тролль-ის ახალი ამჯლუა

ვერა ნეფარიძე

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" მორიგი კომერციული პროექტის ჯერი დადგა. Мумий Тролль-ის განმეორებით კონცერტზე საუბარი შარშანვე დაიწყო. რუსული პოპ-როკის ვარსკვლავი ჯგუფი ამჯერად თბილისს განახლებული რეპერტუარით, ბოლო ალბომის - Похитители книг მხარდასაჭერი ტურნეს ფარგლებში ეწვია.

"აჭარა მიუზიკ ჰოლმა" პოპულარულ რუსულ ჯგუფთან კონტრაქტი თავიდანვე ორ კონცერტზე გააფორმა. თუმცა, ეს პირობა იმ შეთხვევაში შესრულდებოდა, თუ Мумий Тролль-ის პირველი კონცერტი თბილისში წარმატებით ჩაივლიდა. 11 მარტის კონცერტი კი, კლუბში გამართულ შარშანდელ მუსიკალურ საღამოებს შორის, მართლაც, განსაკუთრებული აღმოჩნდა. იმდენად განსაკუთრებული, რომ აღფრთოვანება თავად მუსიკოსებმაც ვერ დამალეს. ჩვენ კი, იმ საღამოს, უბრალოდ, გაკვირვებულები დავრჩით - რუსი როკაპოპასას იდეოლოგებისგან ამდენს ნამდვილად არ ველოდით. Мумий Тролль-ის მუსიკა არც ისე მსუბუქი მოსასმენი აღმოჩნდა, როგორც მათივე ჩანაწერების მიხედვით გვეგონა. ორი საათის განმავლობაში თბილისის მეგაკლუბში ისეთი ენერგიული და ჯანსაღი საკონცერტო აურა იდგა, ბევრ აღიარებულ მუსიკოსს შეშურდებოდა. ჯგუფის თეატრალური, ლამაზთვალება ლიდერის მომხიბვლელობამაც თავისი ეშხი შეჰმატა კონცერტს. მოკლედ, Мумий Тролль-ის შარშანდელი სტუმრობა საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა. დღევანდელი საღამოსადმი ინტერესს კი ჯგუფის განახლებული რეპერტუარი კიდევ უფრო ამძაფრებს.

Похитители книг, - ესაა Мумий Тролль-ის დებიუტი კინომუსიკაში. ჟანრობრივად აბსოლუტურად განსხვავებული იმისგან, რითაც ვლადივოსტოკელი მუსიკოსები წლების განმავლობაში მსმენელს თავს ამახსოვრებდნენ.

ალბომი, სულ რაღაც, ორი თვეა რაც გამოვიდა. ალბომში შესული სიმღერები შეიქმნა სპეციალურად იგივე სახელწოდების კინოფილმისთვის, რომლის ავტორიცაა ახალგაზრდა რეჟისორი ლეონიდ რიბაკოვი. ფილმში მუსიკოსებიც მონაწილეობენ და საკუთარ თავს განასახიერებენ (ეს საკმაოდ აპრობირებული, ერთგვარი თანამშრომლობის ფორმაა მუსიკოსებსა და კინემატოგრაფისტებს შორის). ალბომს თან ახლავს მთლიანი ფილმი, რაც პირველი პრეცედენტია რუსეთის მუსიკალურ ბაზარზე. თავად „საუნდტრეკი" შეიცავს როგორც "მუმი ტროლისთვის" დამახასიათებელი ენერგიული, ტრადიციული ჟღერადობის სიმღერებს (როგორიცაა Медведица), ასევე რამდენიმე ელექტრონულ რემიქსსა და ფრანგული შანსონის ან ესპანური ფლამენგოს ("Боксерский вальс, Фламенко") ტიპის ინსტრუმენტალურ ნამუშევრებს. ჩანაწერს საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, რისი წყალობით, ჯგუფის მიმდინარე ტურნესაც საკმაოდ წარმატებული პირი უჩანს. როგორია ალბომის საკონცერტო ინტერპრეტაცია, მართლაც, საინტერესოა. ამისთვის ნამდვილად ღირს ამაღამ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მისვლა, თუკი, რა თქმა უნდა, ამისთვის აუცილებელი 40 ლარი (ბილეთების ფასი 20-დან 40 ამერიკულ დოლარამდეა) გაქვთ.

TV პროგრამა

29 აპრილი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ნიუ-იორკის ბანდები". მთ. რ-ში: ლენარდო დი კაპრიო, დენიელ დე-ლუისი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი **11.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.25** კვალი **15.15** მხ. ფილმი "ფორსაიტების საგა" 7-8ს. **17.00** დოკ. ფილმი "საგნების ისტორია" **17.05** ანსამბლი "მძლეველი" **17.50** რამპა **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ჯანმრთელობა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.10** სერიალი "ფსიქფაქტორი" **23.30** მხ. ფილმი "პროზაკის თაობა"

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "კიდევ რაღაც". მთ.რ-ში კრისტინა რიჩი, დენი დე ვიტო. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ცოდვა". მთ. რ-ში გარი ოლდმენი, ვინგ რეიმსი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "მხატვრის კონტრაქტი" (ენტონი ჰინგსი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "აგენტი ზორგე" (იენ ბლენი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "ჩემი ამერიკელი ბიძა" 17-18ს. **21.05** ჟურნალის ისტორია **21.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი "მეზღაპრე"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" **14.00** მხ. ფილმი "ოთხი ბუმბული" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "40 დღე და 40 ღამე" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "საჰაერო ციხე" **00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 16.35, 17.20, 00.25** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 00.55** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "გაზაფხულის 17 გაელვება" **16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **21.30** საქმე ! **23.00** ესტაფეტა **23.30** მხ. ფილმი "გაზაფხულის 17 გაელვება" მე-3ს.

არხი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** მხ. ფილმი "ადამიანი რკინის ნიღბით" **11.40** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** მხ. ფილმი "ზვიგენები" **13.45, 15.55, 17.40, 19.50** მუსიკა **14.10** მელოდრამა "ქორწილი" **16.20** მულტფილმი **18.20** თრილერი "კვალისწამშლელი" **20.30** კომედია "ტკბილი წყვილი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** ექსკლუზივი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მხ. ფილმი "მისიე "ნ" **03.20** მხ. ფილმი "პატრიოტი"

ОРТ

07.00 "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20** МультСериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь**" 13.20 Худ.фильм "Свидетельство о бедности" 14.40** Ударная сила. "Траектория огня" **15.10** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Просто смех! **20.50** "Стирка на миллион" **21.00 Сериал "Евлампия Романова: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** Время **23.40** "Человек и закон" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** Док.фильм "Ева Браун. Женщина Гитлера" **01.40** Сканер. "Москва. 2024 г." **02.10** "Подводный мир Андрея Макаревича" **02.40 Худ.фильм "Убийство на озере" 04.30 Сериал "Мертвая зона"**

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.50 Сериал "Пятый ангел" 11.00** Сегодня утром **11.25** Квартирный вопрос **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.25** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Застава Ильича". 2 с. 15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики" 19.35** Протокол **20.40** "Убить журналиста". Фильм из цикла "Новейшая история" **21.45 Сериал "Пятый ангел". 16 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "К барьеру!" Ток-шоу **00.40** "Тайны разведки". Неуловимый мститель **01.20 Худ.фильм "Одинокий герой"**

სკანვორდი



პერსონალური კომპიუტერის სიყვარულს ვერ აკრძალავ

მამუკა ქირია

როგორც მკვლევარებმა დაადგინეს, პერსონალური კომპიუტერის მომხმარებლებს დროთა განმავლობაში საკუთარი კომპიუტერის და სამუშაო ადგილის მიმართ საკმაოდ ძლიერი დამოკიდებულება, ანუ მიჩვევა უმუშავდებათ. BBC ავრცელებს სხვა მკვლევარების ინფორმაციასაც, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი ერთსა და იმავე კომპიუტერზე რაც უფრო დიდი ხანი მუშაობს, მით უფრო ძლიერდება მიჩვევის სინდრომი და სხვა კომპიუტერისკენ მას გული საერთოდ არ მიუწევს. მეცნიერებს აინტერესებთ, მაქსიმუმი რა შეიძლება მოხდეს ასეთ შემთხვევაში. საუბარია, თუ ადამიანი ერთ კომპიუტერთან 10-15 წელს გაატარებს, რა დოზით შეიძლება მომხმარებელი დამოკიდებული იყოს ძვირფას კომპიუტერზე? შეძლებს თუ არა ის, ისეთივე ეფექტური მომხმარებელი იყოს სხვა კომპიუტერის, როგორიც ძველ მეგობართან იყო?

ამისათვის პენსილვანიის უნივერსიტეტის ლექტორებმა სტუდენტებს ასეთი ექსპერიმენტი ჩაუტარეს. დაახლოებით 800 სტუდენტი სხვადასხვა სამუშაო მაგიდას მიუსვეს. ზოგს თავის ადგილზე სხვა სტუდენტი დახვდა. მიუხედავად იმისა, რომ იყო თავისუფალი კომპიუტერები, სტუდენტები ნაჩვევ ადგილებზე რიგში ჩადგნენ და მთელი დღე ასე გაატარეს. გამოკითხვის შედეგად ასეთი აზრი მუსირებდა: უმეტესობას მიაჩნდა, რომ სხვა კომპიუტერთან დისკომფორტს გრძნობენ და ისე ხალისიანად ვერ მუშაობენ; ამასთან, სტუდენტების უმეტესობა სითბოს და ქებას არ აკლებდნენ საკუთარ კომპიუტერებს, რომელთანაც ისინი მანამდე მუშაობდნენ.

ასეთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ კომპიუტერზე, მეცნიერები მარტივად ხსნიან. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანს მუდმივობისკენ სწრაფვა უადვილებს ცხოვრებას და მიჩვევა რაღაცა საგნის მიმართ დიდი ხნის განმავლობაში, ჩვეულებრივი ადამიანური მოვლენაა. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ფაქტი, ერთი მხრივ, პერსონალური კომპიუტერების მწარმოებელ კომპანიებს რეალიზაციის საქმეში წაადგებათ, ხოლო მეორენი შიშობენ, რომ შეიძლება პირიქით მოხდეს. ახსნა მარტივია, თუ პერსონალური კომპიუტერის მწარმოებელი ფირმები ისეთ სრულფასოვან და მოდერნიზირებულ კომპიუტერებს შექმნიან, რომლებიც, მართლაც, ძალიან საყვარელი და შეუცვლელი იქნება.

ცხადია, კომპიუტერის გამოცვლის სურვილი მომხმარებლებს გაუჩნდებათ, და ეს პროცესი ტენდენციური უნდა იყოს მომხმარებლის მოთხოვნებთან ერთად. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი კომპიუტერს შეხედავს როგორც მხოლოდ



ინფორმაციის წყაროს და არა როგორც ინფორმაციის გამტარებელს და სხვა საინფორმაციო წყაროებს უგულებელყოფს, შეიძლება პროცესები სხვაგვარად განვითარდეს. მათ შეიძლება სიტუაციის შეუცვლელობის, მუდმივობის მხარე დაიჭირონ და კომპიუტერის შეცვლაზე უარიც თქვან.

"ძველი წყლის" თეორია

"ძველი წყლის" თეორიის მიმდევრები (ისინი აკვარიუმისტთა რიგებში ახლაც არიან) გვარწმუნებენ, რომ წყალი აკვარიუმში შეიძლება წლობით არ გამოვცვალოთ. როგორც ამბობენ, დიდი ხნის შემდეგ წყალი ახალ სასარგებლო თვისებებს იძენს, რაც ზოგიერთი სახეობის თევზის სიცოცხლისთვის უფრო ხელსაყრელი პირობაა. დაძველებულ წყალში თევზები იშვიათად ავადმყოფობენ, ხოლო ის თევზები, რომლებიც კანის ავადმყოფობით იყვნენ განამებულნი, განიკურნებიან. ძველი წყალი მდიდარია ერთუჯრედიანი, მარტივი მიკროორგანიზმებით და წყალმცენარეებით. საკვებად ისინი ნამდვილად გამოდგებიან. წყალი ასეთ დროს ყოველთვის გამჭვირვალე რჩება. მასში სწრაფად მიმდინარეობს ბიოლოგიური ბალანსის აღდგენა. გამოცდილი აკვარიუმისტები გვირჩევენ, რომ ახალ აკვარიუმში ხშირად დავამატოთ ძველი აკვარიუმის წყალი. ეს იმ შემთხვევაში თუ უკანასკნელ აკვარიუმში არ არის ავადმყოფი თევზი. ფიქრობენ, რომ ეს დააჩქარებს ბიოლოგიურ ბალანს. ზოგჯერ, რიგ სახეობა თევზებზე დადებითად მოქმედებს ძველი წყლის, ნაწილობრივ, ახალი წყლით შევსება. იმის გამო, რომ აკვარიუმის თევზების რაოდენობა მატულობს, მათი ცხოვრების პირობებიც სხვადასხვაა და მრავალფეროვანი. აკვარიუმში მათი ცხოვრების მოწყობისთვის საკმაოდ დიდი თეორიაა დაგროვილი. თევზების კარგად ყოფნა დამოკიდებულია წყლის შემცველობაზე. ზოგ შემთხვევაში წყლის გამოცვლამ შეიძლება სავალალო შედეგამდეც მიგვიყვანოს. ძველი წყალი შეიძლება ჩვენი თევზებისთვის ერთგვარი საწამლავიც იყოს, ან პირიქით ახლის ძველზე დამატებამ ზოგიერთი ჯიშის თევზებს ზიანი მიაყენოს.

არსებობს მთელი რიგი პროცედურები. ზოგადი რეცეპტი ასეთია: ორ კვირაში ერთხელ შეგვიძლია მთლიანი წყლის 25 პროცენტი ახალი წყლით შევცვალოთ. ასეთ შეცვლას თევზებზე დამღუპველი ზემოქმედება არ მოაქვს. ახალ აკვარიუმში კვირის განმავლობაში შეიძლება ნაწილ-ნაწილ 75-100-ით პროცენტით გამოცვლა.

სასურველია, აკვარიუმი დავფაროთ მინის საფარით, რაც ოთახის მტვრისგან დაიცავს წყლის ზედაპირს და მინიმუმამდე დაიყვანს საშიში მიკრობების წარმოშობის შანსს. ასევე, ასეთი იზოლაცია წყლის აორთქლებას და საერთოდ წყლის ბალანსის შესახებ ინფორმაციას დაგვიმახინჯებს. აქედან გამომდინარე წყლის შეცვლის პროცესიც არასწორად წარიმართება.

ასტეროიდ ITOKAWA-ს ფორმა განსაზღვრულია



ასტეროიდი ITOKAWA რადიოტელესკოპ Arecibo-ს თვალით

მამუკა ქირია

მსოფლიოში ყველაზე დიდი რადიოტელესკოპი Arecibo, რომლის ანტენის დიამეტრი 305 მეტრია, გამოყენებული იყო რადარის სახით ასტეროიდ ITOKAWA-ს (1988 SF36) ფორმის და მოძრაობის მახასიათებლების დასადგენად. ეს გამოკვლევები NASA-ს რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიის ასტრონომებმა ჩაატარეს. პრინციპში, ასტეროიდის დაახლოებითი ფორმა ცნობილი იყო. მას რაგბის ბურთს ამსგავსებდნენ, რომლის ზომა მაგალითად 700 x 300 მ-ია. ახალმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ასტეროიდის ფორმა ჰგავს კარტოფილს, არაპროპორციული ზედაპირით, ზოგადად, რაგბის ბურთის ზომებში ჯდება 700x300.

ასტეროიდის ორბიტა დედამიწასთან საკმაოდ ახლოს მდეობარეობს. სწორედ ამ ასტეროიდის შესასწავლად მიემართება ამჟამად იაპონური საკვლევი ზონდი MUSES-C (Hayabusa), რომელიც გაშვებულია 2003 წლის მაისში და რომლის ამოცანები საკმაოდ საინტერესოა. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კი – ასტეროიდის ზედაპირიდან 1 გრამი გრუნტის აღება და დედამიწაზე ჩამოტანაა. ეს, ალბათ, 2007 წელს მოხდება. მიმდინარე წლის მაისში საკვლევმა აპარატმა MUSES-C (Hayabusa) დედამიწის გრავიტაციულ ველზე მანევრირება უნდა დაამთავროს, რაც ასტეროიდისკენ კურსის ზუსტად კორექტირებისათვის აუცილებელია.

ასტეროიდს ზონდი სავარაუდოდ 2005 წლის ივნისში მიუახლოვდება და ასტეროიდის ორბიტაზე 20 კმ-ის მოშორებით თავისი მთავარი მისიის შესასრულებლად გავა. შემდგომ იწყება ზედაპირის გამოკვლევა დისტანციური მართვის სისტემით. გამოიყენება ულტრაიისფერი და რენტგენის სხივები.

ზედაპირის ინფრაწითელი დათვალიერების შემდეგ ზონდი ასტეროიდზე განახორციელებს სამჯერად მოკლე სამ წამიან დაჯდომას, რომლის დროსაც ის გრუნტისკენ გამოისვრის მცირე ზომის მეტალის ჭურვებს. ამ სროლის შედეგად ასხლეტილი გრუნტის ნაწილაკები სპეციალური მოსაკრებელი აპარატურის საშუალებით ერთ კაფსულაში მოგროვდება. საკვლევი მასალა 2007 წლის ივნისში დედამიწის ატმოსფეროში პარაშუტთან ერთად იქნება გადმოსროლილი.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.